

# მ ი ჯ ნ ა

№1 (27) დეკემბერი, 2024 წელი



„საქართველოში არასდროს შეწყვეტილა ბრძოლა  
დამოუკიდებლობისათვის.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, მთელი მისი ტრაგიკული  
და მრავალტანჯული ისტორია გვიჩვენებს, რომ საქართველო  
არასოდეს შერიგებია დამპყრობელსა და მოძალადეს“.

ზვიად გამსახურდია



# მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (27), დეკემბერი, 2024

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
ჯემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



---

---

# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>მილოცვა</b>	<b>ინტერვიუ</b>
<b>ლაშა გვასალია</b>	<b>პახა ქაცხაია</b>
ჯერი ჩვენზეა..... 3	ფილოსოფიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ..... 39
<b>კლასიკა</b>	<b>ისტორია</b>
<b>სიმონ ყაუხჩიშვილი</b>	<b>მურმან ზაქარაია</b>
ელინისტური პოეზია (ლირიკა)..... 5	ეკოლოგიური ადაპტაციის პერიოდი აია-კოლხურ კულტურაში ..... 54
<b>პოეზია</b>	<b>პოეზია</b>
<b>ლამზირა ფირცხალავა</b>	<b>თორნიკე ქავჭავაძე</b>
ლექსები..... 10	ლექსები ..... 59
<b>პროზა, პროზა</b>	<b>რუსულენოვანი მწერლობა</b>
<b>ლაშა გვასალია</b>	<b>ანტონ ჩახიძე</b>
მოთხრობები..... 14	კაცი ფუტლიარში..... 80
გოჩა ბიჭაშვილის მოსაგონარი (ლექსი) ..... 18	თარგმნა ზურაბ ხასიაძე
<b>შალვა ქარჩავა</b>	<b>მირზა გელოვანი</b>
ლექსები..... 19	ლექსები ..... 88
მცირე პროზა ..... 21	თარგმნა ეთერ აგრონოვაძე
<b>წერილები</b>	<b>ვალენტინა გვილავა</b>
<b>ჰამალ შონია</b>	მოთხრობა ..... 89
პირველი ნაბიჯების უკვდავი კვალი ..... 25	<b>რაისა მუზიჩენკო</b>
<b>კვალი ნათელი</b>	ლექსები ..... 96
თვალსაჩინო მეცნიერის ხსოვნას ..... 32	<b>იგორ ავანესოვი</b>
ნოდარ ჯალაღონიას ხსოვნას მიეძღვნა ..... 34	წერილი ..... 99
<b>გულად ძიძიგური</b>	<b>აალიტა დავიდოვა</b>
წერილები ..... 35	ლექსები ..... 101

**ლაშა გვასალია**

**ჯერი ჩვენზეა...**

2025 წლის შემობრძანებას ვულოცავ სრულიად პლანეტას, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც ამ სიტყვების ორიგინალში, ანუ ქართულად წაკითხვა და აღქმა შეუძლია. პირველყოვლისა „ვეფხისტყაოსანს“ ვულოცავ შობა-ახალ წელს, ის ჩემთვის მუდამ ცოცხალი და უკვდავად მარადიულია. რომ არა ეს ზე-ღვთაებრივი ქმნილება, რომელიც განკაცებულ უფლად წარმომიდგენია, ვინ იცის რანი და როგორები ვიქნებოდით, ან როგორი იქნებოდა ჩვენი სამეტყველო თუ საკალმწერო სინტაქსი და საერთოდ – უტარიელოდ, უავთანდილოდ, უფრიდონოდ, უნესტანოდ, უთინათინოდ როგორ გამოჯირკვლდებოდა და გამოხორკლდებოდა სიტყვა და სასოება ჩვენი!..

ამიტომაც ვეფხისტყაოსნურად გილოცავთ, ძვირფასებო, ახალი წლის შემობრძანებას, ყველაფერი შეიძლება განმეორდეს დუნიაზე, მაგრამ 2024 წელი, როგორც სხვა წლები, ვერ მობრუნდება, ის წაბრძანებულია და ამიტომაც, სანამ 2025 წელიც იმავე გზას დაადგებოდეს და თავისი თორმეტი სხვადასხვაგვარი და განსხვავებული ფერებიანი რაშით სამყაროსეულ ზეით-ქვეითობას მოილევდეს, ჩვენაც ჩვენი ნატვრებისა და სურვილების შესაბამისად შევუსაქმოთ საკეთებელ-მოსასწრები და ეს წელი სხვა წლებისგან გამორჩეული და განსაკუთრებული გავხადოთ.

პირველყოვლისა, ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს გაერთიანება და მშვი-

დობა გავიხადოთ უმთავრეს საქმედ და მერე მივყვეთ სამამულო თუ სადედულო საკეთებელთა მოკეთილებას. იმდენი რამ გვაქვს მოსასწრები და დასავარგებელი, მოსაცდელად აბა სადა გვცალია?! დიდი და საკეთილო რამეები გაკეთდა, თუმცადა ესეც წარსულია და ახალ საქმეთა კეთება-ზე უნდა გადავერთოთ მთელი არსებით. ვიაროთ მართალი და კეთილსამყოფლო გზით, რომელსაც ესოდენი რუდუნებით მივუყვებით და უთუოდ გავიბრწყინებთ იმ გასხივოსნებულ სამყაროში, რომელსაც ევროპა ჰქვია. თუმცა ჩვენეული მენტალიტეტით, სულიერებითა და კულტურული სიმაღლით სხვაგან არასდროს ვყოფილვართ, რადგანაც თავადაც ვიყავით დღენიადაგ შემოქმედნი იმ მშვენიერებისა, რომელიც რენესანსული ფერადოვნებით მიესიტყვა ცივილიზებულ ადამიანეთს.

ქართველები მუდამ წარმოვადგენდით, ჩვენივე ქრისტიანული საწიერით, კულტურის იმ ტაძარს – ევროპული გვირგვინით რომ იწონებდა თავს დანარჩენი მსოფლიოს წინაშე.


სხვა გზა, სხვა სავალი, სხვა ნებაყოფლობითი არჩევანი, ვიდრე ევრო-ატლანტიკური სივრცეა, საქართველოს არც ჰქონია. თუ რამ ძალადობით განხორციელებულა, ასე რომ ეუცხოვებოდა ჩვენს სულსა და ხორცს, ჯიშსა და ჯილაგს, ოჯახურ სიწმინდესა და უნიკალურ ტრადიციას, ისიც ბნელ წარსულს ჩაბარდა და წინ უანკარესი სილურჯე გველოდება,

უხასხასესი ცითა და ზღვით, ბარაქიანი მიწითა და უფლისმიერებით!

გილოცავთ, მეგობრებო, ახლობლებო, ნათესავებო, მოკეთენო, ქართველებო და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებო კეთილი ნების

მოქალაქეებო – 2025 წლის შემობრძანებას! დაუდგარმა დრომ ნაბიჯი უკვე გადადგა, ჯერი ჩვენზეა.

აბა, ჰე, წინ და წინ ერთიანი, გაცისკროვნებული საქართველოს სახილველად!..



## სიმონ ყაუხჩიშვილი

## ელინისტური პოეზია

## ლირიკა

ელინისტური ლირიკის  
ორი მიმართულება

ელინისტურ ლირიკაშიც ვამჩნევთ, ასევე როგორც ეპოსის მიმართ, ორს მიმართულებას, ერთი ნაწილი ლირიკის წარმომადგენელთა მისდევს მსხვილ ლირიკულ ჟანრებს, მეორე მიმართულების ლირიკოსები კი – წვრილ ლექსებს, ორივე მიმართულების ნაწარმოებთა ძირითადი მოტივია ტრფობა.

ვრცელი ლირიკული ნაწარმოებები წარმოდგენდნენ ელეგიების წიგნს, რომლებშიც გადმოცემული იყო საგმირო ეპოქის სატრფიალო ეპიზოდები, როგორც ბედნიერი, ისე უბედური შემთხვევებით. მოკლე ლირიკული ნაწარმოები კი გადმოსცემდნენ ერთს რომელსამე სატრფიალო ეპიზოდს, რომელსაც პოეტზე საბედისწერო გავლენა მოუხდენია, მის ცხოვრებაში გარდატეხა შემოუტანია.

ლირიკის ეს ორი მიმართულება მშვენივრად აქვს დახასიათებული, თავისი ეპოქის თვალსაზრისით, კალიმაქეს: „რომ მიმწერმე ტკბილია, ეს გვასწავლა მისმა პატარა ლექსებმა, მისმა Ναυω-მ, ხოლო დიდმა ქალმა (Δαή-მ) ვერ ასწავლა ანტიმაქოსს. ასევე უფრო საამოა გედის ნელი სიმღერა, ვიდრე დიდი წეროების ჩხავილია. ვრცელი ლირიკული ნაწარმოებების ავტორად აქ დასახელებულია V-IV საუკუნეთა პოეტი ანტიმაქოს კოლოფონელი, ხოლო წვრილი ელეგიის ნიმუშად მოყვანილია მიმწერმე კოლოფონელის „ნანო“.

## მონუმენტური ლირიკა

მართალია, ელინისტურ ეპოქას არ ეკუთვნის, მაგრამ უნდა მოვიხსენიოთ, პირველ ყოვლისა, ანტიმაქოს კოლოფონელი, რომელმაც პირველმა დაამკვიდრა ბერძნულ პოეზიაში მსხვილი ლირიკული ჟანრი, ელეგიური წიგნი.

ძველი ელინური ელეგია საბრძოლო სიმღერა იყო: იგი მოუწოდებდა ვაჟკაცს სამშობლოს დაცვისათვის, უქებდა ვაჟკაცს მის მამაცობას, სამშობლოსადმი სიყვარულს; მტერთან ბრძოლაში გამარჯვებულ ვაჟკაცს უმღეროდა როგორც ნახევარღმერთს, ხოლო სამშობლოსათვის დაღუპულს დასტიროდა. ამიტომ ელეგიას

დიდი ზომა არ სჭირდებოდა: იგი მცირე ზომისა იყო, 30-60 ტაქტისაგან შედგებოდა. ასეთი ელეგია, თავისი შინაარსითა და ჰანგით, უფრო ახლოს იდგა ეპოსთან, ვიდრე ლირიკასთან. დროთა ვითარებაში ელეგიას ახალი მოტივები შეემატა, მათ შორის ტრფობის მოტივიც. მაგრამ, როდესაც ელეგიაში ეს ახალი მოტივები დამკვიდრდა, მას, ელეგიას, მეტოქეობა გაუწიეს ამ მოტივების შემცველმა ძირითადმა ჟანრებმა, მელიკამ და ქორიკამ, და, ამგვარად, ელეგიას საფუძველი გამოეცალა: ის ძლივს დაღაჟდა სულს ისევ როგორც საგმირო ელეგია, ვითარცა ეპოქისეური სიმღერა. მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი ელეგიებით ცნობილი იყვნენ იონ ქიოსელი, კრატეს თებელი და, განსაკუთრებით, კრიტიასი, ცნობილი ათენელი ოლიგარქი, პლატონის დიალოგების ხშირი პერსონაჟი.

სულ სხვა მიმართულება მისცა ელეგიას ანტიმაქოს კოლოფონელმა (მისი მოღვაწეობა ეკუთვნის 400 წლის მახლობელ ხანას): მისი ელეგიები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ძველი დროის ელეგიებისაგან. ანტიმაქოსის ნაწარმოები შედგებოდა არა ერთი ელეგიისაგან, არამედ წარმოდგენდა ელეგიათა წიგნს, ე.ი. სხვადასხვა თემებზე დაწერილ ელეგიათა კრებული კი არ იყო, არამედ ერთი ნაწარმოები, ერთი შემთხვევის გამო შეთხზული, რომელშიც ელეგიური ფორმით მრავალი სხვადასხვა ეპიზოდია მოთხრობილი. სახელდობრ: ანტიმაქოსს გარდაეცვალა საყვარელი არსება (ზოგიერთის გადმოცემით ეს იყო მისი მეუღლე) Δაი; ანტიმაქოსი თავზარდაცემულია ბედის უკუღმართობით, სასოწარკვეთილებით უყურებს ადამიანის ხვედრს ამ საწუროში და უნდა რაღაც ნუგეში ჰპოვოს, და ამ ნუგეშს ჰპოვებს იგი საგმირო ეპოქიდან უბედურ სასიყვარულო შემთხვევათა თხრობაში; მათ შორის – მოთხრობილია, მაგალითად, ამბავი არგონავტთა ლაშქრობისა და იაზონისა და მედეას სიყვარულისა, ბელეროფონტის უბედური შემთხვევა, მისდამი დედოფალ ანტიას ტრფობის გამო, და ადონისის თავგადასავალი (მწყემსი ადონისი შეუყვარდა აფროდიტეს, ხოლო უკანასკნელის მეუღლემ არესმა ტყეში სანადიროდ წასულ ადონისს შეახვედრა გარეული ტახი,

რომელმაც იგი მოკლა). ამ ცალკეულ ამბების გადასაბმელად ავტორი სხვადასხვა, სრულიად ხელოვნურ საბაბს გამოიგონებს ხოლმე.

ეს ელეგია წმინდა ლირიკას არ წარმოადგენდა: მასში მთავარი მაინც მითები იყო. ამიტომაც უწოდებენ მას ლირიკულ მოთხრობას.

მართალია, კალიმაქემ თავის „მიზეზებში“ სასტიკი მსჯავრი დასდო ანტიმაქოსის ვრცელ ელეგიას და უწოდა მას გაბერილი და მოუხეშავი (Δυδη γαι παχυσ γραμμα και ου τρον), მაგრამ ელინისტური ეპოქის ბევრი პოეტი გაჰყვა ანტიმაქოსის კვალს, მაგალითად ფილეტასი, ჰერმესიანაქტი და ფანოკლე.

ფილეტას კოსელი (ცხოვრობდა ალექსანდრე მაკედონელისა და პტოლემეოს სოტერის (322-282) დროს) იყო ვაჟის, პტოლემეოს ფილადელფოსის, აღმზრდელი. მის მოწაფეებად თვლიდნენ თავიანთ თავს ჰერმესიანაქტი, თეოკრიტე და ზენოდოტე. ფილეტასი იყო პოეტიც და მეცნიერიც.

ფილეტასის კალამს ეკუთვნის ვრცელი ეროტიკული ელეგიები. ანტიმაქოსის „ლიდეს“ მსგავსად მასაც დაუწერია „Βιτις“ (ბიტისი ყოფილა ფილეტასის სატრფო თუ მეუღლე). თუმცა ეს ელეგია ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ, რომ ოვიდიუსი ფილეტასს იხსენიებს ანტიმაქოსის გვერდით და გულისხმობს მას იმავე ტიპის მწერლად.

ფილეტასს ეკუთვნის მეორე ცნობილი თხზულება: „ჰერმესი“ (Ερμης), რომელშიც მოთხრობილი იყო ერთი ეპიზოდი ოდისევსის თავგადასავლიდან. თავის ხეტიალის დროს ოდისევსი მოხვდა ეოლოსის სამეფოში, მელგუნის კუნძულზე. ეოლოსმა დიდის სტუმართმოყვარეობით მიიღო ოდისევსი და მისი ამხანაგები, ამბობდნენ გმირს ტროადის აღების ამბავი, აგრეთვე ისიც, თუ როგორ დაედუპათ ხომალდები ოდისევსსა და მის ამხანაგებს უკან დაბრუნების დროს. ოდისევსი კარგა ხანს დარჩა სტუმართმოყვარე ეოლოსთან, მეფის ასულს პოლიმელეს შეუყვარდა ოდისევსი, რომელმაც მასთან სატრფიალო ურთიერთობა გააბა. როდესაც მეზღვაურებს კარგი ამინდი დაუდგათ, ოდისევსმა დასტოვა ეოლისის სასახლე და გაემგზავრა; მიტოვებულმა პოლიმელემ თავისი ტირილით გაამქდავნა საიღუმლოება; განრისხულმა ეოლოსმა დაწყევლა ოდისევსი და ქალიშვილის დასჯაც დააპირა, მაგრამ ძმამ, დიორემ, იხსნა იგი.

ასე გადმოგვცემს ამ ამბავს, ფილეტასის „ჰერმესის“ მიხედვით I საუკუნის პოეტი და კომპილატორი **პართენიოსი**. თუ ფილეტასის

ამ თხზულებაში სხვა არაფერი ყოფილა, მაშინ ეს ეპილიონის მშვენიერი ნიმუში იქნებოდა: ნაამბობია გმირის თავგადასავლის მხოლოდ ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, ოდისევსის შემთხვევითი სატრფიალო ურთიერთობის ამბავი პოლიმელესთან. მართლაც, „ჰერმესის“ ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტები (სულ ხუთი ფრაგმენტი) მხოლოდ ამ ეპიზოდს ეხება. გაუგებარი რჩება, თუ რატომ ეწოდა ამ თხზულებას „ჰერმესი“.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ფილეტასი, ერთი მხრით, ეკუთვნის ლიტერატორთა იმ ბანაკს, რომელიც ძველ ჟანრებს იცავდა (ანტიმაქოსის „ლიდე“ და ფილეტასის „ბიტისი“), ხოლო, მეორე მხრით, ვითარცა ეპილიონის წარმომადგენელი იგი კალიმაქეს ხაზს მისდევს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თვით ძველი მწერლებივე მას არა მარტო ანტიმაქოსის გვერდით იხსენიებენ (როგორც, მაგალითად, ოვიდიუსი), არამედ კალიმაქეს გვერდითაც: ასე, მაგალითად, რომელი პოეტი პროპერციუსი თავის მასწავლებლებად თვლის კალიმაქეს და ფილეტასს.

**ჰერმესიანაქტი კოლოფონელი**, ფილეტასის მოწაფე და მეგობარი, მოღვაწეობდა III საუკუნის პირველ მეოთხედში და ეკუთვნის ფილეტასთან ერთად ალექსანდრიელ მწერალთა პირველ თაობას. მისი ეროტიკული ელეგიების წიგნი, რომელსაც მან თავისი სატრფოს სახელი **„ლეონტიონი“** (Λεοντιον) უწოდა, სამი თავისაგან შედგებოდა. ჰერმესიანაქტი მოგვითხრობდა წარსულ დროთა გმირების სატრფიალო თავგადასავალს. პირველ თავში, მაგალითად, გადმოცემული იყო თქმულება კიკლოპ პოლიფემის ტრფობაზე გალატეასადმი: ჩვენამდე მოღწეულ ტაეპში ნათქვამია, რომ „[გალატეას მიერ დაწუნებული] პოლიფემი შესცქერის ზღვის ტალღებს და მისი ერთადერთი თვალი ცეცხლივითაა ანთებული. ამავე თავში ყოფილა მოთხრობილი, თუ როგორ უბედურად დამთავრდა მენალკას ტრფობა ევიპესადმი: ლამაზმა ნიმფამ უარყო მენალკას სიყვარული და სასოწარკვეთილი მეტრფე კლდეზე გადავარდა.

ყველაზე კარგად არის მოღწეული „ლეონტიონის“ მესამე წიგნი. აქ გადმოცემულია ტრფობის ალით დამწვარი პოეტების სასოწარკვეთილი მდგომარეობა. რიგრიგობით გვეჩვენებიან ორფევსი (მისი სატრფო აგრიოპე), მუსეოსი (ანტიოპე), ჰესიოდე (ეოია), ჰომეროსი (პენელოპე), მიმნერმე (ნანო), ანტიმაქოსი (ლიდე), ალკეოსი (საფო; ალკეოსის მეტოქეა

ანაკრეონი), სოფოკლე (თეორიდა), ევრიპიდე (აიგეა), ფილოქსენი (გალატეა) და ფილეტასი (ბიტიისი). პოეტებს მოსდევნენ ფილოსოფოსები: პითაგორა, სოკრატე და არისტოტელე.

ვრცელი ლირიკის ჟანრს მისდევდნენ აგრეთვე ფანოკლე (Εροτες χαλι), ალექსანდრე ეტოლიელი („აპოლონი“) და სხვები.

### მცირე ფორმის ლირიკა

მონუმენტალური ანუ ვრცელი ლირიკის ჟანრს უპირისპირდება მცირე ფორმის ლირიკა, რომელსაც წარმოადგენენ ცალკეული **ელეგიები** (დაპირისპირებით „ელეგიათა წიგნებისა“) და ეპიგრამები. ასეთი ლირიკის მეთაური კალიმაქეა. მან პირველმა ბრძოლა გამოუცხადა დიდტანიან თხზულებებს და ეპოქის შესაფერისად იგი წვრილ ლექსებას სთვლიდა.

კალიმაქეს გზას მისდევდა და ელეგიებს სწერდა ცნობილი ალექსანდრიული სკოლის ფილოლოგოსი და მეცნიერი ერატოსტენე კვირინელი (დაახლ. 284-200). ერთ თავის ელეგიაში „**ერიგონე**“ ერატოსტენემ დაამუშავა, კალიმაქეს კვალ-და-კვალ, თქმულება იკარიოსის ქალიშვილის სავალალო ბედზე. დიონისემ ვაზის ძირი აჩუქა იკარიოსს და ესეც პირველი მოსავლის ღვინით გლეხებს გაუმასპინძლდა; დამთვრალმა გლეხებმა იფიქრეს იკარიოსმა მოგვწამლაო და მოჰკლეს იგი. იკარიოსის ქალიშვილმა, ერიგონემ, დიდი ძებნის შემდეგ ძაღლის (მაირას) შემწეობით იპოვა მამის გვამი და იმ ხუზუვე ჩამოიხრჩო თავი, სადაც გვამი ეგდო. ასე ჰქონდა გადმოცემული კალიმაქეს, ერატოსტენემ გაიმეორა კალიმაქეს კონცეფცია, **ხოლო ბოლოში თავისი გმირები ცთომილებად გადააქცია: იკარიოსი – „მერწყულად“, ერიგონე – „ქალწულად“ და ძაღლი – „სირიოსად“ (ხაზი, რედ.).**

ძალიან დაფასებული იყო აგრეთვე **ევფორიონ ქალკიდელი** (დაიბადა დაახლ. 275 წ.) ევბეის კუნძულზე (ქალკიდაში) დაბადებულმა განათლება მიიღო ათენში; ანტიოქის III-მ (223-187) იგი ანტიოქიაში მიიწვია ბიბლიოთეკის გამგედ. ევფორიონი, კალიმაქეს მსგავსად, სწერდა ეპილიონებსაც და ელეგიებსაც. ეპილიონების უმრავლესობის მხოლოდ სათაურებიღაა მოღწეული (მაგ.: „ალექსანდრე“; „აპოლოლორე“; „პირდია დიონისე“), ხოლო ელეგიების თითო-ოროლა ტაეპებია მოღწეული. ყველაზე დიდ ფრაგმენტს წარმოადგენს ბერლინის პაპირუსში ნაპოვნი ტექსტი ევფორიონის თხზულებისა „წყევლა ანუ თასის ქურდი“.

ლექსი მიმართულია ერთი კაცის წინააღმდეგ, რომელსაც პოეტისათვის თასი მოუპარავს. პოეტი წყევლა-კრულვას უთვლის ქურდს და მოაგონებს მას სხვადასხვა სასჯელს, რომლებიც მიუზღოთ, ძველი მითების მიხედვით, ბოროტ დამნაშავეთ. „ან დაფშვნილ იქნეს ის, როგორც გამვლელი იმ ადგილას, სადაც სკირონმა უხამსი ფეხის-ბანა მოიგონა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მოკლე ხნით, ვინაიდან ეთრას ვაჟმა იგი, დაფშვნილი, ხახაში მისცა ჩვენს კუს როგორც უკანასკნელი ზვარაკი. ან არტემიდამ, ტაინარონის დედოფალმა, რომელიც მელოგინე ქალებს ეჩვენება ხოლმე მშობიარობის ტკივილების დროს, დასჭიმოს თავისი მრისხანე მშვილდი და ისრით განგმიროს იგი. ან ატაროს მან აქერონთან ასკალაფეს მძიმე ქვა, რომელიც მას ზურგზე მოჰკიდა განრისხებულმა დემეტრემ, ვინაიდან ის იყო ერთადერთი მოწმე პერსეფონეს წინააღმდეგ“.

\*\*\*

კალიმაქესებურ სტილს უკავშირდება **პართენოსის** შემოქმედებაც.

პირველ საუკუნეში, როდესაც უკვე დამავიზრგინებელ დასკვნას უახლოვდება რომის ექსპანსია, დიდძალი ბერძნობა დედა-საბერძნეთიდან აწყდება ქალაქ რომს. ცნობილი არის რამდენიმე ბერძენი პოეტი, რომელნიც რომში ცხოვრობდნენ, რომაელ დიდკაცობასთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ და მსგავსად ბერძნული „მიზეზებისა“ სწერდნენ *Αιτια ρωμαϊκα*-ს, სადაც იხილავდნენ რომის წარსულის ქრონოლოგიურსა და ბიოგრაფიულ საკითხებს. ამ პოეტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პართენიოსი.

**პართენიოსი** ბითონიელია; 73 წ. (ძვ.წ.), მოთრიდატეს ომის დროს, ის ტყვედ იქმნა წავანილი რომში, სადაც იგი განათავისუფლეს, რომშივე დარჩა ის და განაგრძო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა: სწერდა ელეგიებს და აცნობდა რომის საზოგადოებას ელინისტურ, ალექსანდრიულ პოეზიას. მეგობრულ ურთიერთობაში იყო ცნობილ რომაელ სახელმწიფო მოღვაწესთან და პოეტთან Cornelius Gallus-თან.

პართენიოსმა ხელახლა შემოიტანა ბერძნულ მწერლობაში ელეგია, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ამის წინ სდუმდა და თავისი პოზიციები ეპიგრამისთვის დაეთმო. ცნობილი იყო მისი ელეგიური დისტიქებით დაწერილი სამგლოვიარო ლექსები (*επιηχηδεια*) და სახობო ელეგიები: ასე, მაგალითად, მას ჰქონია დაწერილი სამწიგნიანი ხობტა არეტეზე

(Αρητής εγκάμιον εν τρισί βιβλίοις). სხვა ელემენტებში პართენიოსი, კალიმაქეს და ევფორიონის მსგავსად, მოგვითხრობდა ძველ მივიწყებულ გმირთა თავგადასავალზე. პართენიოსის ელემენტთა სიახლე ის იყო, რომ მან დაამკვიდრა პოეზიაში „გარდაქმნის“ (მეტამორფოზის) სახეობა: ერთ ფრაგმენტში, მაგალითად, ახალგაზრდა ქალი წყაროდ გადაიქცა.

პართენიოსის „მეტამორფოზები“ უთუოდ მნიშვნელოვანი წყარო იყო ოვიდიუსის ცნობილი თხზულებისათვის.

პართენიოსის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე „ეროტიკული განცდების“ (Περὶ ἐρωτικῶν παθήματων) კრებული, რომელიც მან თავის მეგობარსა და მფარველს, კორნელიუს გალუსს, უძღვნა და რომელშიც პროზულად იყო გადმოცემული წარსული დროის გმირთა ეროტიკული განცდების შესახებ. ეს კრებული შეიცავდა ეროტიკულ თქმულებებს, ამოკრეფილს ისტორიკოსთა და პოეტთა თხზულებებიდან და წარმოდგენილს ექსცერპტების სახით. ამ სახის კრებულს მასალა უნდა მოეწოდებინათანამედროვე პოეტებისათვის, რომელთაც ეს ესაჭიროებოდათ თავიანთი თხზულებების დასაწერად. კრებულს პართენიოსმა წარუმძღვარა წერილი გალუსისადმი.

„პართენიოსი კორნელიუს გალუსს სალამს უძღვნის.

„იმ მოსაზრებით, კორნელიუს გალუს, რომ ეს შენ შეგეფერება, მე შევადგინე კრებული „ეროტიკული განცდებისა“, რაც შეიძლებოდა მოკლედ, და გიძღვნი შენ. ქვემოთ მოყვანილის საფუძველზე შენ უთუოდ გაითვალისწინებ ზოგიერთ პოეტთა აზრებს და ჰანგებს. შენი ამოცანა იქნება პოემებად და ელემენტებად ჩამოაყალიბო ამ მასალიდან ის, რაც ყველაზე უფრო შესაფერისია. თუ ამ მასალას აკლია ხელოვნება, რაც შენ კარგად გესმის, ნუ ჩასთვლი მას მდარედ: მე ხომ ეს შევკრიბე როგორც მასალა და, ვფიქრობ, შენ სარგებლობას მოგიტანს“.

როგორც ვხედავთ, პართენიოსს თავი მოუყრია იმ მითოლოგიური მასალისათვის, რომელიც მოიპოვებოდა პოეტთა ნაწარმოებებში, და შემოკლებული სახით (εν βραχυστάτοις) აწვდის თავის მეგობარ პოეტს კორნელიუს გალუსს. ეს კრებული, რომელიც 36 თავისაგან შედგება, ფრიად დიდი მნიშვნელობისაა ლიტერატურის ისტორიისათვის.

### ეპიგრამა

ელინისტური პოეზიის ზემოთ განხილულ სახეობათა შორის, არსებითად რომ ვთქვათ,

არ გვექონდა სუბიექტური ლირიკა, იქ არ ჩანდა წმინდა ლირიკული ელემენტი, რომელიც გულისხმობს პოეტის საკუთარი განცდების გადმოცემას. თვით იმ სახეობაში, რომელსაც ეს ლირიკული ელემენტი ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა, ელემენტში მხოლოდ ამოსავალი წერტილი იყო ლირიკული: პოეტის ღრმა განცდა წარმოადგენდა მხოლოდ მიზეზს იმისას, რომ პოეტმა კალამს ხელი მოჰკიდა და ლექსი დასწერა; რაც შეეხება ლექსის თვით ძირითად ნაწილს, იგი გადმოგვცემდა ამა თუ იმ ძველი დროის გმირის თავგადასავალს, ამ გმირის ტანჯვას, გამოწვეულს მისი უიმედო ტრფობით, ხოლო თვით პოეტის განცდები ამის გარეთ რჩებოდა. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგჯერ კაცმა არ იცი ეპილიონთან გაქვს საქმე თუ ელემენტთან; პირველშიც და მეორეშიც ავტორი ძველ გმირთა ტრფობის ეპიზოდს გადმოგვცემს თითქმის ერთნაირს ეპიკურობით.

პირადი ტანჯვა თუ სიხარული, სიყვარულით გამოწვეული აღმაფრენა თუ სასოწარკვეთა ელინისტური ეპოქის პოეტმა გამოსახა ეპიგრამაში, რომელიც ამ ეპოქისათვის ერთადერთი წმინდა ლირიკული ჟანრია.

ეპიგრამას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას იცნობს ბერძნული მწერლობა უკვე VII საუკუნიდან. ეპიგრამის (ἐπιγράμμα „წარწერა“) ორი მთავარი დანიშნულება ჰქონდა: ის ან „საფლავისზედა“ იყო (ἐπιταφία, ἐπιχθδεια) ან „მიძღვნი“ (ἀναζηματιχα). მას ამოსჭრიდნენ ხოლმე საფლავის ქვაზე და მოიხსენებდნენ მიცვალებულის ღვაწლს, ან წააწერდნენ სხვადასხვა ნივთებს, რომლებსაც მლოცველნი სწირავდნენ ტაძრებს ღმერთებისადმი მადლობის ნიშნად. **ეპიგრამის დამახასიათებელი იყო მოკლე და მახვილი გამოთქმა, გრძობიერი მოგონება იმ პიროვნებისა თუ ღმერთისა, რომელსაც ეძღვნებოდა ეპიგრამა, და მკითხველშიც გულისხმიერებისა და გრძობიერების აღძვრა** (ხაზი – რედ.). ასეთი ეპიგრამები უმრავლეს შემთხვევაში უსახელო, ანონიმური იყო, და დღემდისაც გადარჩენილი საფლავისზედა ეპიგრამებისათვის, მაგალითად, ჩვენთვის სრულიად უცნობი არიან მათი ავტორები. თანდათან გაფართოვდა ეპიგრამის დანიშნულება: მისი სიმოკლე და სხარტულობა, მახვილგონიერება და გულისხმიერება გამოყენებულ იქმნა პოეტების მიერ ცხოვრების შემთხვევითი მომენტების გამო აღძრული გრძობის გამოსახატავად (ეპიგრამები უწერიათ გამოჩენილ მწერლებს: ესქალეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, პლატონს...), ხოლო ელინისტურ პერიოდში,

რომელიც საზოგადოდ არის წვრილი ჟანრების ეპოქა, ეპიგრამა გაბატონდა პოეზიაში როგორც **ეროტიკული მოტივის** ძირითადი ჟანრი.

ამგვარად, ეპიგრამა გარდაიქცა ელინისტური ეროტიკული პოეზიის ძირითად ჟანრად და მან უკვე III საუკუნის ბოლოდანვე დაჩრდილა ელეგია. ელეგიის შეცვლა მას მით უფრო გაუადვილდებოდა, რომ ის იმავე საზომს, ელეგიურ დისტიქს (ჰეგზამეტრსა და პენტამეტრს) ხმარობდა. რამდენადაც ეპიგრამა პოეზიის ძირითადი სახეობა შეიქმნა და მას შერჩა ეს გაბატონებული მდგომარეობა ელინისტური პერიოდის ბოლომდე და ბიზანტიურშიც გადაჰყვა, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ძველ მკითხველთა და მწიგნობართა თაობებმა იზრუნეს ეპიგრამების შენახვაზე, მათ შეკრებაზე და დაცვაზე, ე.წ. „ანთოლოგიების“<sup>1</sup> შედგენაზე.

პირველი მწიგნობარი, რომელმაც შეადგინა ეპიგრამების კრებული „გვირგვინი“, იყო I საუკუნის (ძვ.წ.) პოეტი **მელეაგრე** გადარელი, რომელმაც თავის კრებულში შეიტანა 47 ძველი და ახალი პოეტის ეპიგრამები, მათ შორი თავისიც. ახ.წ. I საუკუნეში **ფილიპე თესალონიკელმა** შეადგინა კრებული უკანასკნელი ორი საუკუნის პოეტთა ეპიგრამებისა. მომდევნო საუკუნეებიდან ცნობილი არიან ანთოლოგიათა შემდგენელნი სტრატონი და დიოგენიანე, ხოლო ყველაზე უფრო სრული „რკალი“ (Κυκλιος) შეადგინა VI საუკუნეში **აგათხამ**.

ალექსანდრიელ პოეტთა მიერ ასახული ტრფობა არ არის ღრმა გრძნობებზე აღმოცენებული ის უზენაესი სწრაფვა, რომელსაც საფო და ალკეოსი უმდეროდნენ. ეს არის დაბალი, წუთიერი, ქვენა სწრაფვა, რომელიც გამაკეთილშობილებელ აღმაფრენასაც მოკლებულია და არც ხანგრძლივი ერთგულება ახასიათებს. ასეთ სწრაფვას ერთგვარი ცინიზმის იერი დაჰკრავს და მკითხველს ძალაუნებურად უსიამოვნო გუნებაზე აყენებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ასკლეპიადეს ეროტიკულ ეპიგრამებში უფრო ხშირად **ჰეტერეობზეა** ლაპარაკი. „ერთხელ ქარაფშუტა ჰერმიონესთან ვლდაბუ-

ცობდი, კიპრიდას ყვავილებისაგან მოწნული, ჭრელი ქამარი ერთყა, რომელზედაც ოქროს ასოებით ეწერა: „მუდამ გიყვარდე მე, მაგრამ ნუ დამწუნრდები, თუ სხვის ხელში დამინახო“. ამიტომ არც ის უნდა გვეუცხოვოს, რომ ასკლეპიადეს ეროსი აღარ არის ის ღვთაებრივი ეროსი, რომელსაც ეგზომ სათუთად იხსენიებდნენ ელინური პერიოდის პოეტები. ასკლეპიადეს **ეროსი**, ჯერ ერთი, არ არის ძლიერი. ეროსზე უფრო მეტს ნიშნავს პოეტისათვის სატრფო; სატრფოს მშვილდსა და ისრებს ვერ შეედრება აფროდიტეს ვაჟის მშვილდი და ისრები. ერთ სატრფო ბიჭს ასე მიმართავს ასკლეპიადე: „შენ რომ მხრებზე ფრთები გქონდეს და ხელთ გეჭიროს მშვილდი და ისრები, კიპრიდას ეროსი უკვე არ გამოვა დახატული, არამედ შენ, ჩემო საყვარელო“. თანაც ეროსი ერთი არ არის. ასკლეპიადეს წარმოდგენით ის ბევრია, ეროსებია. „ჯერ ოცდაორი წლისაც არ ვარ და უკვე მომღალა ცხოვრებამ. რა გინდათ ჩემგან, **ეროსებო?** რატომ მწვავთ ასე? თუ რამე დამემართა, რას იზამთ? ცხადია, მზაკვარო ეროსებო, კვლავინდებურად კამათელს ითამაშებთ“.

ასკლეპიადეს უახლოვდებიან თავისი შემოქმედებით პოსეიდიპე და ჰედილოსი, რომლებიც აგრეთვე ღვინოსა და ტრფობას ასხამდნენ ხოტბას თავიანთ ეპიგრამებში. ხოლო ჰედილოსის შემოქმედებაში ახალი თემაც გვხვდება: იგი თავის ეპიგრამებში დასცინის ღორმუცელა კაცებსა და ქალებს.

ზემოთ განხილულ ლირიკოსებს ერთგვარად უპირისპირდებიან პელოპონესურ-დორიული მიმართულების ეპიგრამისტები. განსხვავებით იონიურ-ალექსანდრიული მიმართულების წარმომადგენელთაგან: 1) ისინი უპირატესად საფლავის ზედა და მიძღვნით ეპიგრამებსა სწერენ, ტრფობისა და ღვინის თემა სრულიად დაჩრდილულია; 2) თავიანთ ეპიგრამებში ისინი ასახავენ დაბალი წრის ადამიანებს: ხელოსნებსა და გლეხებს, მწყემსებსა და მონადირეებს და ბუნების სურათებს უთმობენ მნიშვნელოვან ადგილს.

გამოსაცემად მოამზადა  
თორნიკე ქავშბაიამ



**ლამზირა ფირცხალავა**



**დ უ მ ი ლ ი**

...და დუმს ეს ქარიც, ავქარი,  
 გადაქარდა და  
 წავიდა!  
 მეხრე რომ შუკას გაუყვა,  
 ვერ ამოვიგდე თავიდან, –  
 ეს მეხრეც გადადუმობდა,  
 სადარდელს შერჩა ნისლიანს...  
 დგანან შიშველი ხეები  
 დუმილის ნოტებს ისვრიან.  
 ღიღინიც ვედარ ავანყვყვ ,  
 არც რას ჰყვებიან ნოტები...  
 სწუხან მლოცველი ლერწმები,  
 ცად აღუპყრიათ ტოტები...  
 დუმილით მოხვალ, სიკვდილო,  
 და დუმილშივე მოკვდები!  
 დუმს ზეციური მუსიკა,  
 ცრუთაგან ანაოტები!  
 ...ტაძართან მიველ უული  
 ( ვიღაცა ცრემლებს მპარავდა)!  
 ცაში ჩათავდნენ მტრედები,  
 ვიდექ უპოვართ კარავთან,  
 აქაც დუმილი!  
 მხოლოდღა  
 ბავშვის თვალები ტიროდა,  
 იდგა ეზოში მარიამ  
 და ღმერთი ჩანდა ტილოდან!!!  
 ცა იყო ერთი აფრენა,  
 ზარიც დუმილში რეკავდა...  
 სული გოლოგოთას გლოვობდა  
 მსხმოიარობას ეკალთა...  
 ლექსიც დუმილით მოვიდა,–  
 (კარს არ უღებდა არავინ)  
 და იყო ესე დუმილი  
 ღმერთისთვის დაუფარავი...

\* \* \*

ამა სოფლისა კაეშანს,  
 სულო, ხვდებოდე თმენითა,  
 შენითა, დედა მარიამ,  
 ძალისხმევითა შენითა!  
 ობლის კურცხალის დარითა,  
 ქვას რო შეკრავს და შენივთავს.  
 გოდოლ-ტაძრებში ლოცვითა,  
 ბერ-მონაზვნითა,  
 რწმენითა,  
 ნიშა ხარების დრტვინვითა ,  
 ზეცითა მშვენიერითა...  
 ბგერითა – ხმათა ყოვლითა,  
 სხეულში ჟრჟოლის მოვლითა  
 დედის თვალების კდემითა,  
 ვერ უთქმელითა ენითა,  
 ბაღში ბუღბულის სტვენითა,  
 ატმის კვირტების ფრენითა...  
 შენითა, დედა მარიამ,  
 ძალისხმევითა შენითა!!!

\* \* \*

შენ პაწაწინა ნერგი ხარ,  
 ჩემს სულში ფესვგადგმული და  
 ნებიერი...  
 დამქროლე ქარო,  
 მაინც ვერ დაგმორჩილდება  
 ჩემი ლერწამი,  
 ტოტები ტოტებს გადალენწავენ  
 და ფესვები  
 სუროსავით შემოეხვევა  
 ჩემს ალიონს...  
 დამქროლე, ქარო!

**მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა**

არ ვფიქრობ, ღამეულ ნიავეებს  
 კრძალვით უჩოქებდნენ  
 ვერხვები...  
 არა ხარ!!!  
 გავრბივარ ცრემლიდან,  
 გპოულობ!  
 შენს ძახილს ვეხები  
 და ისე ყურდება სამყარო,  
 თითქოსდა მარიამს ელიან...  
 მეგონა, შენ იყავ, შვილო, და  
 თურმე პაწაწინა შველია!  
 თურმე გალოპრეს წვიმებმა  
 ლოცვებად მოჩურჩულე ატმები...  
 გედევით ჩამიარეს ზამბახებმა,  
 ბუდეში ასხმარტალდნენ ბარტყები...  
 ღამემ მიყურა და, მოწყენილმა,

წვიმის ქიტონი მომახურა,  
ვერცხლისფერ სიჩუმეში ჩავილიე,  
სადღაც ჩაიკვნესა მოლაღურმა...  
ვიგრძენ, მაგნოლიამ გამიხსენა  
რადაც სატრაპეზო ყვავილებით,  
ცამდე ააღწია სურნელებამ,  
ღიმილმა იმ წლების, ჩავლილების...  
სულში სულიწმიდა ჩამისახლდა,  
საცაა, ლექსიანად გავფრინდები!  
მტრედი ზეთისხილის ტოტს მომიძღვნის,  
გაიბარჩხალებენ ამინდები!  
დავრბივარ...

ეზოა მუსიკიდან!!!  
ცისფერს კესანები მესვრიან,  
სულიდან ძალუმად რომ მიკაკუნებს,  
დაუწერელი ლექსია!!!  
სადღაც აქ არის ჩემი სახლი  
იები საამფეროდ დაწნულები,  
შენი მარადი სიმღერები  
ჩემი იმედის ქალწულები...  
დავყუჩდი...  
ღვთის ნებას მივენდე  
(ქარიც მიეფარა ლელიანს)...  
იასამნები აჩურჩულდნენ,  
თითქოს მარიამს ელიან!  
ლოდივით მძიმეა მონატრება!  
ღლეები მოლოდინში გადიან!  
ფანჯრიდან იმედი შემომძახის,  
ჩემი მთვარესავით გადია...

**ბ ა ლ ა დ ა   ბ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ზ ე**

...ებრძოდა მთვარე ნისლთა სამეფოს,  
ლამობდა ფიქრად თოვას...  
ამალამ ქარი ამოვარდება,  
ამალამ წვიმა მოვა!  
ამალამ უფრო იხელებს გული  
სავსე დარდით და ფერთით..  
ოო, მოლანდება რადას მიქვია!  
ჯვარისწერაა მერის!!!  
ჰოდა, ამალამ რა დააყუჩებს  
სულს, ქცეულს სათუთ ლექსად,  
წავა პოეტი და ნაცნობ ქუჩებს  
გაანდობს რითმით კვნესას  
და მესაფლავის ცრემლებით მთვრალი  
სიმშვიდეს გვიან ჰპოვებს,  
უსაყვარლესი მთაწმინდის გარდა  
რა დააყუჩებს პოეტს!  
ცას მისანივით აუკიდება  
ღიმილი ფერმკრთალ დილის,  
მკლავებგაშლილი გალაკტიონი  
მკერდში ჩაიკრავს თბილისს.  
იქნება ასე გარინდებული,

სავსე ზღაპრული თრთოლით,  
თმებს დაუცვარავს ცივი სისოვლე  
პირველ “იისფერ თოვლის!”  
გაიკრიფება შესაწუხარი,  
ცრემლებიც ნისლად წავლენ,  
ის სიყვარულის თბილი შესანდობარს  
იქ, პოეტებთან დალევს...  
მოენატრება ჭყვიშის ვარდები  
თუ აღმართები ვერის...  
ვინ თქვა, მოკვდაო გალაკტიონი?!  
ჯვარისწერაა მერის!!!

**დ ა ზ რ ი ლ ი ს   რ ე კ ვ ი ე მ ი**

( ზ ვ ი ა დ ი ს ა დ მ ი )

შენ, ჩემო მინდვრის ყვავილო,  
მზეს რომ ხატავდი დილამდე,  
გიგრძენ და ჩუმად გელოდე,  
არ ქნა, რომ დაგაგვიანდეს ...  
დილისას მღერის ტყის ნეფე,  
აქ – ჩიტი კორტნის გალიას..  
ქოთანში ია სლუკუნებს...  
ღღეს ჩემი კვირაძალია!  
ვშლი და ვასწორებ სურათებს,  
სულის სარკმელთან გაშლილებს,  
ხან ფრთებს ვირგებ და გავრბივარ,  
ხან ბარტყის ჩქამიც მაშინებს...  
ხან ნაკადულებს ვაოკებ,  
ლექსში ტალღებად აშლილებს...  
სულს ვაოხებ და კვლავ ვითმენ, –  
სამყაროც ეშმას ჭორია...  
სად მიხვალ, ყრმობის მდინარეც?!  
ზღვამდე, ვაი, რომ შორია!!!  
მეც ვიძალე და ვერ ვძლიე,  
ჟამი ურჩი და კვიმატი,  
რამდენჯერ მთები მოვლიე,  
ხრამებმა ასჯერ იმატეს...  
ვერ მოვიშორე სიზმარი  
მამული მეწვა ლოგინში...  
დაჭრილი იყო...  
ვტიროდი  
მოწყალე უფლის ლოდინში!  
ვერ გავათენეთ ლუსკუმი,  
კართან არ ჩანდა არავინ!  
არ იყო ჩემი სიზმარი  
ღმერთისთვის დასაფარავი  
და ქრისტესისხლა ვეძიე,  
კურნე მამულის ჭრილობა,  
ვერ შევძელ შეუძლებელი,  
ღმერთს ვერ შევკადრე ცილობა  
და გელი მინდვრის ყვავილო,  
სიცოცხლეც,

ერთხელ ჩავლილო,  
გესავ, თვალეში მიყურე!  
სამყარო ეშმას ჭორია  
სად მიხვალ, ლექსო,  
ცის შვილო!  
ღმერთამდე მუდამ შორია...

\* \* \*

მიიჩქარება მდინარე ზღვისკენ,  
დედის ძახილზე  
ყურს ნაბავს შველი,  
ჩიტი ბუდეს ქსოვს ეკალ ბარდებში  
სადღაც ვიღაცა ვიღაცას ელის.  
ტყეში ხეებზე ნებივრობს ქარი  
და რაზე მღერის ,  
არავინ იცის,  
მზე აფერადებს  
გვირილის მინდორს,  
დედას დაეძებს ფრთამალი კვიცი.  
ეზოში დარბის მზესავით ბავშვი,,  
ზის მოხუცი და  
ამინდზე ჰყვება,  
ერთი წამია დღის გადაფრენა,  
შეუცნობია სამყაროს ნება....

### მ ა ი ნ ც

დღის ამალღება ხდება ნათელში,  
რალა ვენათ, სულო,  
თუ ვერ ცისკარებ?!  
მაინც მოხდება  
ზესასწაული,  
მაინც გამიღებს ღმერთი  
იმ კარებს!  
ნულა, თქვენ ჩემო მწუხრის სხივებო,  
ფერთა და ხმათა აკანკალებავ,  
ბუდეებს წნავენ ღამის ფრთოსნები,  
მუსიკა ცაში რომ იმალება,  
ჩამოიღვრება დილის გამებად,  
თან ჩამოყვება ფერთა მირონი,  
ამოივსება მხატვრის პალიტრა,  
ღვთის საიდუმლო უნაპირობით...  
ჩვენ კი, ვიწვნიეთ, რადგან თენებით,  
ვერდნახულის ცად ამალღება,  
გასათნოვდება ხსოვნის ბილიკი  
ნისლი მოირგეს ზამთრის ბაღებმა...  
და მოვა ვიღაც იმ ცხოვრებიდან,  
სად მიწიერთა ვედრება ისმის,  
და თუ იქნება გედის სიმღერა  
წილნაყარობა ჩემი და სხვისი,

მაინც დადგება თესლის კვირტობა,  
ლექსის ღვთაება შამვის  
ცრემლს იხსნის...  
წაწანწკარდება ზღვისკენ მდინარე,  
დაიფანტება მთებზე დაისი!!!  
გადათქვირდება ლეღვის ფოთოლი  
მარადი გვემის სიმსხმოიარე,  
მაინც მოხდება ზესასწაული,  
მაინც გამიღებს ღმერთი  
იმ კარებს...

### შ რ ო შ ა ნ ი

თოვლქვეშ რომ შროშანი იმალება,  
ვაი თუ, არ დაინდონ გრიგალებმა?!  
შიშს ვერ იოკებენ ვერხვები,  
ვდგავარ და ქარის ფრთებს ვეხები...  
აწეწ დაწეწილი მწუხრია,  
ყვირის სითეთრე და  
მუხიანს  
ღრუბლები რევერანსებს უხრიან...  
ო, ღმერთო,  
თავდახრილი შროშანი,  
ეს მინდვრის მანდილოსანი,  
უკვე რომ მისანდობარს მიენდო,  
ნულარ განუდგები, იმედო!  
ცა სულის ერთი სიზმარია,  
როცა კვდები თუ გიხარია,  
როცა შენს მიღმა ისხარია,  
თითქოს ჭრილობას მალავდე...  
თითქოს დუნდეს ეძებდე,  
ქალში იღვიძებდე ქალადვე...  
გაუძელ, შროშანო, გაუძელ!!!  
თუ მაინც ძნელია შენდობა,  
ტირილით იწყება სიცოცხლე,  
კივილით იწყება დედობა!  
სითეთრეს გრიგალიც ვერ წაშლის,  
მარტის თვეს ღიმილი მიანდე,  
მოცანცახდება ნიავი,  
კაბას შეგიკერავს დილამდე!  
ეჰ, ჩემო მინდვრის შროშანო,  
ჩემო ლექსო და მგოსანო,  
სულმა რომ ზესოფელი მოლია,  
ერთი უწყინარი გნოლია!  
იფრინოს იქ, უფლის ნათელში,  
სიყვარულს ელოცოს, გათელილს!  
სამყარო სიკვდილის ველია  
და თუ ანგელოსნი გელიან,  
გაუძელ, გაუძელ, შროშანო,  
შენ, მინდვრის მანდილოსანო!!!

**სისხლიანი ქვები**

როგორც იქნა, შენს ფერში ჩავყუჩდი,  
 ზაფხული რომ მოფოფინდება, ისეთი იყო  
 ღიმილი, ბაიასავით  
 სულის მინდორზე აბიბინებული...  
 მიტოვებულ საყდრის კარებთან  
 ვიდექი ჩემთვის  
 მიტოვებულ ზარის ლოდინში..  
 რატომღაც კო მა ნ ი  
 მომაგონდა ...  
 ბებიას რომ დავყავდი...  
 ყოველ წასვლაზე  
 კალთაში რომ ვიყრიდი  
 ვასილისკოს წმინდა სისხლით  
 დაწინწკლული ქვების გოდებას...  
 დიდხანს ვინახავდით  
 მე და აფხაზი ბებია იმ ქვების ჩურჩულს...  
 მერე ომმა წაიღო ყველაფერი!!!  
 გაღმა დარჩა სათანჯოც და  
 განახევრებულ-გალეული ენგურის ცრემლი  
 ვედარ გამოდგა ღმერთის შუამავლად  
 და ჩემმა მზესავით ბიჭმაც  
 მხოლოდ ერთხელ მოასწრო  
 კიპარისებთან გაჩურჩულება...

**მთლიანი**

მუნას რომ ტოტი ჩამოწყდა,  
 მზე აფათურებს თითებს,  
 წვიმა რომ ჩამოქვითინდა,  
 რომ არა ხარ და...  
 ვითმენ.  
 რომ აკვარელი სავსეა,  
 ბილიკზე სულს რომ გიფენ,  
 ატმობაა და ნანაობს  
 ქარში ფოთოლი მყიფე,  
 რომ ისევ გაგვიანდება,  
 კარებს ანჯამა შევხსენ...  
 ფანჯრები თვალებს ნაბავენ,  
 საცდურო,  
 ვით ვერ მესხენ?!  
 წვიმაც ჩამღერდა,  
 ღუმელში  
 გატრუნულია ბაღი,  
 ორ ნაპირს შუა დავდივარ,  
 შენ მეგულები გაღმით!  
 აქ ფერთა ნაზი ცვენაა,  
 რაღა ვისურვო კიდევ?!  
 მზე იღვენთება...  
 ცის ტოტზე  
 სულს გასაშრობად ვკიდებ...

**წყარო**

დიდხანს ვუსმინე, როგორ  
 მიჰქონდა  
 თავისუფლება  
 ბარის და მთისა,  
 ვით იქმნებოდა მწუხრის მუსიკა,  
 ძვლებში რომ ტეხავს  
 ანთარს და მისანს .  
 მე გაველ სულთა სამარტვილედან,  
 შენ დაგიტოვე მდუმარე სახლი...  
 თითქოს სიზმარში დამირჩა ბუდე  
 და სახლიც შერჩა ფოთლების  
 ძახილს,  
 რადგან მოთმენა წასულთა ხმაა,  
 ფიქრთმდინარება ასე რომ უჭირთ,

მკერდზე ამოსდის ბალახს ბალახი,  
 ვით შეიმეცნებ,  
 დღე არის ფუჭი...  
 არ ვიცი, ამ დროს  
 სად უნდა თესო  
 მადლის დამტევი მდოგვის მარცვალი,-  
 მინდორში დგას და  
 მუნღს იყრის შველი,  
 ქარში გადარბის ლერწმის  
 ფანცქალი....  
 ვით შევძლო ჭირთა დამოშმინება,  
 თოვლი მაცვია და ჩუმად ვთბები...  
 წყარო მიარწევს  
 თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს,  
 მე მტკივა ჩემი დამცხრალი ფრთები!..



ლაშა გვასალია

სამშობლოს პოეტი...



ნოდარ ჯალაღონიას ვიდრე ახლოდან გავიცნობდი, მანამდე მისი პოეზიით გახლდით მოხიბლული, დიდი მუხრანის პატრიოტული ლირიკის შემდგომ, ეროვნული მოძრაობის „ქარიშხლობის“ პერიოდში, ასე არავინ მოსულა ჩემს სულთან ახლოს. იქმნებოდა, როგორ არა, დიდებული ნიმუშები, მაგრამ ბატონი ნოდარი სხვა გახლდათ სრულებით, განსხვავებული, პირდაპირი თქმითა და ნათელი სახეებით, ბუნებრივი მეტაფორებითა და სახალხო სინტაქსით მობუბუნე პოეტი, ვისთან ძალუმაღ ვგრძნობდი „კომბლეს“ უბრალოებით აცამადლებული ქართულის სიდიადეს, რასაც თან სდევდა სათქმელის არა ბუნდოვანი, ძნელად აღქმადი ხერხებით გადმოცემა, არამედ ზუსტი, თვალნათლივი დადასისი...

როგორც ცნობილია, მრავალი კრიტიკოსის აზრით, ლიტერატურა განიხილება, როგორც რელიგიის ჩანაცვლების საშუალება, თუ ამ ხაზს წამითაც გავყვებით, მაშინ თავისუფლად შეიძლება უბრალო პერიფრაზს მივმართოთ, ნოდარ ჯალაღონიასთვის პოეზია გახლდათ სამშობლოს სიყვარულის ღვთაებრივად აღქმის ბუნებრივი საშუალება, ვისთვისაც პატრიოტიზმი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების წესი გახლდათ (ხაზი – რედ.). აბა ბევრი გსმენიათ ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთადერთი საცხოვრისი ქალაქის ცენტრში, ტელევიზიასთან, დოლიდის ქუჩაზე გაეყიდოს და გამოეცეს პატრიოტული, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაზეთი?! დიან, ეს ამ ღვთივ-

გულიანმა ადამიანმა გააკეთა, თავის ძვირფას, უნიკალურ მეუღლესთან ერთად და წამითაც არ უნანია, არასდროს საწუხარი სიტყვა არ დასცდენია. რადგანაც, მისი ღრმა რწმენით, ადამიანი მთელი არსებით სამშობლოს ეკუთვნოდა და მისთვის არათუ მატერიალური სიკეთე, არამედ ყველაზე ძვირფასი, რაც უფლისგან ბოძებული-სიცოცხლე იყო, აუცილებლობის შემთხვევაში ისიც უნდა გაეღო, როგორც ეს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ეროვნულმა გმირმა, უდიდესმა მამულიძვილმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა.

სწორედაც ღირსეული ზვიადელი გახლდათ ნოდარ ჯალაღონია, ფიცის ერთგული ჯარისკაცი თავისი ქვეყნისა!

განათლებულსა და ყოველმხრივ კეთილად მოპირთავებულ პიროვნებას არაფერი აკლდა, რაც შეიძლებოდა იმხანად ჰქონოდა მოსამსახურე შემოქმედსა და მოჯაფე ადამიანს, სამუშაო ტელევიზიაში, მწერალთა კავშირის წევრობა, წიგნების გამოცემით მიღებული ჰონორარი, ასევე სახლი-აგარაკი ქალაქგარეთ... მაგრამ როგორც კი არჩევანზე მიდგა საქმე, ზოგიერთი მისი კოლეგის დარად, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, იმპერიის მხარეს კი არა, სამშობლოს გვერდით დადგა და კანონიერი პრეზიდენტისა და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ერთგულად დამცველი გახდა. ამ დროიდან იწყება ახალი ეტაპი მის შემოქმედებაში, იქმნება ციკლი პატრიოტული ლირიკისა და აბსოლუტურად სხვა, უფრო მათალი და სავსე ნოდარ ჯალაღონია წარსდგება მკითხველთა წინაშე.

თავიდანვე მივანიშნე მის პატრიოტულ ლირიკაზე, დიან, „ყვავილების მიწა“ და სხვა პატრიოტული ლექსები, რომლებიც ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში გახლდათ შექმნილი, ხელიდან ხელში გადადიოდა, განსაკუთრებით სტუდენტ-ახალგაზრდებში, რომლის ნაწილიც თავად გახლდით და ვხედავდი, როგორ იწერდნენ ამ დიდებული პოეტის დიდებულ ლექსებს და როგორ ხალხურდებოდა მისი სტროფები, შეძახილები, შორისდებულებით გახმამაღლებული სტრიქონები...

წამითაც არ შევმცდარვარ მის დიდებულე-ბაში, ამის დასტური გახლავთ თუნდაც ის, რომ ის თავის თაობასა და ეპოქაში ნამდვილად არ დამთავრებულა, არამედ გრძელდება და ცოცხლობს, ვითარცა გაზაფხულის გამოკვირება და ეს მახარებს, რამეთუ მართალი და პატრიოტული სიტყვა ისევე მჩქეფარებს საქართველოში და აცოცხლებს სამშობლოს სიყვარულის გამომხატველ თავისებურად დიად და მაღალ ტონს...

გალაკტიონი წერს: „უტყუარია რაც ძვირფასია...“, ამიტომაცაა გახალხურებული ნოდარ ჯალაღონიას პოეზია „უტყუარი“ და ნათელი.

როგორც აღიარებულისა, მხატვრული შემოქმედების საწყისი ახლოს დგას გრძნობად აღქმასთან, რაც ერთი მხრივ, საგანთა ზემოქმედებაა ჩვენზე, ხოლო მეორე მხრივ, ამ ზემოქმედებით გამოწვეული გრძნობადი მრავალსახეობის მოქცევა ზოგად ცნებაში, ეს „ზოგადი ცნება“ პატრიოტული ლირიკისა გაღვთიურებულია ჩვენი საყვარელი პოეტის შემოქმედებაში და „სხვა გზა, სხვა ხსნა ამას იქით არ გააჩნია“... თუმცა საყურადღებოა მისი სატრფიალო ლირიკა და სხვა სახის ნიმუშები.

მნიშველოვანი შენაძენია ქართული პოეზიისთვის ბატონი ნოდარის მეგრულ მოტივებზე შექმნილი „კოლხური ლირიკული ციკლი“, სადაც პოეტს აკვნისეული წიაღიდან ამოაქვს დიდებული სახეები და ახალი ენერჯითა და მხატვრული სამკაულებით წარუდგენს მკითხველს.

მწერალმა და ესთეტიმა ბატონმა აპოლონ ჟორდანიამ სრულიად სამართლიანად და მრავალმნიშვნელოვნად უწოდა „გულიანანური“ პოეტი მას და ნამდვილად იმსახურებდა ასეთ ეპითეტს, სამშობლოსა და ყოველგვარ მშობლიურზე უსაზღვროდ შეყვარებული შემოქმედი!

ერთმანეთი თბილისში, ეროვნული მოძრაობის შტაბ-ბინასა და ლეგენდარული გაზეთის „აღდგომის“, გამომცემლობა „ზანის“ რედაქციაში გავიცანით, ამ გაზეთსა და გამომცემლობას რედაქტორობდა და ხელმძღვანელობდა სასიქადულო მამულიძვილი, ბრწყინვალე პუბლიცისტი და შემოქმედი ბატონი მურმან ზაქარაია (სადაც მუშაობდა და მოღვაწეობდა თქვენი მონა-მორჩილი). გაზეთს ჰქონდა ლიტერატურული გვერდი და დამატება. რედაქციაში

თავს იყრიდნენ გამოჩენილი და უნიჭიერესი ლიტერატორები, ბელეტრისტები, პოეტები, პუბლიცისტები, მეცნიერები და, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები, ეს სახლი – ტაშკენტის 25 გახლდათ ტაძარი მაშინდელი ეროვნული მოძრაობისა და მექა ეროვნულსულოვანი კალმოსნებისა, რომელთაც სხვა ორგანო გარდა ამ გამშობლიურებული გაზეთისა არ გააჩნდათ. ლიტერატურულ გვერდს და დამატებას რედაქტორობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ირინე ტალიაშვილი. ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში ბატონი ნოდარის არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ მწვავე პუბლიცისტური პუბლიკაციები, სადაც პოეტი დიად და დაუფარავად უპირისპირებოდა შევარდნადის პუტჩისტურ რეჟიმს. უაღრესად თბილი, მისანდო და უკეთილესი ნოდარ ჯალაღონია დაუნდობელი და ცეცხლოვანი გახლდათ სამშობლოს მოღალატეთა და ბალანგართა მიმართ, არაერთს უგემნია სუსხი მისი სიტყვისა და ტკივილი მისი „კალმური მათრახისა“...

ასევე აღსანიშნავია, რომ გამოცემლობა „ზანში“ დაიბეჭდა, ბატონი მურმან ზაქარაიას ხელმძღვანელობითა და გამოისობით, არაერთი მისი კრებული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შედგენილ და გამოცემულ იქნა პოეტის ერთტომეული, რითაც იგი მთელი სისავსით წარსდგა მკითხველი საზოგადოების წინაშე და არაერთი კეთილისმყოფელი რეცენზია და წერილიც მიეძღვნა მის დიდებულ პოეზიას!

არ შეიძლება განსაკუთრებით არ გავიხსენო ბატონი ნოდარის ძვირფასი მეუღლე ქალბატონი მანანა, რომელიც მტლად დაედო მეუღლისა და თანამებრძოლის ესოდენ დიდ შემოქმედებას და გახლდათ მისი ყველაზე დიდი მეგობარი. ისინი ბოლო წლებში მუდამ ერთად იყვნენ, თბილისურ ბინაში, აგარაკზე, თავყრილობებზე, რედაქციებსა თუ სხვა საყურადღებო შეხვედრებზე. ზუსტად მათზე ითქმოდა: ერთ სულ და ერთ ხორც...

როგორც დიდ ილიას და ოლღა გურამიშვილს, სიმონ ჩიქოვანსა და მარიკა ელიავას, ასევე არც მათ „არ აღირსა- ძე“ ზენამ, მაგრამ მათი შვილი იყო საქართველო, როგორც თავად ბატონი ნოდარი ბრძანებდა: „მთელი სიროძე-სიგანითა და გაღვთიურებული გაგებით“.

და ბოლოს:

“რა გულით, ანდა რა ენით ამბობთ სიბილწეს, საოცარს, ბიჭებო! როგორ იმეტებთ დედას – ხატსა და სალოცავს, მარილს რად აყრით სამშობლოს ისედაც გახსნილ ჭრილობას, კარგი დედ-მამის შვილებო, რად გინდათ ბოზის შვილობა. ფუძის ანგელოზს რად აფრთხობთ და ეშმაკს რატომ აბუღებთ, ცოცხლად რატომ კლავთ თქვენს დედას და სულში რატომ აფურთხებთ. ეს არის დიდი სირცხვილი, სიგლახეცა და სილაჩრეც, როდესაც კაცი ამგვარ ფიქრს ენას და სიტყვას მიაჩვევს. დედაზე უფრო ძვირფასი ვინა გყავთ, რა გაბადიათ? დედა – ქართველი ვაჟკაცის სალოცავი და ხატია! თუ ეს ცხოვრება უაზრო, ფიქრს და გონებას აგირევთ, საკუთარ დედას რას ერჩით, ისინი ლანძღეთ, აგინეთ, ვინც მართლა ბოზის შვილია, სამშობლო ფეხზე ჰკიდია, დგანან მსოფლიო ბირჟაზე და საქართველოს ყიდიან. ვინც ოცნებები წაგართვათ, დაგტოვათ ქუჩის ამარა, ვინც თქვენი ხვალისდელი დღე მოკლა და დაასამარა. ვინც ცხოვრობს გრიალ-გრიალით ქვეყანა კი დააქცია, ვინც ბევრის დედა და შვილი მართლაც ბოზებად აქცია. აგინეთ ქვეყნის გამყიდველს, მოღალატეს და გარეწარს, ვინც 9 მარტსა და 9 აპრილს სიკვდილის კალო გალენა. ვინც ჩვენი გოგო-ბიჭები ნიჩბით აჩენა, აწამა, ვინც დღესაც მახვილის ნაცვლად ხელში გაჩეჩებს საწამლავს. ვინც დღესაც გაცლით ხელიდან სამაჩაბლოს და აფხაზეთს, ამაზე უნდა იფიქროთ, უნდა იყვიროთ ამაზე. თორემ რა სახელს მოიხვეჭთ საკუთარ დედის გინებით, როდესაც დედა სამშობლოს სული უჭირავს კბილებით!”

აი, ეს და ასეთი გახლდათ ნოდარ ჯალაღონია, ლირიკოსი და მოაზროვნე, მოღვაწე და პატრიოტი!

## რატომ?!

ნადირობა არ მიყვარს, უარი განვაცხადე ნადირთ და ფრინველთ ხოცვაზე და მორჩა. რამდენჯერ ეცადნენ ჩემი მეგობრები, მეზობლები, ბიძაშვილები თუ სხვანი, მაგრამ ვერა და ვერ შემაცდინეს, ვერ წამიტყუეს სანადიროდ.

სულმნათი მამაჩემის ნაქონი 12-კალიბრიანი „სტენდის“ საუკეთესო თოფი მაქვს. უფრო ცხოველებზე სანადიროა, მაგრამ წვრილი საფანტებით ფრინველებზეც წავა. საიმედო იარაღია, ყველას მოსწონს თვალეები ზედ რჩებათ, მაგრამ რად გინდა, ამჟამინდელი პატრონი, ანუ მე, არ უვარგა. თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსო— კია ნათქვამი, თუმცა ვერ ვარ რიგიანი მეთოფე, უფრო სწორად, მონადირე და რას ვიზამთ!

ნადირი კიდევ ჰო, მაგრამ ფრინველზე ნადირობა აბსოლუტურად მიუღებელად მიმაჩნია. ვერ ვესვრი ხოხობს, ვერც ქედანს, ვერც ჩხართვს და მით უფრო შაშვს. ერთხელ ტყეში მოსეირნეს შაშვი გადმომიფრინდა ბუჩქიდან ჭახჭახით და წამისად მანანა ჩიტისშვილის ლექსი ამომიმზევდა: „შაშვი მეგონა, ბუდიდან სიმღერა გადმოფრთხილდა...“, მიდი ახლა და ესროლე შაშვს, ტოროლას, გვრიტს, მაფშალიას... მოუსწრაფე სიცოცხლე მგალობელ მახარებებს! ვერ ვიზამ ამ საქმეს ვერასდროს და აქედან გამომდინარე ვერ შევდგები მონადირედ.

ჩემს მეზობლად სახელგანთქმული მონადირე და უბადლო ჩუბინი ქორე ძერია ცხოვრობდა. შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი

ქორეს, როგორც ცხოველზე და ფრინველზე ერთნაირად უბადლო მონადირეს. ხელმოცარული არასდროს დაბრუნებულა სახლში. იბღლიანიც იყო და გულიანიც, სროლაც კარგი იცოდა და მეტი რა უნდა მონადირეს. ძაღლებიც, ფრინველებისა და ცხოველების, მუდამ საუკეთესონი ჰყავდა მუხლმამარსა და თვალმიმინოს. ათნაირი თოფი ჰქონდა, როგორც საფანტებისა, ისე გულიანი ტყვიების სასროლი, პნევმატური „გეკო“ და ჭოგრიტიანი „ვინტოვკა“, გააჩნია სად და რაზე უხდებოდა ნადირობა.

ჩვენს სოფელს მდინარე ჩაუდის, უფრო სწორად, ხობისწყალი სოფელს ორად ჰყოფს – პირველ და მეორე გურიფულად. გზადაგზა სხვადასხვა შენაკადებთან და ღელე-ნაკადულებთან ერთად, ხაბოზე შეწეული არაერთი ტბორი აქვს გაკეთებული მდინარისპირს. ზოგიერთი მათგანი ღრმაა და მტკნარი მეტად, ზოგიც პატარა, მაგრამ თავისებურად მიმზიდველი და ლამაზი. დიდ ტბორებში თბილ ქვეყნებისკენ მიმართულმა გადამფრენმა ფრინველებმა იციან შესვენება, ჩვენთან იტყვიან: ფრთების მოკეცვაო. დიახ, მოიკეცავენ დაღლილ ფრთებს, ძალას მოიკრებენ, ნაქარებ, ზეცას შეაღმასებულ მზერას თვალების მოხუჭვით დაასვენებენ და აჟივქარდებიან, შეუყვებიან ქარავნებად, ჯგუფებად თუ ცალ-ცალკე სათბილოსკენ სავალს.

ზოგიერთი აქ რჩება საერთოდ, ეთბილებათ ჩვენი წყალი და ჰაერი, დაიზარებენ წასვლას, მაგრამ ასეთები უმეტესად ჩვენი მონადირეების მსხვერპლნი ხდებიან.

სულმნათმა კური სანაიამ წეროზე შემოსკუპებული მწყერიც მანახა, ვერ ფრენს დიდი ხანი და წეროს ემგზავრებაო.

ბუნებას თავისი საინტერესო და მკაცრი წესები აქვს, ვერავინ ჩაწვდება ჯერჩინებას მისას.

ერთხელ, გვიან შემოდგომაზე, წვიმების ფეხისმოკიდებამდე, ღრუბლებით მოშავებულ ცას ნემსის ჩხვლეტადა რომ აკლდა თქემად წამოსვლამდე, თოფმომარჯვებულმა და ძუნძულით მოხართიხურთე ქორემ, მეზობლის სახლიდან სტვენით მომავალს მითხრა: წამოდი, ჯიჯი, ორმა გედმა გადაიფრინა აგერ, კოკმუხურის ტბაში ჩამოსხდნენ ასიანი და მოგაკლევინებო.

ისე ჩქარად და გულამოთქმით მითხრა ქორემ, ბოლომდე ვერ გავიაზრე რას ამბობდა და

სანამ კოკმუხურის ტბორს არ მივუახლოვდით და საკუთარი თვალებით არ ვნახე ორი ერთმანეთთან მოშარიშურე ყელმოღერებული გედი, მეგონა გარეულ ბატებზე სანადიროდ მივდიოდი. გედების ჩვენთან, თანაც ამ ტბორში ყოფნა ვერ წარმომედგინა.

როგორც კი დამბა გადავირბინეთ და თხმელნარს გავცდით, ქორემ ჩაიმუხლა, მანიშნა, მეც ასე მოვქცეულიყავი და წავედით ხოხვით, ოც მეტრამდე ვიხოხეთ, მერე მიწას განვერთხეთ და ასე ვიხართიხურთეთ ხაბოს პირამდე, ნახევრად გამხმარ ანწლებისა და ხარისთვალეების ჯაგს ამოვეფარეთ. ჰაი, საოცრებაჰ, ზევიდან დავყურებდით ტბაზე მოსრიალე უქათქათეს გედებს. ნისკარტზემო ყვითელი ხონხლოებით რომ ესახუნებოდნენ ერთმანეთს. ცეკვავენო თითქოს, ისე რიტმულად და მოზომილად იცვლიდნენ ადგილს. ერთი, შედარებით დიდი, ხან ფრთებსქვემოთ შეუთართარებდა ნისკარტს, ხანაც ყელზე მიუმსუბუქებდა თავს, მეორე, ალბათ მდედრი, რაღაცნაირი ოსტატობით მორკალავდა კისერს და შემოავლებდა წამიერად მამრს. სიზმარში მეგონა თავი.

– შეყვარებულები არიან, – გამოსცრა კბილებიდან ქორემ.

– რას ამბობ, ქორე ჯიჯი, მართლათა? – აღმომხდა გოცებულს.

– კი, არ უნდა ამას თქმა, ან შეყვარებულები არიან, ან ერთი ბუდე აქვთ უკვე. – დამაჯერებლად ჩაიჩურჩულა ქორემ.

– საოცრად ლამაზები არიან, როგორ დასრიალებენ, ცეკვავენ თითქოს, – ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდა. მუჯლუგუნი მკრა ქორემ, – სუ, შე ოხერო, არ დამიფრთხო ჩიტები.

– რას ამბობთ, ქორე ჯიჯი, ჩიტებია ესენიმეთქი? – მივუჩურჩულე გაკვირვებით გედებზე დაგეშილ მონადირეს.

– ჩიტები არიან, რა არიან აბა, რაც დაფრინავს, ყველა ჩიტია, ჩემო ბატონო, ზოგი – დიდი, ზოგიც – პატარა. მთავარია, გემრიელი ხორცი აქვთ და რაც გინდა ის დაუძახე აწი, შენ. – თქვა ეს, განერთხო მიწას, დაუმიზნა, მაგრამ უცებ ჩემსკენ მოიხედა და მითხრა:

– ერთს ვესვრი ახლა რომელიმეს, მოვკლავ, მთავარია არ ავაცდინო, მეორე კი დამითმია შენთვის, მოკალი და მთელი ცხოვრება ჩემი დამლოცველი იქნები. შამშვს ვერ კლავენ, ბიძია, შენზე ბევრად უფროსები და შენ გელს მოგაკ-

ვლევინებ. არასდროს დაგავიწყდება, მთელი ცხოვრება გემახსოვრება და სულ ამაზე ისაუბრებ. მაცალე ჯერ და .

– რომ ავაცილო? – ხმის კანკალით მივუგე ქორეს.

– მთავარია მე არ ავაცილო, ერთი რომელიმე მოვკლა და მეორე მკვდარს არ მოსცილდება, ერთს ააცდენ და მეორე ესროლე, მესამე, მეათე, სანამ არ მოახვედრებ, უტკლარჭუნე სულ. არ მიატოვებს ცოცხალი თავით მაინც.

ეს თქვა და მოიმარჯვა „გეკო“ , კიდევ ერთხელ მოსინჯა ტყვია, მოხერხებულად, მარჯვენა ხელის მოძრაობით, საკეტი გამოსწია, შესწია და სუნქვაც შეწყვიტა. თითქოს თავადაც იმ თოფად იქცა, შეესისხლხორცა იარაღს და როცა უნდა გამოეკრა თითი, სუნთქვა მეც შემეკრა. წამის შიგნით იმდენი რამ დამიტრიალდა თავში, აღწერა გამიჭირდება. განსაკუთრებულად ულამაზესი ცეკვა-სავსავი და ალერსი შეყვარებული თუ ერთბუდოვანი გედებისა, მერე ისიც, მკვდარ მეწყვილეს, სანამ ცოცხალი იყო, მეორე რომ არ მიატოვებდა და... ისეთი დაუუსტვინე, ისე არაადამიანური ძალითა და ხმოვანებით, ჯერ ხომ მონადირეს მოულოდნელობისგან იარაღი გაუვარდა ხელიდან და

მერე იმ საოცარმა, ულამაზესმა თეთრონებმა აიფრთებდალიანეს და მიაშურეს ერთმანეთის გვერდიგვერდ ღრუბლის ჯანდიან ჩრდილს, დაიყოშეოშეს, ყელეები წაიგრძელეს, ფრთები ააქარქარეს და გაფრინდნენ. ქორე რაღაცას ყვიროდა, უცებჩამწყდარი ხმით არაადამიანურად ხრიალებდა, მეჩხუბებოდა, დორბლი გადმოსდიოდა პირიდან, ხელეებს უაზროდ იქნევდა და ადგილს ვერ პოულობდა ბრაზად ქცეული. მე არაფერი მაინტერესებდა, არც ქორეს ღრიალი, არც მისი შემდგომი ქურქული სოფელში და არც ტოლ-სწორების ქირქილი...

სიყვარული გადავარჩინე...

ისინი მიფრინავდნენ გვერდიგვერდ, ლამაზად, ლაღად, გამარჯვებულად და ისე, როგორც შეყვარებულებსა თუ ერთბუდისებს შეეფერებოდათ.

ეტყობა, ქორეს ხრიალმა და ღრიალმა ცა გაგლიჯა, დაუშინა უსაშველოდ... წვიმდა, წვიმდა და წვიმდა...

მოვდიოდი აუჩქარებელი ნაბიჯებით და ვეკითხებოდი საკუთარ თავს: რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ასეთი უერთგულესი და უღვთიურესი სიყვარული, რატომ?!

ღიახ, რატომ?!

### მოჩა ზიჭაშვილის მოსაგონარი...

სხვა იყო მაინც შენთან პურობა, განმქარვებელი დარდის და სევდის, ხაპი - ხაპობდა, ჭური - ჭურობდა და დევებივით ხვანჭკარას ვხვრეპდით...

ბუჯურეთული გვქონდა ნათლობა თეთრი ლექსივით ფოთლებ უკმარის, ჩვენს სიგიჟებს ვარქვით ალობა, ნაკვერჩხალობდა ცეცხლად ბუხარი...

შაორზე ვკრეფდით თევზსა და ღიმილს, ვუნთებდით ხოტევეს მზის ნაკურთხ სანთელს, ნიკორწმინდიდან ქარების ხივილს მივაგებებდით “რამოვდას” ნათელს...

ვზივარ და იმ დროს ცრემლით ვიგონებ, ცარიელდება ძმათა კარავი, და ამოლექსილ ცხელ- ცხელ სტრიქონებს არ ჰყავს შენდარად შემწე არავინ!..



**შალვა ქარჩავა**



**ლიქსი**

**გაუცხოების სიჩუმე**

ჩემს ლოგინში ცოლი კი არა  
 მე თვითონ ზედმეტი ვარ,  
 თითქოს სიჩუმის ზღვარზე ვდგავარ,  
 საკუთარ ჩრდილსაც არ ვეკუთვნი.  
 გრძნობებში უკვე ფრთხილად დავცურავ,  
 მეზღვაური ვარ უღრმეს სივრცეში,  
 თუმცა ნავი არ მსურს, არც მზე,  
 ზღვა კი იძირება ჩემში.  
 სარკმელში ვიხედები – დამეა,  
 მარტოობა საწოლთან რჩება,  
 ფიქრები დგებიან რიგში,  
 მაგრამ ვერც ერთი ვერ მელაპარაკება.  
 და ეს სივრცე, ოდესღაც ჩემთვის,  
 უცხოა ახლა, ცივია, მტრული,  
 მე თვითონ ვარ აქ ზედმეტი,  
 როგორც დუმილი ღამის სუფრის.  
 ვწევარ და ვესაუბრები სიჩუმეს,  
 რომელიც არაფერს ამბობს,  
 განცდა მიფარავს გაუცხოებას  
 და საკუთარ სულს.

**ორთაშ რსიოლი**

მუზმა სერი რე, კინე ირქალ, ირქალ,  
 დო მუნი-მუნი თე ფირქეფი ჟი მინიქვანთ  
 ნარღეფიმ ორთას, ნამუთ ირთანს..  
 ირთანს დო ირთანს.  
 ხუჯით მემთირუ თე ფირქეფი კინ დიადიხამ.  
 დო თეზმა ცოდა ირკოჩიშო შურს ინმოყორდ,  
 ქომწი სო იბდა, ვაგმარზინე  
 ხვალე თე ზუღას..  
 დო სი მოკოდი–  
 ეთი ხიოლი,  
 ათე მერქული ორთაშ რსიოლი...  
 დო ირსიოლუ დო ირსიოლუ..  
 თე ხვალახობამ პილუნც წყურგილი  
 დო გეგნოსოფუ  
 აწოხურგილი...  
 მა რინამ ჭყიში,  
 სოდგარენ მიფში,  
 ომბოლ მეღერსე..  
 ამ უძახუქი თი სერემსი,  
 მიკმიპჭანუა  
 ურცხო ფერეფით..  
 დო კინ სერეფი, ჩე სერეფი, ჩე სერეფი.

**ბონკოჩი**

სი რექ ბონკოჩი,  
 მანგი, საქვარს ვაგკო მახოლე,  
 სკანი შელევა გამართებათ თექი გახოლუ.  
 აქ ოსინთემე  
 მოურს ფენდა,  
 შურიშ ოჭნახუს  
 ენიხაშუ თი გუთა არზი,  
 ნამუთ ოწმანხო  
 ამო გიძახუ, –  
 მორთი, მორთია!  
 დო ანდანერი დობირკუა  
 ჟი გაგნორთია.  
 ამდღარი რინამ მუკე-მუკე  
 ფუნს დღახუობა,  
 გილულ დუდგიმე, თოლს აწკორე  
 სკან ჩქიჩქუობა.  
 დო უკულიან  
 შარა მართალი,  
 ეთი მაართა  
 სკან მაწვართალი.

თიში სიბონე, შხვამ სიბორუე,  
ძიცა, ლაყაფი...  
ასე სო გოკო მიგორუე  
თქვანცალ ბონკათა.  
ჰე,ჰე, ბონკოჩი!  
სი მოკოდი,  
გილარგორუნდი,  
უსინთუანდი სიმართესი,  
შოშეს, ობენეს...  
მუჟოთ კინოხო  
კოჭობითი, კოც, დიოგენე.

\* \* \*

დღეებს უშენობით ფერი დაკარგვია,  
შენი ნაჩუქარი მაჯის საათივით.  
ირგვლივ დანგრეული სახლის კედლებია,  
სადაც სიყვარულზე ლექსებს ვკითხულობდით.

მასსოვს განშორების ბოლო მელოდია,  
ტრფობით დასერილი გულით ვდიდინებდით.  
მკრთალი სიმპტომებით შეგრჩა დედამიწა,  
კლდიდან მოგლეჯილი მძიმე ლოდებივით.

წყალში გადაყრილი შავი ტიტებია,  
რასაც დავემსგავსე წამში უშენობით.  
ირგვლივ შფოთვია და ისევ ზამთარია,  
სული გამებზაროს ლამის ყინულივით.

ჩემში ყველაფერი ისე აირია,  
როგორც უშენობა ქარში ფოთლებივით.  
შენი ტუჩებიდან ბოლო ამოსუნთქვა  
ბღავის დაჩენილი ვაზის ფესვებივით.

\* \* \*

მტკივა დედამიწა, ცოდვის უფსკრულისად,  
ცამდე აღმართული სულის სვეტებამდე.  
მთებსაც მწუხარების დილა გაუთენდა,  
შვილებდაკარგულზე გლოვით ირმებისგან.

ისმის სონეტებად, მთიდან დაბლობამდე,  
ფოთლებდაცვნილი, ლოცვა იფნებისგან.  
ვლესავ სილუეტებს მთვარის შუქრდილებით,  
ფიქრებდამტვრეული ვტირი სინამდვილეს.

ნეტავ დილიდანვე რატომ უღამდებათ  
ნათელ ადგილებში შობილ იასამნებს?  
სული გამეპაროს ლამის სხეულიდან,  
ოხვრით აკინძული მკრთალი ზამთარივით.

ქარში დაკარგული ბოლო ამოსუნთქვა  
ბღავის უნაპიროდ ტოტებდალენილი.

როდის გათენდება ისევ გაზაფხული?  
შფოთვის გარეშე და ტკბილი აღისუმით.

\* \* \*

ერთმანეთს დავუკრიფეთ გვირილები,  
გვიმზერდნენ ფიჭვები და ტირიფები.  
ლამაზად არწევდა დედამიწას  
ჩვენ, სიყვარული, მზე და მიწა.  
შფოთვა, სილამაზე,  
ხიდი, გვირგვინები...  
ღმერთი დაგინახავს? –  
გკითხავთ მორიდებით...  
მთაში არსებული ტკბილი ჰანგებივით,  
ესე უხდებოდეს გოგოს გვირილები?!

### ქოხი ვარ

ტრფობა,  
უხილავი,  
უძილო,  
მკრთალი,  
უსისხლხორცო,  
უძვლო.  
ქარში დამეკარგნენ ტივები,  
თითქოს უნაპირო ზღვა ვარ...  
მთაში გაჩენილი ხეებით,  
ნაკადულს შენარევი ცრემლები...  
ქოხი ვარ,  
ქოხი ვარ,  
ქოხი...  
უმომავლო და უჭერო შფოთვით...  
განი,  
განელი,  
ნამთვრალევი,  
ოხვრა,  
აფრები,  
მკრთალი დღეები,  
ვინ დაითვალა,  
მერამდენედ ვკვდები წამებში.  
ირგვლივ ირმები,  
რქებდაგლეჯილი  
და შვლის ნუკრები  
უდელოდ ზრდილი.  
ტირის ტირიფი...  
ტირის ტირიფი...  
ტირის ტირიფი...  
ლპება აკვანი ჩვილის გარეშე.  
კვდება ჩონგურიც სიმის გარეშე.

## მცირე პროზა

### ზღვისპირა მოზაიკა

ზღვის ნაპირი, როგორც უზარმაზარი სცენა, იშლება ჰორიზონტამდე. ლურჯი წყალი, თითქოს უსასრულო ცის სარკეა, რომელშიც ახალგაზრდების ოცნებები და იმედები ირეკლება. ქვიშა, როგორც დროის ქვიშის საათი, ნელა იცვლის ფორმას მათი ფეხის ნაკვალევებით, თითქოს ბედისწერის წიგნში იწერება მათი მომავალი.

ახალგაზრდების ხმები ჰაერში ირევა, როგორც მრავალფეროვანი მელოდების სიმფონია. მათი სიცილი ზღვის ტალღებს ეხმიანება, თითქოს ბუნება და ადამიანი ერთ რიტმში ცეკვავენ. საუბრები, როგორც ფერადი ძაფები, იქსოვება ჰაერში, ქმნის იდეების და ფიქრების უხილავ გობელენს.

განათლებაზე საუბრისას, მათი სიტყვები ემსგავსება პატარა ნაკადულებს, რომლებიც ერთიანდებიან ცოდნის მძლავრ მდინარედ. კარიერული მისწრაფებები კი მაღალ მთებს ჰგავს, რომელთა დაპყრობაც მათ სურთ – რთული, მაგრამ მიზნიდველი გამოწვევა.

ტექნოლოგიაზე მსჯელობა ელვასავით კამკამებს მათ თვალებში. იდეები ნაპერწკლებით ცვივა, ანთებს წარმოსახვის კოცონს, რომელზეც ისინი მომავლის ხილვებს აცხობენ.

გარემოს დაცვაზე საუბრისას, მათი ხმები დედამიწის გულისცემას ემსგავსება. თითოეული სიტყვა, როგორც თესლი, იფანტება გარშემო, იმედის ყლორტებს აღმოაცენებს.

სოციალურ საკითხებზე დისკუსია ჰგავს მრავალფეროვან ყვავილნარს, სადაც ყველა ფერი და ფორმა თანაბრად მნიშვნელოვანია, ქმნის ჰარმონიულ მთლიანობას.

კულტურასა და ხელოვნებაზე საუბრისას, მათი აზრები ფრინველებით დაფრინავენ, ხან მაღლა მიფრინავენ აბსტრაქციისკენ, ხან კი ეშვებიან კონკრეტული დეტალების დასაკენკად.

მზე, როგორც დიდი რეჟისორი, ნელა ეშვება ჰორიზონტზე, აფერადებს სცენას ოქროსფრად და ვარდისფრად. ეს დღე, როგორც წიგნის თავი, მთავრდება, მაგრამ ახალგაზრდების ენერჯია და იდეები კვლავ ცოცხლობს, მზად არის ხვალინდელი დღის ახალი თავგადასავლებისთვის.

ეს ბანაკი ზღვაზე არის როგორც მიკროკოსმოსი, სადაც მომავლის არქიტექტორები იკრიბებიან, აშენებენ ოცნებების ქალაქებს ჰაერში, რწმენის ხილებს დებენ წარსულსა და მომავალს შორის და ქმნიან იმედის კუნძულებს ცხოვრების ზღვაში.

### მდინარის გადაღმა

ენგურის მღვრიე წყლები ჩემ წინ ქუხან და ბობოქრობენ, როგორც გამმაგებული ცხენების რემა უკიდვანო ველზე. ნაპირზე ვდგავარ, თითქოს უფსკრულის პირას, ფეხქვეშ მიწა მეცლება და გული ყელში მეხეჩნება. ჩემი მზერა მიჯაჭვულია გაღმა მხარეს – მიწაზე, რომელიც ოდესღაც ჩემი იყო, ახლა კი ისე მიუწვდომელია, როგორც ცის კიდე მოკვდავთათვის.

მდინარის ხმაური ყურებში მიგუგუნებს, თითქოს ათასი დაფდაფი ერთდროულად სცემდეს. ეს ხმა ჩემი სისხლის ჩქროლვას ჰგავს, რომელიც საფეთქლებში მიძგერს. წყალი ისე სწრაფად მიქრის, რომ თვალს ვერ ვადევნებ – ერთი წამით ვხედავ ტალღას და მეორე წამს ის უკვე წარსულია, როგორც გაქრობის პირას მისული მოგონება.

ზაფხულის მზე უმოწყალოდ მაცხუნებს,

მაგრამ მდინარიდან მონაბერი ნიავი სიგრილეს მგვრის. ეს კონტრასტი ჩემს შინაგან მდგომარეობას ასახავს – ცეცხლი და ყინული ერთდროულად მიდუღს ძარღვებში. ჩემს სხეულში ადრენალინი იღვრება, გული აჩქარებით მიცემს, თითქოს გალიიდან გაქცევას ცდილობს.

მეგობრები ნაპირის მეორე მხარეს დგანან, მათი ხმები მესმის, მაგრამ ძლივს ვარჩევ სიტყვებს. ისინი თითქოს სხვა სამყაროში არიან, მე კი აქ ვდგავარ, მარტო, ჩემი წარსულისა და აწმყოს გასაყარზე.

უცებ რაღაც გაუგებარი, პირველყოფილი ძალა მიპყრობს. ეს ძალა ჩემზე ძლიერია, ის მოდის სიღრმიდან, ჩემი წინაპრების ძვლებიდან, მიწიდან, რომელზეც ვდგავარ. ფეხსაცმელებს ვიძრობ, თითქოს წმინდა მიწაზე ვდგავარ, და ცივ, მოძრავ წყალში ვდგამ ფეხს.

პირველი შეხება მაკრთობს – წყალი ცივია და ძლიერი. მდინარე თავისი ურჩი დინებით მეწინააღმდეგება, თითქოს მთელი სამყარო ცდილობს ჩემს შეჩერებას. მაგრამ მე მაინც წინ მივიწევ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად და მტკიცედ.

ყოველი ნაბიჯი ბრძოლაა. წყალი მეხლება, მწვდება, ცდილობს ჩემს წაქცევას. თითოეული წვეთი ჩემს კანზე გაფრთხილებად მეცემა, მაგრამ სურვილი უფრო ძლიერია, ვიდრე ინსტინქტი. ჩემი გონება ყვირის, რომ შევჩერდე, მაგრამ გული წინ მიბიძგებს.

როცა შუა მდინარეში ვარ, მომეჩვენება, რომ წყალი მატრიალებს, როგორც ფოთოლს ქარიშხალში. ერთი წამით პანიკა მიპყრობს – ვგრძნობ, რომ კონტროლს ვკარგავ, რომ მდინარე ჩემზე ძლიერია. მაგრამ მე ვიბრძვი, ვებრძვი დინებას, ვებრძვი შიშს, ვებრძვი საკუთარ თავს. ეს ბრძოლა მაგონებს ჩემი ხალხის ისტორიას – უთანასწორო, მაგრამ აუცილებელ ბრძოლას.

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ვუახლოვდები მეორე ნაპირს. ყოველი მოძრაობა ძალას მართმევს, მაგრამ ამავდროულად მავსებს რაღაც ახალი ენერგიით. ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ ფიზიკური გამოცდა არ არის – ეს ჩემი სულის გამოცდაა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, მეორე ნაპირს ვაღწევ, დაქანცული და სველი, მუხლებზე ვეცემი. მიწას ვეამბორები, ხელებით ვეფერები, თითქოს დაკარგული შვილი დედას შეხვდა. ცრემლები და მდინარის წყალი ერთმანეთში ირევა ჩემს სახეზე. ეს მიწა, რომელსაც ვეხები, ჩემია და ამავდროულად უცხო. მასში ვგრძნობ ჩემი წინაპრების სუნთქვას, მათ ოცნებებს და იმედებს.

ღრო თითქოს გაჩერდა. ვგრძნობ ყოველ ბალახის ღერს, ყოველ ქვას ჩემს ხელისგულში. ვსუნთქავ ამ მიწის სურნელს, რომელიც ერთდროულად ნაცნობიცაა და უცხოც. ეს წუთები მარადისობად მეჩვენება, თითქოს მთელი სამყარო ამ პატარა ნაგლეჯ მიწაზე შემოიკრიბა.

რეალობა ისევ მიბრუნდება, მკაცრი და

დაუნდობელი. ვიცი, რომ აქ ყოფნა ისეთივე სახიფათოა, როგორც ვულკანის პირზე დგომა. ვდგები, კიდევ ერთხელ ვავლებ თავს ამ მიწას, ვცდილობ დავიმახსოვრო ყოველი დეტალი და მდინარისკენ მივდივარ.

უკან დაბრუნება კიდევ უფრო რთულია. დინება მეწინააღმდეგება, თითქოს მთელი მდინარე ცდილობს ჩემს შეჩერებას. ყოველი ნაბიჯი ბრძოლაა. ვგრძნობ, როგორ მეღევეა ძალა, მაგრამ ვიცი, რომ უკან დასახევი გზა არ მაქვს. ეს ბრძოლა ახლა ჩემი არსებობის აზრად იქცა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ნაპირს ვაღწევ, დაქანცული და ამოღელვებული, მეგობრებს ვუყურებ. მათ თავლებში შიშსა და გაოცებას ვკითხულობ, მაგრამ ასევე ვხედავ პატივისცემას და გაგებას. მათ კარგად ესმით, რა განვიცადე, ვგრძნობ მხარდაჭერას.

ღრმად ვისუნთქავ, თითქოს ჰაერი არასდროს მყოფნიდა. ჩემი სხეული კანკალებს დაღლილობისგან და ადრენალინისგან. ვგრძნობ, რომ რაღაც შეიცვალა ჩემში – თითქოს ნაწილი იქ, მეორე ნაპირზე დავტოვე, და სამაგიეროდ რაღაც ახალი შევიძინე.

მზე ნელ-ნელა ჩადის, ცას ვარდისფრად და ოქროსფრად ღებავს. კიდევ ერთხელ ვუყურებ მდინარის მეორე ნაპირს, რომელიც ახლა მზის უკანასკნელ სხივებში ბზინავს. მდინარე კვლავ ბობოქრობს, მაგრამ ახლა მისი ხმაური თითქოს სხვანაირად მესმის – როგორც გამოწვევა, როგორც დაპირება.

ვხვდები, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩემი ბრძოლა, ისევე როგორც ეს მდინარე, არ შეჩერდება. მაგრამ ახლა ვიცი, რომ ამ ბრძოლაში მარტო არ ვარ. ჩემს უკან დგანან ჩემი მეგობრები, ჩემი ხალხი, ჩემი წინაპრები.

და მე მზად ვარ ამ გამოწვევისთვის, როგორც კლდე მდინარის პირას, რომელიც უდრეკად დგას წლების განმავლობაში. ვიცი, რომ ერთ დღეს ეს მდინარე აღარ იქნება გამყოფი ხაზი, არამედ გახდება ხიდი, რომელიც გაერთიანებს გაყოფილ მიწას და ხალხს. და ამ დღისთვის მე მზად ვარ – ვიბრძოლო, ვიოცნებო და ველოდო.

## შ ა ნ შ ე !

ერთ ღროს დიდ მთიანეთში, რომელიც მუდამ თოვლით და მწვერვალებით გამოირჩეოდა, ერთ მაღალ კლდეზე ბუდობდა არწივი, სახელად შანშე. შანშე იყო მთების მეფე, ძლიერი და მტკიცე, რომელიც თავისუფლად დაჰქროდა ცის უსაზღვრო სიღრმეებში.

შანშეს დიდებული ცხოვრება ერთ დღეს ტრაგედიამ შეცვალა. როდესაც ის თავისი ბუდიდან გაემგზავრა საკვების მოსაპოვებლად, ერთმა მონადირემ, სახელად ხეჩუამ, მისი სილამაზე და ძლიერება შენიშნა და გადაწყვიტა, თავისი ნადავლი გაეხადა. ხეჩუამ მიზანში აიყ-

ვანა და იარაღი მოიმარჯვა. სროლის ხმა მთაში ექოდ გაისმა და შანშე მიწაზე დაეცა. ტკივილმა და შიშმა ერთიანად მოიცვა მისი სხეული, მაგრამ თავისი სულიერი ძალით მაინც შეძლო კლდის ხვრელზე დამალვა, სადაც მონადირეს ვერ მიეკვლია.

დაჭრილი და დასუსტებული შანშე წყაროსთან ახლოს ერთ ხვრელში იმალებოდა. დღეები გადიოდა და მისი ტკივილი ძლიერად გამძაფრდა, მაგრამ ბუნება იყო მისი უდიდესი მეგობარი და მკურნალი. მისი კლდის მახლობლად მცენარეები და ყვავილები აფრქვევდნენ თავიანთ სამკურნალო არომატს. შანშე ყოველდღე სვამდა წყაროს ცივ წყალს, რომელიც მის ჭრილობებს ამშვიდებდა. იგი ნელ-ნელა ხორცდებოდა და სიცოცხლის სიხარული ბრუნდებოდა მის თვალებში.

ბუნების შუაგულში ისწავლა, რომ თითოეული ტკივილი და ჭრილობა შესაძლებელია გადაიქცეს ძლიერების წყაროდ, თუ მასთან ბრძოლისა და გადალახვის სურვილი გვაქვს. მისი ჭრილობები ნელ-ნელა ხორცდებოდა, ხოლო ბუნების სილამაზე და სიმშვიდე, რო-

მელიც მის გარშემო იყო, შველოდა ტკივილის დაძლევაში.

გავიდა თვეები და შანშე ნელ-ნელა უკან იბრუნებდა თავის ძველ სიძლიერეს. მან დაიწყო თავისი ფრთების გაწევა და გაშლა, რათა კვლავ ჰაერში აეწია. ერთ მშვენიერ დილას, როდესაც მზის სხივები მთის მწვერვალებს დასცხრებოდა, თავისი ფრთები გაშალა და ჰაერში აფრინდა. მისი თვალები კვლავ ბრწყინავდნენ და ფრთები ჰაერში ძლიერად ტრიალებდნენ.

შანშეს ამბავი მთელ მთიანეთში გავრცელდა. ხალხი მიხვდა, რომ არა მხოლოდ ძლიერი და ლამაზი არწივი იყო, არამედ სიმბოლო იყო იმის, რომ სიცოცხლის ტკივილი და განსაცდელი შეიძლება გადაიქცეს სიძლიერისა და ძლიერების წყაროდ, თუ მოვისმენთ და მივუძღვით ბუნების სიბრძნესა და ძალას.

და ასე, შანშე კვლავ განაგრძობდა თავისი მთების მეფობას, მაგრამ ახლა უკვე უფრო ძლიერად, მეტად გააზრებულად და მადლიერი იყო თავისი ყოველი დღისთვის, რაც მისი განახლებული სიცოცხლის დასაწყისი იყო...

## ტაბილი ალისუმი

გოგონა, რომლის მშვენიერებაც ჟღერს, როგორც უძველესი ლეგენდა, ნაზად ნათქვამი ქარის მიერ გაზაფხულის პირველ დღეს. ეს ადამიანი ატარებს თავის თავში საუკუნეების სიბრძნეს და იმავდროულად ახალგაზრდული ენერჯის ხიბლს.

მისი გამოჩენა ჩემს ცხოვრებაში ჰგავს მზის ამოსვლას უღრან ტყეში – უეცრად, ბნელი და უსიცოცხლო გარემო ივსება ფერებით, სინათლით და სითბოთი. ალისუმის ნაბიჯები მსუბუქია, თითქოს ის არ დადის, არამედ დაცურავს ჰაერში, როგორც ზღაპრული არსება.

მისი შავი თმა – ეს არის ღამის ზღვა, სადაც ვარსკვლავები ცურავენ და მთვარე იმალება. ყოველი კულუნი თითქოს ცოცხლობს თავისი ცხოვრებით, ცეკვავს ქარში და ეფერება მის სახეს. ეს თმა ხან ნიაღვარივით ეშვება, ხან კი რთულ ნაწნავებში იკვრება, თითქოს ცდილობს გამოხატოს თავისი პატრონის გუნება-განწყობილება.

ალისუმის თვალები – ეს არის სამყაროს ორი სარკმელი, საიდანაც იხედება მისი სული. ისინი ღრმა და იღუმალაია, როგორც ოკეანის უფსკრული, მაგრამ იმავდროულად ნათელი და მიმზიდველი, როგორც ცის კამარა მზიან

დღეს. ამ თვალებში შეიძლება დაინახო სიბრძნე და ცოდნა, სიხარული და სევდა, სიყვარული და თანაგრძნობა. ისინი ცვლიან ფერს მისი განწყობის მიხედვით – ხან ზურმუხტია, ხან კი საფირონი.

მისი სახის ნაკვთები თითქოს გამოქანდაკებულია უძველესი ოსტატის მიერ – ყველაფერი იდეალურად არის შერწყმული და ჰარმონიული. მაღალი ყვრიმალები, ნაზი ტუჩები, სწორი ცხვირი – ყველაფერი ქმნის სრულყოფილ კომპოზიციას, რომელიც შთაგონების წყაროდ იქცევა მხატვრებისა და პოეტებისთვის.

ალისუმის გონება – ეს არის უსასრულო ლაბირინთი, სადაც ყოველ მოსახვევში ახალი იდეა იბადება. მისი აზროვნება სწრაფია და მოქნილი, როგორც მთის მდინარე, რომელიც გზას იკვლევს კლდეებს შორის. ის ადვილად პოულობს კავშირებს ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ იდეებს შორის და ხედავს სამყაროს ისეთი კუთხით, როგორც სხვები ვერ ხედავენ.

მისი საუბარი – ეს არის მუსიკა, რომელიც ჟღერს ყურში როგორც უტკბესი მელოდია. ყოველი სიტყვა არის შერჩეული ზუსტად და გამოთქმული ისე, რომ მსმენელი ვერ წყვეტს მოსმენას. ალისუმის ხმა ხან რბილი და და-

მამშვიდებელია, როგორც ზღვის ტალღების ჩურჩული, ხან კი მძლავრი და მგზნებარე, როგორც ქარიშხალი.

მისი ხასიათი მრავალწახნაგოვანია, როგორც ბრილიანტი. ის შეიძლება იყოს ნაზი და მზრუნველი, როგორც ღედა, ან მტკიცე და შეუპოვარი, როგორც მეომარი. ის არის ღრმად მოაზროვნე, რომელსაც შეუძლია საათობით იმსჯელოს ნებისმიერ საკითხებზე.

მისი ეშხი – ეს არის უხილავი ძალა, რომელიც იზიდავს ადამიანებს როგორც მაგნიტი. ის არ არის უბრალოდ ფიზიკური მიმზიდველობა, არამედ რატაც უფრო ღრმა და იდუმალი. ეს არის ნაზავი მისი ინტელექტის, ქარიზმის, თვით-

დაჯერებულობის და შინაგანი სილამაზისა, რაც ქმნის განუმეორებელ აურას მის გარშემო.

აღისუმის თანდასწრებით სამყარო თითქოს იცვლება – ფერები ხდება უფრო მკვეთრი, ბგერები – უფრო მელოდიური, სუნები – უფრო ინტენსიური. ის არის როგორც ჯადოსნური სარკე, რომელიც აჩვენებს სამყაროს მის საუკეთესო ვერსიაში.

ის არის ცოცხალი პოეზია, სიცოცხლის სიმღერა, რეალობად ქცეული ოცნება. აღისუმი – ეს არის სილამაზის და ჰარმონიის განსახიერება, ცოცხალი შეხსენება იმისა, თუ რამდენად საოცარი შეიძლება იყოს ადამიანური არსება.



**ჯამალ შონია**

**პირველი ნაბიჯების უკვდავი კვალი**

ეს წერილი ერთ-ერთია მოგონებათა იმ ციკლიდან, რომელიც ჩემს სტუდენტურ წლებს ეხება; ეს წლები კი მარად დაუვიწყარ და მონატრებულ სოხუმთანაა დაკავშირებული, იმ სოხუმთან, რომელიც, რუსული შოვინიზმისა და მისგან ნაშობი აფსურული სეპარატიზმის სუსხის მიუხედავად, მაინც რჩებოდა თბილ და მზიან ქართულ ქალაქად, ქართული სიტყვისა და გონის სავანედ, სადაც იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, სწავლობდნენ, წერდნენ, ქმნიდნენ ქართულად და ასე ემსახურებოდნენ ქართული სახელმწიფოს ერთიანობის სიმტკიცეს.

დღეს თითქოს ყველაფერი, თვით ქართული ცხუმიც, უძველესი დიოსკურიის მსგავსად, წყალშია ჩაძირული, მაგრამ უნდა ვირწმუნოთ ღმერთი და მისი სამართალი და გვჯეროდეს, რომ ის საშინელება, რომელსაც აფხაზეთის ტრაგედია ჰქვია, მის ჩამდენ ურჩხულს აუცილებლად მიეზღვება და საქართველოს განუყოფელი კუთხეც საკუთარ ისტორიულ წიაღს დაუბრუნდება...

ჩემმა სოხუმურმა სტუდენტურმა ცხოვრებამ, ოთხმა წელიწადმა ელვასავით გაირბინა ინსტიტუტის აუდიტორიებში, სოხუმის წარმტაც სანაპიროზე თუ მყუდრო, ულამაზეს ქუჩებში, საჯარო ბიბლიოთეკასა თუ რესტორნებში, რომლებშიც სტუდენტური ჯიბის შეძლების კვალობაზე ლაღი და ტკბილი სუფრები გაგვიშლია ხოლმე, სოხუმის წიგნის მაღაზიებშიც, სადაც, საჭმლის ფულს ვიკლებდით და წიგნებს ვყიდულობდით, ხანდახან კი, ცოდვა გამხელილი სჯობს, ძალიან სასურველი წიგნი უბეში დამალული გამოგვქონდა იქიდან.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ასაკში დროც უანგარიშოდ დაგვიკარგავს, არასოდეს დაგვვიწყებია შემოქმედებითი ცხოვრება. მე და ჩემი თანაკურსელები, განსაკუთრებით ტიტე მოსია, ხშირად ვსტუმრობდით რედაქციებს, ვიბეჭდებოდით, ვეცნობოდით სოხუმელ მწერლებს, აქტიურად ვმონაწილეობდით სტუდენტურ ლიტერატურულ წრეში, თან ზოგიერთი ლექტორი ისეთი გვყავდა, რომლებიც თვითონ იყვნენ დიდებული ლიტერატორები: ოთარ ჟურღულია, ვანტანგ ვახანია, ეთერ ქაჯაია, ბენო გვასალია, ნიკანდრო ბასილაია, ვალერიან აქირთავა, ალექსანდრე კიკვაძე...

ჩემი სტუდენტობის პერიოდს (1966-1970

წლები) დაემთხვა ბევრი ნიჭიერი პოეტის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე. ამ დროს ბევრმა მათგანმა პირველი წიგნები გამოსცა და მათ პირველ მკითხველთა და შემფასებელთა შორის ჩვენც ვიყავით.

ზემოთ რედაქციები ვახსენეთ და სოხუმში სულ ორი ასეთი დაწესებულება იყო: საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთისა“ და სოხუმის საქალაქო და რაიონული გაზეთ „კომუნისტური შრომის“ რედაქციები. მაშინ ქართული ლიტერატურული ჟურნალი აფხაზეთში არ გამოდიოდა და ეს გაზეთები მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდნენ აფხაზეთში მცხოვრების არც ისე ცოტა ლიტერატორების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მათთან შედარებით აშკარად პრივილეგირებულ გარემოში იყვნენ აფსუა მწერლები; მათ ჰქონდათ ჟურნალები დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც, მათ ჰქონდათ საშუალება, თუ ყოველ წელს არა, ყოველ მეორე წელს გამოეცათ წიგნები, თანაც დიდი ტირაჟით, მათი თარგმნა სავალდებულო იყო და, საერთოდ, „საბჭოთა ინტერნაციონალიზმის“ ვერაგული გეგმის მიხედვით, პრივილეგირებული და წახალისებული იყო „აფსუობა“, მათ მიერ ისტორიის მიტაცებაც და იმ ცრუ და მახინჯი შეხედულების აჟიტირება, რომ აფხაზეთის მიწაზე მასპინძლის სახელის უფლება მხოლოდ და მხოლოდ სწორედ „აფხაზად“ გასაღებულ აფსუას აქვს, თითქოს აქ უხსოვარი დროიდან არ ეცხოვროთ ქართველურ ტომებს, პირველ რიგში, მეგრელებს. უსაფუძვლო პრივილეგიების, ეროვნებისა და ენის მიხედვით ცარისტული და კომუნისტური იმპერიის მიერ დამზებული უთანასწორობის მზაკვრული გეგმის შედეგი იყო ის, რომ ქართველური წარმოშობის გვარის წარმომადგენლები „მასობრივად ეწერებოდნენ აფსუა ეროვნებად; ცარისტულ რუსეთში ეს ძირითადად ხდებოდა სამხედრო ბეგრისაგან თავის არიდების მიზნით, რასაც საბჭოთა სინამდვილეში სამსახურებრივი, საყოფაცხოვრებო და სხვა უპირატესობანი მიემართა. საბჭოთა პროპაგანდამ ასე, თანდათან და მეთოდურად, ისტორიულ მამაპაპურ ფესვებს მოაშორა და აფსუათა გენოფონდის შესავსებ მასალად აქცია აფხაზეთის ძირძველი ქართველური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბოლოს კი ისინი თავიანთი სისხლ-ხორცის შე-

უწყნარებელ მტრადაც აქცია და ძმები იარაღით დააპირისპირა ერთმანეთს.

ჩვენ რადგანაც აქცენტი შემოქმედებით სფეროზე ვაკეთებთ, აღვნიშნავთ, რომ უამრავი შემთხვევა მქონია, ქართული გვარის მქონე გააფსუებული მწერლის თუ სხვა დარგის ხელოვანის დაუფარავი და ზღვარს გადასული სიძულვილის გამოხატვისა ქართველთა მიმართ, თვით აფხაზეთში ოდითგანვე მცხოვრებ ჩვენებურთა მისამართით, მაშინ როცა ბევრი მათგანი ჩვენი უფროსი თაობის თვალწინ იქცა აფსუად გარკვეული ანგარების სანაცვლოდ. მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს გალის რაიონული გაზეთის რედაქციაში ბევრჯერ მომაკითხა აფსუა პოეტის ბორის გურგულიას ალაღმა ბიძაშვილმა სოფელ ბედიიდან, რომელიც მეუბნებოდა, რომ მისი საგვარეულოს ახლო ნათესავები მთლიანად ქართველები არიან ბორის გურგულიას ღვიძლი დის ჩათვლით. ასეთ აბსურდამდე მისვლაში თვით ქართველებსაც შეჰქონდათ წვლილი, ძირითადად, „კომუნისტური ინტერნაციონალიზმით“ მონიბლულთ და გაბრუებულთ... ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი და ჩემს სათქმელზე გადავალ.

ჩემი პირველი ლექსი 1965 წლის 9 მაისს დაიბეჭდა საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ – „უსახელო გმირის საფლავი“, მაგრამ თუ არ ვიგულისხმებთ მხოლოდ ბეჭდურ გამოცემას, ჩემი დებიუტი უფრო ადრე შედგა: 1965 წლის 27 მარტს სწორედ სოხუმში, აფხაზეთის რადიოს რედაქციაში გავიცანი მაშინ იქ მომუშავე ახალგაზრდა პოეტები გენო კალანდია და ჯანო ჯანელიძე. იქიდან მოდის ჩვენი ურთიერთობა, რომელიც წლების განმავლობაში უფრო გაღრმავდა და გამრავალფეროვნდა, რასაც, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყობ ხელი სოხუმში გატარებულმა სტუდენტურმა წლებმა. ამ ადამიანებით იწყება ჩემი ურთიერთობა სოხუმელ, ზოგადად, აფხაზეთში მოღვაწე მწერლებთან, რომელთაგან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ზურაბ ნაყოფია, მიხეილ ჩაჩუა, შოთა აკობია, ევგენი აქუბარდია, მურმან ხურცილავა, ვლადიმერ ჯოლოგუა, აპოლონ ჯინჯოლია, ინდიკო კვეკვესკირი, გივი ბერაია, ვარლამ ბულისკერია, ხუტა გაგუა, მოსე გვასალია, დიმიტრი გიგიბერია, მირიან დგებუაძე, რამაზ და ნუგზარ კუპრავები, ბორის კიუტი, მირიან მირნელი, ოთარ მიქაძე, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, გიორგი სიჭინავა, კონდრატე უბილავა, ალიო ქობალია, ოთარ ჭურღულია, ნოდარ ხუნდაძე და სხვები. ამათგან ზოგს ძალიან კარგად ვიცნობდი, ზოგს – მხოლოდ ერთი-ორი შეხვედრით, მაგრამ გა-

მუდმებით ვადევნებდი თვალს მათ შემოქმედებას მათი წიგნებითა და გაზეთებში გაბნეული ნაწერებით. ბუნებრივია, უფრო მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობა მქონდა ჩემი თაობის შემოქმედებთან, რომლებთანაც სოხუმის პედინსტიტუტი მაკავშირებდა მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ინსტიტუტში არც სწავლობდა. მათ შორის არიან ჩემი თანაკურსელი და მეგობარი ტიტე მოსია, თამაზ ახალაია, რენე კალანდია, მადონა კალანდია, თემურ მიბჩუანი, გურამ ოდიშარია, სერგი საჯაია, გულად ფეტელავა, არჩილ ფირცხალავა, სვეტლანა ქარჩავა, ამირილონ ჩეგიანი, დალი ცაავა, გულად ძიდიგური, ვალერი ვეკუა და სხვები. მოწმე ვარ ამ ახალგაზრდების პირველი ლექსების დაბეჭდვისა, პირველი წიგნების გამოცემისა, მაგრამ ამ დროს, გასული საუკუნის 60-იან წლებში, არც მიფიქრია იმაზე, რომ უფროსი თაობის ბევრმა წარმომადგენელმაც მაშინ გამოსცა პირველი წიგნი.

მოდით, ამ წერილში ვინც პირველნი დავასახელებთ, იმ ავტორებით დავიწყოთ:

გენო კალანდიამ პირველი წიგნი „ცა და ფოთლები“ 1966 წელს გამოსცა (რედაქტორი ხ.გაგუა), რომელშიც უკვე გამოკვეთილად ჩანდა ავტორისთვის დამახასიათებელი ხედვები და ინტონაციები. კრებულში ძირითადად ურითმო, თავისუფალი ლექსებია თავმოყრილი, რომლებშიც მელოდიურობის კომპენსირება სტრიქონთა რიტმული თანაფარდობის ხარჯზე ხდება. პოეტის წარმოსახვები ნათელი და მსუბუქია და ეს წიგნის პირველივე ლექსში ამნაირად წარმოგვიდგება: „ისე თენდება, ისე თენდება, დღე იბადება თითქოს პირველად და ცის ლილისფერ სივარდილეს ალამაზებენ მკვირცხლი მერცხლები. რა ლამაზია ცა უსასრულო, რა ძვირფასია მიწა მშობელი! და ბედნიერი ადამიანი არ მალავს, რომ ის ბედნიერია!“ („ისე თენდება“).

ასეთივე მშვიდი, იდილიური სურათია დახატული ერთ-ერთ უსათაურო ლექსში: „სახურავებზე და ბადის ახლოს თოვლივით მშვიდი მტრედები სხედან, როგორც ნიშანი ბრწყინვალე დღეთა... მზით მოძალებულ რიჟრაჟის იქით თეთრი ქორივით მიფრინავს ფიქრი...“

კრებულში უხვად შემოდის ბროწეულების ფერი, მის ყვავილების სურნელიცა და ნაყოფის გემოც: „გზებზე ასკილი, ძოწისფერი ტოტი ასკილის და სულ ლამაზი, სულ ლამაზი სველი ნისლები, რაიც აცოცხლებს ფიქრებს, იმედებს და ლაპლაპებენ ბრინჯაოსფრად მთათა ზურგები. ბროწეულების მარცვლებივით ცვივა

სხივები კლდეს მიმსხვრეული წითელი მზისა... მზესუმზირების ჭორფლიანი მძიმე ქულები გარუებულან ჩუმი ქარებით“ (უსათაურო).

სხვა ლექსში („პატარა მდინარე“) ვკითხულობთ: „ბადებევით მკერდზე მაყრია ბროწეულების ჩუმი ჩრდილები“...; სხვა უსათაურო ლექსში ეს ნაცნობი და ახლობელი ფერი ასე შემოდის: „ბროწეულების წითელი ფერით უცებ გაჩაღდა ჩემს სულში ცეცხლი და მხიარული ნაკადულებით გავახალისე თანდათან სივრცე“... და ამავე წიგნშია მშვენიერი მხატვრული სახეებით მორთული სოფელი ბროწეულაც: „ბროწეულაში თენდება ადრე. მამლის ყელიდან ამოდის დილა და როგორც ჩქარი მატარებლები, მიისწრაფვიან ღრუბლები სადღაც. ხეების მიღმა მდინარე ბრწყინავს, ვით მთვარის შუქზე შიშველი დანა და ჩემთვის ძვირფას ბროწეულაში ბროწეულისფრად ნათდება ზეცა“.

პოეტის მიერ დახატული სამყარო სიმშვიდითა და ადამიანური სიკეთით არის გაჯერებული: „მთებზე მაღალი ალვების იქით, ბებერი ციხის დაღალული კედლების ღუმელს აკრთობდა ქარი, აკრთობდა ქარი და ივსებოდა ხმაურით სივრცე... მთებზე მაღალი ალვების იქით, წითელ კრამიტით გადახურულ პატარა სახლში ცხოვრობდა კაცი, მოხუცი კაცი და მიყვებოდა ჯადოსნურ ზღაპრებს“. ამ ლექსს „ალვების იქით“ ჰქვია და ეს სახელი პოეტმა თავის მორიგ კრებულს დაარქვა, რომელიც ორი წლის შემდეგ გამოსცა მოსე გვასალიას რედაქტორობით.

ეს წიგნიც პოეტის მიერ პირველ კრებულში შემოთავაზებული სტილურ-კომპოზიციური ხაზის გაგრძელებაა. პირველივე ლექსით „ნუ დამანახებ“ ავტორი მიმართავს ღმერთს, ადამიანსა თუ წუთისოფელს და თავის წრფელ სურვილებს ანდობს მას: „ნუ დამანახებ შიშით, წვალეებით გათხრილ გზებსა და საძმო საფლავებს და მოხუცებულ დედის თვალეებში აკანკალებულ ცას და ვარსკვლავებს... ნუ დამანახებ მთებზე, ქედებზე გადმობრუნებულ ცას და ვარსკვლავებს და მიტოვებულ სახლის კედლებზე ჩვენს დაღუმებულ ჩანგს და საკრავებს“. 60-იან წლებში, ამ ლექსის წერისას, დარწმუნებული ვარ, ავტორს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ოცდაათი წლის შემდეგ მართლაც საკუთარი თვალეებით დაინახავდა ყველა ამ უბედურებას და უფრო მეტ საშინელებასაც, რაც თავს გადახდა აფხაზეთის ქართველობას, როდესაც ყველამ ერთად ვიხილეთ შიშით გათხრილ საფლავებიც და უსაფლავო მიცვალებულებიც, დახვრეტილი, ნაწამები მოხუცებულებიც და ახალგაზრდებიც, მწარე რეალობად იქცა „მი-

ტოვებული სახლის კედლებზე დაღუმებული ჩანგი და საკრავები“. მე მინახავს უმწეო, დათრგუნული და თან გაბრაზებული გენო კალანდია ჭებერში, სადაც თავს იყრიდნენ უღელტეხილიდან ფეხით გადმოსული გატანჯული, სახეწამლილი, სამოსშემოძარცული და საკენიდან უკრაინელთა შვეულმფრენებით გადმოყვანილი გაუბედურებული დევნილები; მე მაშინ საპირისპირო მიმართულებით, საკენისაკენ მივეშურებოდი ჩემი ქალიშვილის საძებნელად, რომელიც თურმე სულაც არ მოდიოდა ამ გზით და კეთილი ადამიანები სოხუმში, გოთუას ქუჩაზე მდებარე სახლის სარდაფში მალავდნენ სხვა სტუდენტ გოგონებთან ერთად. მაშინ გენოს, ჩემთვის ასე ახლობელ ადამიანს, არ უკითხავს, თუ რა გასაჭირმა ამომაყოფინა თავის შვეარდნადის გვარდიელებითა და მხედრიონელებით გატენილ ჭებერში და ერთმანეთისთვის არც შეგვიხსენებია ეს შეხვედრა შემდგომი მრავალწლიანი ურთიერთობის დროსაც.

1966 წელს გამოსცა თავისი პირველი წიგნი ჯანო ჯანელიძემაც – „სიცარიელე ძველ სანგრებში“. მართალია, წიგნის სახელწოდება ერთგვარი მილიტარისტული ასოციაციების მომგვრელია, მით უმეტეს, აფხაზეთის მიწაზე გაჩაღებული ომის შემდეგ, მაგრამ ესაა უწყინარი ლირიკული განცდების კრებული, რომლითაც ფიქრობდა და აზროვნებდა ამ დროის ახალგაზრდა ადამიანი.

„ვიბადებით და ჩვენი თვალეები წამსვე საყვარელ თვალეებს ეძებენ – ვიბადებით და ჩვენი გულეები უსიყვარულოდ წუთით ვერ ძლებენ“, – ამბობს ერთ-ერთ ლექსში პოეტი და სხვა ლექსში („პირველი წიგნი“) მკითხველთან პირველი შეხვედრის განსაკუთრებულობას ასე გვიზიარებს: „პირველი წიგნი მე მაგონებს პირველ სიყვარულს, პირველ წვას, ღელვას, გულზე მძაფრად ცეცხლის მოდებას, რაღაც უფრო დიდს, უფრო მაღალს და უფრო ძლიერს... რომელიც შემდეგ არასოდეს განმეორდება... პირველი წიგნი მე მაგონებს გაფრენას პირველს, როცა მიწაზე ხორცი რჩება, სული – მორდება“.

პოეტს სწამს ბედნიერი მომავლის, სიცოცხლის ძლიერების, სიკეთის უკვდავებისა: „არ შეიძლება, რომ ყველაფერს წაერთვას ფერი და დადგეს ქვეყნად ფოთოლთა ცვენა! არ შეიძლება, რომ ყველაფერს წაერთვას ფასი და სიხარული გადაიქცეს ცრემლად!“

ამ კრებულშია დაბეჭდილი საკმაოდ ემოციური ლექსი „ბომა ქალეები“, რომელიც ავტორს გამორჩეულად უყვარდა და, რაც მე მინახავს, ყოველი საჯარო გამოსვლისას ამ ლექსს კითხუ-

ლობდა: „თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო, მომეცი ფული, გაგიხსნა გული, თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო, მომეცი პური, მშია ძალიან! და რადგან დედას არ ჰქონდა ფული, და რადგან დედას არ ჰქონდა პური, ნატებს მჭადისას აძლევდა ბოშებს...“ სხვათა შორის, დედის სახელის მიმართ მოწინააღმდეგე ასეთი სიტყვებით გამოხატა პოეტმა ლექსში „ანკეტა“: „და მართალი ვთქვა, ძლიერ მწყინს რაღაც, რომ ლურჯ ანკეტას არასოდეს შეუკითხავს სახელი დედის“.

და ბოლოს, თვით ლექსი „სიცარიელე ძველ სანგრებში“. ჯანო ჯანელიძეც მეორე მსოფლიო ომით ტრავმირებული ბავშვების თაობას ეკუთვნის, ისიც, სხვა შემოქმედთა მსგავსად, მშვიდობას უმღერის და ჯერ კიდევ არ იცის, რომ ერთი შეხედვით მზიან და სამოთხისდარ აფხაზეთში საბჭოური მყიფე მშვიდობა როგორ იქცევა სასტიკ და დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტად: „გვალვით დაშრეტილ მდინარეთა კალაპოტებს ჰგვანან სანგრები... ჯანდაბის იქით, კვლავ სანგრებში ტყვიების ბოლი. ასეთი ტყვიით, ასეთი ბოლით ცხელდება ლულა, ცივდება გული და სიკვდილია ყველაფრის ბოლო“. ბუნებრივია, ჯანო ჯანელიძესაც ეგონა, რომ ამ სიტყვებით უკვე მომხდარის წარსულის კონსტატაციას აღედგინა და არა მომავლის სამწუხარო სურათის წინასწარმეტყველურ ხედვას.

1966 წელს კიდევ ერთი თვალსაჩინო, ტრაგიკული ბედის პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის პირველი წიგნი გამოიცა – „აღუბლის ტოტი“. ეს მშვენიერი პოეტესა ლამაზად უგალობდა ტრადიციულ თემებს – სამშობლოს, სიყვარულს, სიკეთეს და, ბუნებრივია, ხალხთა ძმობასა და მეგობრობასაც, მაგრამ სწორედ ქართველობის გამო დახვრიტეს სეპარატისტებმა სრულიად უდანაშაულო, უწყინარი ადამიანი, თანაც ქალი, რომელსაც ჭიანჭველასთვისაც არ ექნებოდა ფენი დადგმული. ეს საზარელი, მხეცური, ყოველგვარ გონიერებას მოკლებული ფაქტი თითქოს ჩაიკარგა აფხაზეთში დატრიალებულ ათასწიერ ცოდვასა და უბედურებაში, არადა, ამ სანთელივით სუფთა ქალბატონის სასტიკად გაწირვა, თანაც ქართველობის გამო, არ უნდა იყოს ასე მივიწყებული, სასხვათაშორისოდ მიგდებული, შეუფასებელი; მე რომ მკითხოთ, ამდენ უაზრო, უშინაარსო ღონისძიებათა თავსხმაში ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლიტერატურულ პრემიას დავაწესებდი, თუნდაც პატრიოტული ლექსებისათვის.

პირველ წიგნში ავტორი ასე გვაცნობს თავს ლექსით „ვინა ვარ“: „ვინა ვარ? შენი ცის სი-

ლურჯე, ვარსკვლავთ ციმციმი, მთებში ნიავის ჩუმი ქროლა, წყაროს სიცილი, შენი საირმე თუ საჯიხვე, ცაზე მიდგმული, ზღვაი ვარ ლურჯი, თანაც ურჩი, თანაც დიდგულა... ვინა ვარ? მზე ვარ, მომაქვს სითბო, მერე რამხელა! ქალი ვარ, დარდი, სიხარულის ლექსად გამხელა“.

საკუთარ ხვედრთან სრულიად საწინააღმდეგო, ანტიპოდური გამოუვიდა პოეტესას აფხაზეთზე დაწერილი ეს სტრიქონები: „შენს ყოველ ბუჩქს, ყვავილს, ბალახს სატრფოს თვალთ ვაკვირდები, შენი მიწა – ავგაროზად ყელზე ჩამოსაკიდები, ნეტამც გულზე დამაყარო და ცვრით კალთა დამისველო, რომ მეც ზამთრის თეთრ საბნის ქვეშ შენს ფესვებთან დავისვენო“; ანდა ეს სიტყვები უსათაურო ლექსიდან: „ავივსე შენი მზით და ფოთლებით, ტანზე მეხვევა ვაზი და სურო. ასე მგონია, ამ სუსტი მხრებით საუკუნეებს ავზიდავ, სულო! შენი სიტურფე თუ დამამუნჯებს, სული სიმწვავით კვლავ აივსება. ჩემო მამულო, ჩემო საუნჯევ, ჩემი სიცოცხლის გამაისებავ!“

მიუხედავად პოეტის ტრაგიკული აღსასრულისა, მიუხედავად ყველაფრისა, წამითაც არ დავუშვავთ, რომ წამებულ პოეტს წყალში ჩაეყარა დაწერილიც, ნათქვამიც და ნაფიქრალიც. არამც და არამც: სიბოროტემ სიცოცხლე მოსპო, მაგრამ სიკეთის ამოუძირკვავ ლიბოდ დარჩება ყველაზე ნაზი, ბუმბულივით მსუბუქი სიტყვაც, თუ იგი ადამიანური გონებიდან მოდის, საუფლო ხნულში ნაყოფის მომცემი მარცვალვით ვარდება, ღვივდება, ფესვებს იღვამს და მისი ნერგი მიწისაგან და ცისაგან ერთდროულად მიიღებს მაცოცხლებელ საზრდოს. იგი ღმერთს ეკუთვნის და ღვთის საკუთრება კი ღმერთივით უკვდავია...

ან რა ტყვიამ, რანაირმა სუსხმა უნდა შეუცვალოს ფერი ასეთ სტრიქონებს: „დღეს გაზაფხულის ქრიან ქარები და საოცნებოდ ირთვება კორდი, ბაღში ბრწყინავენ მინანქარები, მებაღევ, მოდი! მებაღევ, მოდი! ისევ ყვავილობს აღუბლის ტოტი“ („აღუბლის ტოტი“); „ვინ დაიჯეროს, ვინ დაიჯეროს, ბალახი ჩრდილქვეშ ნატრობდეს ჩეროს, ვინ დაიჯეროს უმზეოდ დარი! უსიყვარულოდ – ლამაზ ქალი!“ (უსათაურო); „ოცნებასავით შეირხა ბაღი და მიმოზებმა ჩამიკრეს თვალი“ („აპრილის წვიმა“); „მოვსულვარ ამ მზით გამთბარ მიწაზე, რომ მის სიღრმეში გავიდგა ფესვი, როგორც მიჯნურის ფარული ღელვა, როგორც პოეტის უთქმელი ლექსი“ („შენი ია ვარ“); „ვიცი, ჩემს სათქმელს მე მაინც ვიტყვი, ვიტყვი და მერე დღეების დათვლით გავყვები ქარებს და არვის

მოვთხოვ შუბლის შემკობას მზითა და დაფ-  
ნით“ (უსათაურო).

1969 წელს ეთერ სამხარაძე-ჯღამაძემ მე-  
ორე წიგნიც – „სამშობლოს დილა“ – გამოსცა,  
რომელიც არჩეული თემატიკის გაგრძელებას  
წარმოადგენს, კრებულის სულისკვეთება ასეთ  
სტრიქონებშია გამჟღავნებული: „მეც თან მაქვს  
ლექსი, ვით ამ დღეთა მცირე საგზური და სხვა  
საგანძურს სულაც არ ვჩემობ... ამ ზღვა-ვენახის  
მტევნებიდან გამონაჟური მიიღე წვეთი, ჩემი  
ლექსი, მამულო ჩემო!“ („ჩემი ლექსი“).

1967 წელს შედგა მურმან ხურცილავას დე-  
ბიუტი, როგორც წიგნის ავტორისა. ესაა ლექ-  
სების კრებული „მაღალი ცა“, რომელიც „ალ-  
ამარამ“ მოსე გვასალიას რედაქტორობით გა-  
მოსცა. შემდეგში თვითონ მურმან ხურცილავას  
რედაქტორობით გამოდიოდა თითქმის ყველა  
ქართული წიგნი, როგორც ამ გამომცემლობის  
რედაქტორისა. პირველივე კრებულის სტრიქო-  
ნებს შორის ის ფერები და სურნელი ტრიალებს,  
რომელთაც პოეტმა თავის ლექსებში მიგვაჩვია.  
აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვუხმობ,  
რადგან ჩამოთვლილ პოეტთა შემოქმედების  
ვრცელი და სერიოზული მიმოხილვა ჩვენი წე-  
რილის მიზანს არ წარმოადგენს.

კრებული ლირიკული გმირი მომავლის  
რწმენითაა აღსავსე და ზამთრის თოვლშიც გა-  
ზაფხულსა და აპრილზე ფიქრობს: „მაღე, სულ  
მაღე აპრილიც მოვა და შენ გეცმევა ცისფერი  
კაბა და შენთან ერთად დავკრეფ ენძელებს...  
და მომიყვები უბრალო ამბავს, შენი თვალები  
როგორ მეძებდნენ“ („თოვლი“); პოეტი განსა-  
კუთრებით აფასებს ადამიანურ ურთიერთო-  
ბებს, სიყვარულს, თანადგომას, სითბოს, რაც  
თვით უსულო საგნებსაც გადაეღება ხოლმე:  
„ხეები გრძნობენ ხელის შეხებას, ქუჩებს ნაც-  
ნობი სურნელი ასდის... ჩვენ დავმორდებით,  
შემდეგ შეხვედრას რომ ჰქონდეს მეტი სითბო  
და ფასი და ჩვენ ხმამაღლა შევძახოთ გვინდა  
და ამ ცასავით მაღლდება სული და ცისკრის  
ნიავს ამოაქვს ზღვიდან მარილისა და ნიჟარის  
სუნი“ („მაღალი ცა“); მსგავსი განწყობილება  
გრძელდება ასეთ სტრიქონებში: „ცას უდიმო-  
და თვალები ფართო, თვალები ჰქონდა ცასა-  
ვით ღია... და ელნათურა მაღალ ოთახში ცალ  
თვალს უმწეოდ აფახულებდა“ (უსათაურო).  
უსულო საგნების პერსონიფიცირებით პოეტი  
ცდილობს, უფრო ჩასწვდეს ადამიანის ბუნებას  
და იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ:  
„ჩუმი შრიალით ითვლიან დღეებს, მათი ცხოვ-  
რება ამგვარად მიდის და ისე, როგორც ქალაქის  
ხეებს, არვის სწყურია სიმაღლე დიდი... აიკეც-

ავენ ჩრდილებს ფრთებივით და მიყურდება  
შრიალი მათი და მოლანდება მაღალი მთების  
ღამით ქალაქის ქუჩებში დადის“.

ალიო ქობალიას პირველი კრებული „თეთ-  
რი ბილიკი“ 1969 წელს გამოიცა მოსე გვასალი-  
ას რედაქტორობით. აქ ამ წიგნიდან ორიოდ  
ამონაწერს დავჯერდებით: „შემოდგომა ივერ-  
ცხლება, სიხარული მზის შუქივით მინთია... ჩა-  
იქროლეს, ვით მერცხლებმა, დღეებმა და ნეტავ  
საით მიდიან“; „ცის დასავალთან ჰკივლია მზე და  
მე წეროების გადაფრენას ტკივილით ვუმზერ  
და ფრთათა ხმაურს განვიცდი ძლიერ“...

გივი ბერაიამ 1970 წელს გამოსცა პირველი  
წიგნი – „პირველი თოვლი“; ამ წიგნსაც მოსე  
გვასალია რედაქტორობს. დამამახსოვრდა  
ლექსი ამ კრებულიდან, რომელიც პოეტმა  
თავის მასწავლებელსა და პოეტს, ანტიფო  
არნანისა უძღვნა: „ენგური გაუტაცნია ბრძო-  
ლის ჟინსა და ტკივილს, ენგურის პირას კაცია  
გულმართალი და ტკბილი. ტალღებში ბრძო-  
ლის ზარია, კალმანი ელავს მზისებრ, სულში  
ხმიანებს „მგზავრული“ – გზები ეძახის ისევ“.

სამწუხაროდ, არა მაქვს შესაძლებლობა,  
ჩამოვთვალო ყველა მწერალი აფხაზეთიდან,  
რომლებმაც პირველი წიგნი ამ წლებში გამოს-  
ცეს. ამავე დროს, არც იმის შესაძლებლობა  
მაქვს, თუ, საერთოდ, რომელი წიგნები გამოიცა  
ჩემი სტუდენტობის დროს სოხუმში. მხოლოდ  
ორიოდე მაგალითის მოყვანა შემიძლია: 1967  
წელს პოეტმა ხუტა გაგუამ თავისი რიგით მე-  
ოთხე კრებული გამოსცა – „სიჩუმე“. ამ წიგნი-  
დან გავიხსენებ ერთ-ერთ საინტერესო ლექსს  
„ნაკლი“: „მაინც რა არის ნეტა, რასაც მივიჩ-  
ნევთ ნაკლად? ნაკლი ნაკლია, მაგრამ ის არის  
ლტოლვის დედაც. ის არის ბრძოლის ველიც,  
შეგრძნებაც მარად ახლის, და საკუთარი ნაკ-  
ლი უნდა იცოდეს ყველამ. მე არ ვიცოდი უწინ,  
– თურმე ხანდახან ნაკლიც გვიხდება – აგრე  
აქლემს უხდება ხოლმე კუზი“.

ამავე წელს თავისი მეშვიდე წიგნი გამოსცა  
მირიან მირნელმა, მოთხრობების წიგნი გამოს-  
ცა ნოდარ ხუნდაძემ, ლექსების კრებულები –  
დიმიტრი გიგიბერიამ, მიხეილ ჩაჩუამ...

1971 წელს, როდესაც მე უკვე ინსტიტუტი  
დამთავრებული მქონდა და სამხედრო ბეგა-  
რას ვიხდიდი, მიხეილ ჩაჩუამ შეკრიბა ჩემი  
თაობისა და შედარებით უფროსი თაობის  
შემოქმედთა ლექსები და ცალკე კრებულად  
გამოსცა სახელწოდებით „გზის დასაწყისი“. თითქმის  
ყველა ამ ავტორთაგანისთვის ეს მართლაც  
გზის დასაწყისი იყო, ეს იყო ჩვენი  
საერთო პირველი წიგნი, რომელმაც ისეთივე

სიხარული განგაცდევინა, როგორც წლების მერე გამოცემულმა ინდივიდუალურმა პირველმა წიგნებმა. ამისთვის მუდამ მაღლიერი ვიყავი მიხეილ ჩაჩუასი, რომელიც შემდგომში, განსაკუთრებით დევნილობის შემდგომ და ბატონი მიხეილის სიცოცხლის ბოლომდე, ჩემი ძალიან ახლო მეგობარი გახდა.

ამ პატარა ფორმატის, მაგრამ 140-გვერდის კრებულს 20 ავტორი ჰყავს: იამზე აკობია, თამაზ ახალაია, ბორის ბესელია, ვარლამ ბულისკერია, ზაურ კალანდია, მადონა კალანდია, ნუგზარ კუპრავა, ნათელა მამარდაშვილი, რევაზ მელქაძე, ტიტე მოსია, გურამ ოდიშარია, სერგო საჯაია, როლანდ ფალავა, გივი ფრუიძე, სვეტლანა ქარჩავა, ვახტანგ შენგელია, ჯემალ შონია, ქსენია ჩიკვილაძე, დალი ცაავა და გულად ძიძიგური. ისე, როგორც საერთოდ ცხოვრებაში ხდება, ამ ავტორთაგან ზოგი ბოლომდე ერთგულად გაჰყვა პოეზიის გზას, ზოგისთვისაც ეს ახალგაზრდულ გატაცებად დარჩა, ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ადამიანები, ერთმანეთის ნაცნობებიც და უცნობებიც, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, ერთ ოჯახს წარმოადგენდნენ და ეს საქმე გახლდათ ქართული სიტყვის სამსახური, ქართული მწერლობის და დედაენის მეციხოვნეობა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში.

მაშინდელი ახალგაზრდები იქნებ ციდან ვარსკვლავებს ვერ ვწყვეტდით, მაგრამ ამ პირველ ნაწერებშიც მოიპოვება მშვენიერი მიგნებები, ორიგინალური ტროპული სახეები, რომელთა აღნიშვნა ნამდვილად ღირს. აი, მაგალითად, იამზე აკობიას ლექსი დედაზე ასე მთავრდება: „... ჭადარა ზოგჯერ წლებია, ზოგჯერ შვილებზე სევდა. ის შენი იავნანური უქრობ ნათელში მხვევდა – ჩემი ფესვი ხარ მამულის, ჩემო კეთილო დედა!“ თამაზ ახალაია კი ძველთაძველ ნოქალაქევს მომავლის ამგვარი რწმენით მიმართავს: „მზე შენს მინდორ-ველს სხვა სხივებს მოჰფენს და არასოდეს დაიბინდება. კვლავ აღმავალი გელის დიდება, ისევ ქალაქი გერქმევა სოფელს“. ასეთი პოეტური სურათი აქვს დახატული ვარლამ ბულისკერიას ლექსში „წვიმა“: „სველდება ალვის შიშველი წვივი... მერცხლის ბარტყივით პირს ადებს კვირტი“... უკვე იმ დროიდან ატყვია ოსტატის ხელი ტიტე მოსიას ლექსებს: „... აქ ჩქამიც ისმის, როგორც განგაში, სიბნელეს ნელა ეჩვევა თვალი... გამოქვაბულს ღია ქარქაშში ჩაგებულია სიჩუმის ხმალი“... („სათაფლია“); „თოვს. თოვლი არის ზამთრის წყურვილი, გზებს და მინდორ-ველს ეფრქვევა თრთოლვით, თოვლი – სპეტაკი

დედის სულივით, დედის გულივით ლამაზი თოვლი“ (უსათაურო); გურამ ოდიშარიას მიხედვით ხელწერაც უკვე მაშინ მოჩანს გამოკვეთილად: „... ნაბახუსევი ოცნებიდან სხვა რაღა შერჩა, ათრთოლებული თითების გარდა და ბოლოს მიხვდა – დახატა ღუზა და ზმანებების ფსკერზე დაეშვა“ („მხატვარი“); თავისი თაობის სიცოცხლით აღსავსე ასულის განწყობას ასე გადმოგვცემს სვეტლანა ქარჩავა: „გადაწყდა! გზაზე გამოვალ თმებში გვირილებჩაწნული. შეგხვდები, ზედ არ შეგხვდავ, გამომწვევი და მაცდური. მზეს გავუდიმებ ცხრათვალას, ცხრა წყაროს გაღმა გასული, ბომა ქალივით ვიცეკვებ მზისა და ქარის ასული“ (უსათაურო); სხვებისგან დამოუკიდებელი, საკუთარი დახვეწილი ინტონაციებით შემოდის დიდ პოეზიაში დალი ცაავა: „ღამემ დააჭკნო ბევრი ყვავილი, შენც ყვავილივით დაგაჭკნობს ღამე, მერე თანდათან წავა სურვილი, მეღუზასავით ჩუმი და მწვავე. და ჩაგიქრება იმედი თეთრი, ქარში ანთებულ ასანთის მსგავსად, შენ აგევსება ტკივილით მკერდი და არ გაამხელ ამ ტკივილს არსად. დაუკითხავად გეწვევა იგი, განძი, რომელსაც აღარ ეძებდი და აგამფოთებს ზღვასავით მშვიდი, ნაოჭდაყრილი დიდი ხელებით“ (უსათაურო); კრებული იხურება გულად ძიძიგურის ლექსებით. აი ერთ-ერთი მათგანი: „მუქდება სივრცე, მუქდება ზეცა – ერთ დროს ბრჭყვიალა მთიებით სავსე და როგორც წინათ შენ დგახარ ისევ ჩემი ცხოვრების ულურჯეს გზაზე. არის ქალაქი თეთრი და მშვიდი და მესმის მწვანე ფოთლების სუნთქვა; თუმცა ჩემი გზა სულ სხვაგან მიდის, შენს ყველა ტკივილს მივიტან გულთან. გადიან წლები და წლებთან ერთად მკრთალდება ძალა აღქმის და ფიცის... ნუ გიკვირს, რომ არ გიწამე ღმერთად და მაინც ვნატრობ შენს ლამაზ სიცოცხლს“ (უსათაურო).

ზემოთ ხსენებულ კრებულს და მისგან დაწყებულ გზას მოჰყვა პირველი და შემდგომი წიგნები. აფხაზეთის ტრაგედიამ ყველა ჩვენგანი მოწყვეტა მშობლიურ კუთხეს, მამაპაპურ კერას. ამ დროს ჩვენთვის, დევნილი მწერლებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორისა და პოეტის ტიტე მოსიას ინიციატივით განხორციელებული გამოცემა ტომეულებისა „აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“. დღემდე სულ გამოვიდა 4 ტომი, მე-5 ტომის გამოსვლა დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოსათვის. პირველი ტომი დაეთმო ივანე გეგიას, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას, მოსე გვასალიას, კლიმენტი გოგიავას, შოთა აკობიას, მირიან მირნელის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძისა

და გენო კალანდიას შემოქმედებას; მე-2 ტომში წარმოდგენილი არიან ევგენი აქუბარდია, გივი ბერია, დავით გაბუნია, დიმიტრი გიგიბერია, რენე კალანდია, ინდიკო კვეკვესკირი, ვლადიმერ მისაბიშვილი, ოთარ მიქაძე, ზურაბ ნაყოფია, გურამ ოდიშარია, გიორგი სიჭინავა, ნოდარ ხუნდაძე, მურმან ხურცილავა, ჯანო ჯანელიძე, ალექსანდრე ჯიქია, ვლადიმერ ჯოლოგუა; მე-3 ტომში – მანონ ბულისკერია, ხუტა გაგუა, მირიან დგებუაძე, რამაზ კუპრავა, რობერტ მესხი, ანდრო ჟვანია, ანატოლ სოსელია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, ნანა ქარდავა, ალიო ქობალია, ჯემალ შონია, დალი ცაავა, ამირიღონ ჩეგიანი, სერგო წურწუმია, შოთა ხოჭავა, გია ხუბუა, ჯემალ ჯინჯინაძე; მე-4 ტომში – მზია აკობია-ძაძამია, თამაზ ახალაია, შალვა ბაკურაძე, აზა ბასლანძე, ხუტა ბერულა-

ვა, აკაკი გასვიანი, რაფიელ გელანტია, ლამარა გერგედავა, ანზორ გვარამია, გიორგი ესებუა, სალომე კაპანაძე, ნათელა მამარდაშვილი, გელა მამფორია, ნუკრი მესხია, მაია მიქაია, ამირან მიქაუტაძე, ტიტე მოსია, დოდო ნარმანია, ვეზდენ ოკუჯავა, რევაზ ოკუჯავა, ლიდა სტვილია, ბონდო ტორუა, თორნიკე ქავშბაია, ბადრი შონია, მიხეილ ჩაჩუა, თენგიზ ძაძამია, მურმან ძველაია, ნუნუ ჯანელიძე, ნანა ჯეჯეია, ლევან ჯინჯინაძე და აპოლონ ჯინჯოლია.

დავიწყეთ პირველი წიგნებით, ჩვენი სიჭაბუკის წლებით და ამ ბოლო გამოცემებამდე მოვედით და ამ წერილს ბოლო ფრაზაც, დაე, ასეთი იყოს: ჩვენ დავიწყეთ აფხაზეთში და აფხაზეთით და კვლავ აფხაზეთში უნდა დავბრუნდეთ, სადაც მარადიულად უნდა გააგრძელოს ცხოვრება და შემოქმედება ქართულმა გენმა!



## თვალსაჩინო მეცნიერის ხსოვნას



2024 წლის 18 დეკემბერს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნი. დოქტორი, საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი **ანზორ ბრეგაძე**.

ანზორ ალექსანდრეს ძე ბრეგაძე დაიბადა 1936 წლის 28 დეკემბერს ქ. ქუთაისში, სადაც ქართული ტრადიციებით მდიდარ ოჯახში გაატარა ბავშვობა. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ სამეცნიერო საქმიანობას შეუდგა. მისი აღმზრდელ-ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი გახლდათ, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიცვა დისერტაცია და 1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ანგია ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებაში შეუდგა ადამიანის ფილოსოფიური პრობლემების კვლევას. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლეთი ფილოსოფიის

ინსტიტუტში მან განვლო მეტად საინტერესო სამეცნიერო გზა – დაწყებული მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობით, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების გამგებობით დამთავრებული. 1986 – 2011 წლებში იგი ფილოსოფიის ინსტიტუტში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მთელი თავისი შეგნებული საქმიანობა მან ამ ინსტიტუტს შეაღია, ვიდრე საქართველოს მტრები ფილოსოფიის ინსტიტუტს დახურავდნენ (2011 წ.). ინსტიტუტში მუშაობის წლებში შეიქმნა მისი ორიგინალური ნაშრომები, რომლებიც შემდეგში წიგნად გამოიცა. მათგან უმთავრესია: „ადამიანის არსი და ხასიათი“ (1991), „შეიცან თავი შენი (ადამიანის შემეცნების მეთოდები)“ (1994), „მარადიული სიბრძნე“ (2016), „ქართველი ფილოსოფოს-ანთროპოლოგები (2007), „ადამიანის შინაგანი ბუნება და მისი გარეგამოვლინება“ (1984), „ადამიანის შესახებ რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციების კრიტიკა“ (1977), „რა არის ადამიანი?“ (1997), „ადამიანი და რწმენა“ (1988). ანზორ ბრეგაძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე, რომლებიც შეეხება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის არაერთ საკვანძო საკითხებს.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში ანზორ ბრეგაძემ შეიმუშავა გონითი ანთროპოლოგიის კონცეფცია, რომელიც ადამიანის არსს ხედავს გონით მოღვაწეობაში, საგნებისაგან საკუთარი თავის დისტანცირებაში. ადამიანის შემეცნების სპეციფიკურ მეთოდად გაგებას მიიჩნევდა, თუმცა არც აღწერასა და ახსნას უარყოფდა.

ანზორ ბრეგაძე არის გონითი რელიგიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, ანზორ ბრეგაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უცხო ენებისა და თეატრალურ ინსტიტუტებში. მუშაობდა თბილისის ადამიანთმცოდნეობის ინსტიტუტში დეკანის თანამდებობაზე. იყო გამორჩეული პედაგოგი. მისი ლექციები სტუდენტი ახალგაზრდობის უდიდეს მოწონებას იმსახურებდა.

1995 წლიდან ანზორ ბრეგაძე არის საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. აღსანიშნავია, რომ ანზორ ბრეგაძის კალამს ეკუთვნის არაერთი საინტერესო და საგულისხმო სამეცნიერო სტატია, რეცენზია და კრიტიკული წერილები, რომლებიც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ადამიანის ცხოვრების საზრისისა და რელიგიური რწმენის აქტუალურ პრობლემებს შეეხება. მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩანს სიღრმისეული აზროვნება და გამორჩეული ფილოსოფიური ხელწერა. მას, როგორც ანგია ბოჭორიშვილის ერთ-ერთ გამორჩეულ მოწაფეს, ანთროპოლოგიის პრობლემების თვალსაჩინო მკვლევარს, არაერთი ბრძოლა გადაუტანია იმ დროისათვის ფილოსოფიის ამ ახალი დარგის ქართულ საზოგადოებაში სივრცეში დასამკვიდრებლად.

ქართველ ფილოსოფოსთა შორის ანზორ ბრეგაძე გამორჩეულია თავისი უანგარობით, კაცთმოყვარეობითა და სტუმართმოყვარეობით. საინტერესო პედაგოგი და მეცნიერი კიდევ უფრო საინტერესო და მომხიბლველი ხდება მეგობრებისა და მისი სათაყვანებელი კოლეგების წრეში ქართულ სუფრასთან. ქარ-

თულ სუფრასთან მასთან ერთად გატარებული დრო ფილოსოფიური აზროვნების ზეიმი და შეუცნობლის შეცნობის მორიგი ვირტუოზული გაკვეთილებია ყველასათვის.

ანზორ ბრეგაძე თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, შემოქმედებითი საქმიანობითა და პატრიოტიზმით ადასტურებს, რომ ფილოსოფოსობა ცხოვრების განსაკუთრებული წესია და ამ წესით მცხოვრები ადამიანები უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებენ.

აქვე აღსანიშნავია ანზორ ბრეგაძის ერთგულება ეროვნული ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიასადმი. მაშინ როდესაც ქართული ინტელექტუალური ინტელიგენციის მრავალწარმომადგენელს ეროვნული ხელისუფლების გვერდით დგომა ეხამუშა, ანზორ ბრეგაძე ერთ-ერთი პირველი დაუდგა გვერდით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას.

მწუხარებას გამოვთქვამთ ანზორ ბრეგაძის გარდაცვალების გამო და აღვნიშნავთ, რომ მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია არამხოლოდ ქართული ფილოსოფიის, არამედ ზოგადად ქართული მეცნიერებისათვის.

**ირაკლი კალანდია, კახა ქეცბაია, მურმან ზაქარაია, ჯემალ შონია, ლუარა გამყრელიძე, ლაშა გვასალია, დავით ზაქარაია, ლევან ქეცბაია, მექი ლობჯანიძე**

**ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის ანზორ ბრეგაძის გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.**

## ნოდარ ჯალაღონიას ხსოვნას მიეძღვნა



გასულ წელს შესრულდა 90 წელი გამოჩენილი ქართველი პოეტის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ნოდარ ჯალაღონიას დაბადებიდან. ამ თარიღს მიეძღვნა პოეტის მშობლიურ რაიონში გამომავალი გაზეთ „ჩხოროწყუს“ სპეციალური გამოშვება.

შესაბამისი ილუსტრაციების თანხლებით გაზეთი აქვეყნებს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ მასალებს: ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის დირექტორის ზაურ ჯალაღონიას წერილს „ვაჟკაცური ღირსებით განვლილი გზა“, პოეტ ლაშა გვასალიას წერილს „სამშობლოს პოეტი“, პოეტ კოტე ნაჭყებიას წერილს „მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე“,

ხაბუმის №1 საშუალო სკოლის მასწავლებლის ნარგიზა კვარაცხელიას წერილს „აკვინსეული წიაღიდან“, ამონარიდებს პოეტისა და ჟურნალისტის ჯემალ შონიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მანანა ტაბიძის, პოეტისა და მთარგმნელის ბელა შალვაშვილის წერილებიდან, რომლებიც ნოდარ ჯალაღონიას ეძღვნება.

გაზეთში ფართო ადგილი უკავია ამონარიდებს თვით ნოდარ ჯალაღონიას პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების წიგნიდან „სინჯარის პოლიტიკოსები“, ნაწყვეტებს ბატონი ნოდარის პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა წერილებიდან, აგრეთვე ნოდარ ჯალაღონიას სიტყვით გამოსვლის ნაწყვეტს ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის - ეროვნულების ზუგდიდის ორგანიზაციის კონფერენციაზე და ა. შ.

რა თქმა უნდა, გაზეთის სპეციალურ ნომერში დაბეჭდილია ნოდარ ჯალაღონიას მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები, რომლებიც დღესაც ისევე ალაფრთოვანებენ მკითხველს, როგორც მაშინ, პუტჩისა და პუტჩის შემდგომ წლებში.

მადლობის მეტი რა გვეთქმის გაზეთის სპეციალური ნომრის რედაქტორის ბატონი ედემ კვირტიასა და სარედაქციო საბჭოს მიმართ, რომლებმაც ღირსეული პატივი მიაგეს თავიანთი კუთხისა და მთელი საქართველოს სახელოვანი შვილის ნოდარ ჯალაღონიას საიუბილეო თარიღს.

**გულად ძიძიგური**

*2024 წლის დეკემბერში 80 წელი შეუსრულდებოდა აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, გულრიფშის რაიონის განათლების გაყოფილების დეკანოზად თანამშრომელს, ეროვნული მოძრაობის ცნობილ აქტივისტს გულად ძიძიგურს. გთავაზობთ მის ორ წერილს ამ თარიღთან დაკავშირებით გამოცემული მისი კრებულიდან.*

**სასაფლაოდ ქცეული სოფელი**

როდესაც მონატრებად ქცეულ ჩემს სოფელზე წერას ვიწყებდი, უნებურად გამახსენდა გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „დევების ნასოფლარი“, რომლის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

„ნასოფლარი ბევრი მინახავს, განსაკუთრებით მთაში, დავმჯდარვარ რომელიმე სახლის ჩამოტეხილ თავხეზე და სიჩუმისათვის მომისმენია.

თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ემღერება, მაგრამ მაინც მღერის, ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა, ანდა მოლოდინის. ჰო, ჰო, უფრო მოლოდინის. მიტოვებული სახლი ხომ ქმრისგან მიტოვებულ ქალსა გავს, ჩამოღამებულ, ხელ-მხარ-ჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრება და მაინც მიატოვებს.

უკაცობით ჩამოტყდა გულთაბოძი, როგორც სახლის გულთაბოძი ტყდება ხოლმე, ისე მიტოვებული ქალის გულთაბოძი ტყდება უკაცობით, მაგრამ გულის-გულში. მიტოვებული სახლის გულის-გულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც.

სიჩუმეზე უფრო ჩუმია და იმედზე უფრო იმედიანი მოლოდინის სიმღერა.

მოგისმენიათ?

თუ არა, ნახეთ ნასახლარად ქცეული საქართველო და თქვენ გაიგონებთ ამ სიმღერას“...

ჩემი სოფელი ფშაფიც იძულებით მიტოვებული სოფელია, სახლები საძირკველამდე დარღვეული, ღობეებმოშლილი და სომხების ნახირისთვის საბალახოდ ქცეული. სუფთა ქართული სოფელია ფშაფი, ტოპონიმის ძირი – ფშა წყლიან ადგილს ნიშნავს კოლხურად და მართლაც, რამდენიმე ადგილას წყაროს თვალს შეხვდებოდი, ზოგან მინერალურს, ზოგან თავანკარას.

გოდერძი ჩოხელის მიტოვებულ სოფელსა და ჩემს მიტოვებულ სოფელს შორის არის რაღაც შიშისმომგვრელი სხვაობა. იმ სოფელში,

ე. ი. ჩოხში, ალბათ, ერთი სასაფლაოა, ან ორი, შესაძლოა საგვარეულოებად დაყოფილი. ჩემი სოფელი კი მთლიანად სასაფლაოაა გადაქცეული. ყოველი ქართველის უზომი თუ არა, ყოველ მესამეში მაინც გადამთიელების მიერ დახოცილთა გვამებია მიბარებული, მართლმადიდებელ ქრისტიანთა გვამები, ზოგიერთი – არამართლმადიდებლური წესით ზეწრებში გახვეულნი...

სოფლის შესასვლელში ჭკადუები, სამუშიები, კვაშილავეები, ჩიქოვანები, გეგეჭკორები, ჯალაღონიები და სალიები სახლობდნენ და კიდევ – მათი სომეხი მეზობლები, რომლებიც ჩვეულებრივ განაგრძობენ ცხოვრებას მიტოვებული სოფლის დასაწყისში. მე ვერ ვუძლებ სოფლის სიჩუმეს და ხმამაღლა ვეხმეიანები იქაურებს: ფშაფელებო! ჭკადუებო! ჩიქოვანებო! კვაშილავეებო! გეგეჭკორებო! სამუშიებო! ჯალაღონიებო! სალიებო! სამარისებული სიჩუმე... შემზარავი გარემო... არადა, როგორი სტუმართმოყვარენი იყვნენ ისინი. უცხოსაც რომ გაეკლო შემთხვევით, შინ შემოიპატიჟებდნენ, სუფრას გაუშლიდნენ და მამაპაპურად გაუმასპინძლებოდნენ, გამოცილებისას თან სთხოვდნენ, კიდევ თუკი მოგიხდეთ ამ სოფელში ჩავლა, აუცილებლად შემოგვეხმაურეთო. ახლა ? ახლა, რამინ სამუშიას, ცატა გეგეჭკორის, ჯალაღონია მაკარის, მისი მეუღლისა და ვაჟიშვილის სულები დასტრიალებენ ხეთა ჩრდილებს, ეკალ–ბარდებად ქცეულ სახლ-კარებს და ღთისაგან და კაცისგან სამართალს ითხოვენ...

ეს ფშაფის შესასვლელში... მე ისევ გზას ვაგრძელებ თვალეებზე ცრემლმომდგარი, იდუმალ ფიქრებში ჩაძირული ვუახლოვდები სხულუნიების, კირთაძეების, ლატარიების, უგრეხელიძეების, თუთისანების, ვაშალომიძეების, ბელქანიების, ბებიებისა და წურწუმიების ტყედ ქცეულ ნასახლარებს... რაღაც ბურთისმაგვარი ყელში მეჩხირება, მაგრამ მაინც, იმ იმედით,

იქნებ ესენი მაინც გამომეხმაურონ-მეთქი და გავყვირი: სხულუნიებო! კირთაძეებო! ლატარიებო! უგრეხელიძეებო! თუთისანებო! ბებიებო! ვაშალომიძეებო! ბელქანიებო! წურწუმიებო! არა და არა. ზოგჯერ სადღაც, მიუსაფარი ჭოტი დაიკვივლებს ხოლმე, ან ჩხიკვი დაიჩხავლებს, თითქოსდა გაგრძნობინებს, რას იკლავ თავს, ხომ ხედავ, არავინ გეხმაურებაო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გარინდებული სულები მისმენენ ბიჭიკო და გივი ლატარიების, სამუშია ვალერის, რევაზ და ქეთო ბებიების, მოგელი და ბოჩია სამუშიების, ფშაფის საშუალო სკოლის მოსწავლეების მარინა და ეკა ჟვანიების (რომელნიც თავიანთ დედას, გვრიტო მესხიას მკერდსჩახუტებულნი მიაკლეს), ცოლ-ქმრის – ხუტა და რაისა სამუშიების, და ძმა ბოჩია და ლუნა სამუშიების, თინა და ლუბა ჩემიების, დების ლეილა და ლამარა სამუშიების...

არა, მე ნამდვილად ვხედავ, თუ როგორ დაფარფატებენ ეკა და მარინა ანგელოზის ფრთებშესხმულნი, როგორ ესაღბუნებიან დედის მტკივან გულს და აიმედებენ: „რას დალონებულხარ, დე, ჩვენ ხომ ანგელოზებად ვიქცეით, ღვთის შვილები ვართ უკვე, ნუ დეღავ, დე, გულსაც მალე მოგიჩინებ და შენს ღიმილსაც მალე ვიხილავთ“. სხვები? სხვა წამებულნი მდუმარედ გაჰყურებენ მათ ზემოთ მოფარფატე სულებს და იმედი ესახებათ, რომ ალბათ, მალე დაბრუნდებიან სოფლიდან განდევნილი მათი დები და ძმები, ბიძაშვილები, მეზობლები და მართლმადიდებლური წესით სანთლებს დაუნთებენ თავიანთ მიცვალებულებს და ჭიქა ღვინოსაც წაუქცევენ, რის შემდეგ სამუდამოდ დაივანებენ იმქვეყნიურ სასუფეველში.

არ თავდება ჩემი სოფლის გზა, იქნებ მუხლები მღალატობს?... ვუახლოვდები ჩემს ნასახლარს, ენის ქვეშ აბი მაქვს ამოდებული და არ მეშინია, შეუძლოდ რომ გავხდე. თვალისცეცებით ვეძებ ჩემი ბიჭების აკვანს, რომელიც

მარნის ჭერზე გვექონდა ჩამოდებული... მარტო ოდასახლის ორი კედელია ჩანს ნახევრამდე ჩაშლილი. აი, იქ ბოსელი იყო, სადაც სიყვარულით ეფერებოდნენ თეთრშუბლა ხბოს ბავშვები... ვერ შევდივარ ეზოში, ეკალბარდები არ მიშვებს. თვალდანამული ვტოვებ იქაურობას და გზას ვაგრძელებ.

იქით კვარაცხელიების, არქანიების, ქარდავების, დარსანიების, უგრეხელიძეების, გიორგაძეების, ჟვანიების, დათუნაშვილების, ჩხეტიანებისა და აღსარბების ნასახლარებია. აქაც ჩემს ბზარგარეულ ყვირილს მხოლოდ ეთერ და აპოლონ სამუშიების, მათი ოთხმოცი წლის დედის, მურმან წურწუმის, მამა-შვილის – შოთა და დავებ ქარდავების, ასევე მამა-შვილის ტარასი და კუკურ დარსანიების, ბადრი ჟვანიას, შალიკო კვარაცხელიასა და გედევან ჩხეტიანის სულები მეგებებიან გაოგნებულნი. არც ისინი არიან დავანებულნი იმქვეყნიურ საუფლოში, ელიან ახლობლებს და ვინ იცის, სანამ გაგრძელდება ეს ლოდინი. იქნებ არც ისე დიდხანს? კაცი იმედით ცხოვრობს... ესენი იმ ადამიანთა აჩრდილები არიან, რომლებმაც ფშაფში ჩამოსახლებისთანავე ერთიანად გამიღეს გულისა და სახლის კარებიც. მათ შემავყარეს იქაურობა თავიანთი განუმეორებელი კოლხური ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით და სტუმართმოყვარეობით.

სოფლის ბოლოს გაოგნებული და გაოცებული სომხები, აგერ-ეგერ შემორჩენილები, თუ გამოაჭყეტენ ამღვრეულ, ბოროტ თვალსს ჭუჭრუტანიდან, უკვირთ, რომელმა ქართველმა შემობედა ამ გავერანებულ სოფელში და ვერ გადაუწყვტიათ, შეეხმინონ თუ არა ვიღაც თავმოძულეს. მათ შიში ზარავთ, იმ ცოდვებისგან გამოწვეული შიში, რომელიც მათ ქართველების მიმართ ჩაიდინეს... ისინი ხომ ღვთისგან და კაცისაგან ელიან განაჩენს. ეს დღევ ალბათ მალე დადგება.

2005 წელი  
ქ. თბილისი

## გურამ სალია

წუთიერი გაელვება... თავბრუსხვევა... ტკივილი... სხეულს თანდათან ტოვებს სული... სხეული ხრწნადია, სული კი, აღზევებული და მამულზე მლოცველი, თვალსაწიერს გადაჰყურებს. ამიტომაც ვამბობთ – მიიცვალა, ე. ი. სხეულმა განისვენა, რაზედაც იტყვიან: „მიწა ხარ და მიწად იქეც“... დიახ, სულით ჩვენთან ხარ, გურამ! მართალია, ჩვენ ვერ ვხედავთ ხორციელს და მიწიერს, მაგრამ, ვგრძნობთ, რომ შენ ყველაში ხარ და ყველგან ხარ. წმინდა ილია მართალმა ხომ დიდებულად თქვა: „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც კი სახელი არ დარჩენია“. შენ სამი ათეული წელი გქონდა მხოლოდ გავლილი ამ წუთისოფელში, მაგრამ კაი ყმისა და ნაღდი კოლხის სახელი საკმაოდ ადრე მოიპოვე და აღზევების კვარცხლობეკზე დადექი შენი კაიკაცობითა და თავისთავადი და განუმეორებელი შემოქმედებით. მარტო ის რად ღირს, რომ ქართულ ანბანში ჩადებულ კოდს (რასაც ტაბუ ჰქონდა დადებული ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაჲ“-ის დაწერის შემდგომ და რომელსაც პირველი გასაღები დიდმა ქართველმა რუსთველოლოგმა და მეცნიერმა ზვიად გამსახურდიამ მოარგო...) შენ სხვა კუთხითა და თვალთახედვით ახსნა მოუპოვე, მოვადრო, როდესაც შენი ნამდვილი სახე მთელი სრული შემოქმედებით წარმოჩნდება ერისა და ქვეყნის წინაშე.

ახლა კი გავიხსენოთ ის უკანასკნელი ლექსი, რომელსაც „უკანასკნელი წერილი“ ჰქვია, სადაც წერ: „ფოსტაში გადასინჯეს – დაახარისხეს, ყველას თავისი კუთვნილი ერგო და მხოლოდ მათი დარიგება იყო საჭირო... ერთ წერილს ვერაფერი გაუგო ვერავინ“... ალბათ ის ერთი წერილი შენი შემოქმედებითი კრელოს ახსნა იყო, გურამ, რომელსაც ბევრი კითხულობდა, მაგრამ ახსნას ვერ პოულობდა, ვერც იპოვიდა, რადგან შენ სხვა მკითხველი გჭირდებოდა, მკითხველი, რომელიც ღრმად ჩაიხედავდა შენს ფილოსოფიურ აზროვნებაში და შთაბეჭდილებებით დატვირთული იტყოდა ხოლმე: ესეც ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში, ქართულ ცნობიერებაში...

მანამ კი, თითქოს წინასწარ ჰქრეტდი შენს მომავალს, როდესაც აცხადებდი: „...„მე ვერ გავცდები ჩემი დაბადების მტანჯველ ორმაგობას, ვითარც მარადიულ კანონს – ქმედებათა საწყისს უკურნებელს...“ რა იყო ნეტავ ეს „უკურ-

ნებელი საწყისი“, თუ არა სხეულიდან სულის განდევნისა, ამქვეყნიურიდან მარადისობაში გადასვლისა. თუკი აგრე მწვავედ ჰქრეტდი ღვთის საუფლოში გადასვლას, რა იყო ის ხალასი სიყვარული მოძმისა, მოყვასისა, ერისა და ქვეყნისა, რომელსაც აგრე დიმილმჩენი გულით დაატარებდი ხოლმე. ან როგორ არიგებდი და ხარჯავდი არა მარტო გულიდან, არამედ აზროვნებიდანაც გამოსხივებულ სიტბოსა და სიყვარულს. ან მოლხენა რარიგ გშვენოდა: ფიალას რომ ასწევდი და მამულისა და ქართველობის სადღეგრძელოს მთელი სიამაყით რომ წარმოთქვამდი ისე, რომ შენს გარშემო მყოფთ იმედი და ხალასი განწყობილება დედაბოძით შეუდგებოდა. ისიც ამ ავბეღითობის ჟამს, რაც აფხაზეთში ტრიალებდა იმხანად, რამაც შენი ხალასი სიცოხლე შეიწირა კიდევაც...

როგორ გიყვარდა ფერთა ლაბირინთებში შეჭრა დიდი ქართველი მოაზროვნისა და მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსად. ალბათ, ეს ერთგვარი გავლენა იყო სიტყვის იმ დიდოსტატისა, რომლის შემოქმედებას აგრერიგად აღმერთებდი. არა, ეს მდიდარი ლექსიკა სხვისი კი არა, შენი შემოქმედებისთვისაცაა დამახასიათებელი: „მწვანე ბგერები“, „სევდისფერ გულზე“, „გვიმრისფერი წყურვილი“, „სევდისფერი ჭიჭიკიდან“, „ლიმონისფერ ბაღნარში“, „სევდისფერი ქრიზანთემა“, „ნაღვლისფერი მარაოს“, „დუმილისფერ ჭრაქში“ – და სხვა.

როგორ მინდა გავიხსენო ერთი დეტალი შენი და ჩემი მეგობრობის დასადასტურებლად, რომელიც აგრე მტკივნეულია ჩემთვის: რადაც ერთი კვირით განვერიდეთ ომის ქარცეცხლში გახვეულ აფხაზეთს და თბილისში შენს საყვარელ მამიდასთან, ქალბატონ ნათელას ოჯახში დავიდეთ ბინა. თან წამოდებული გვქონდა საბეჭდი მანქანა, რომ გაგეყიდა და ნიშნობის ბეჭედი გეყიდა შენი გულისწორისათვის, ჭირდა ძალიან ომის დროს, ერთი კვირის განმავლობაში ფილარმონიის წინ, მაღაზიის კარებთან ვიყავით ატუზუნნი... ესეც შენი ბედის თუ უბედობის დამადასტურებელი ფაქტი... არადა, სხვა გამოსავალი არ გვქონდა. გულზე ბოღმა გვაწვებოდა, არც კი ვიმჩნევდით თითქოს, ერთმანეთს ვანუგეშებდით. შემდეგ ისევ აფხაზეთი... სულ მალე კიდევაც დასრულდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება...

შენ იქ, აფხაზეთში დარჩი, გურამ! ჩვენ აქ, თბილისში ნოსტალგიაშეპყრობილნი იმედით ვცოცხლობთ და თვალი დასავლეთისკენ გვიჭირავს, სადაც ჩვენი ადგილის დედა, ჩვენი სამკვიდროა და კიდეც – მიტოვებული ძვირფასი საფლავეები, რომელთაც დიდხანია არ უხილავთ ახლობლების მიერ დანთებული სანთლები და მამაპაპურად სავსე ჭიქებით ღვინის გადაქცევა. შენც მათ რიგებში ხარ, ჩვე-

ნო განუშორებლო მეგობარო, მხოლოდ ერთი განსხვავებით, ალბათ, შენი დაუოკებელი სული ხშირად გადმოვა ხოლმე აღმოსავლეთში და სიზმარში გავესაუბრებით ერთმანეთს. ძალიან ხშირად გვიწევს შენი მოსაგონარი სასმისის აწევა და წარსულის გახსენება. წარსული კი ჩვენთვის ის ქვაკუთხედია და დედაბოძი, რითაც წელში ვიმართებით. ამ ქვაკუთხედს კი შენი სახელიც აწერია – „გურამ!“

2004 წელი  
ქ. თბილისი



კახა ქეცბაია

**ფილოსოფიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ**

(კახა ქეცბაიას ინტერვიუ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ზურაბ ხასაიასთან)

კ. ქ. – ბატონო ზურაბ, მინდა გთხოვოთ, რომ ჩვენი საუბარი საქართველოში ფილოსოფიის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავალ ბედ-იღბალს შეეხოს. ფაქტია, რომ ინსტიტუციური თვალსაზრისით, ფილოსოფია საქართველოში აღარ არსებობს. ამისთვის ფილოსოფიის წიაღიდან გამოსულმა ადამიანებმა (იცით თქვენ, ვისაც ვგულისხმობ) „იზრუნეს“ და ფილოსოფიისადმი მტრულად განწყობილი ხელისუფლების წყალობით ფილოსოფიას ძირი გამოუთხარეს. როგორ ფიქრობთ, რით აიხსნება ეს ყველაფერი და, საერთოდ, რა არის ფილოსოფიისადმი ნიჰილიზმის მიზეზი?

ზ.ხ. – ფილოსოფია საქართველოში უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფაქტობრივად ეს ასე გამოიხატა: აღარ არსებობს ფილოსოფიის ფაკულტეტი და ფილოსოფიის კვლევითი ინსტიტუტი. უმაღლეს სასწავლებლებში ფილოსოფია არჩევითი საგანი გახდა. ფილოსოფიისთვის ადრე გამოყოფილი საათები თანდათან სხვა საგნებმა გადაინაწილეს. ფილოსოფიის მესვეურებმა იგრძნეს, რომ საგანი ზედმეტი ბარგი ხდება და შეეცადნენ მის „გადასხვაფერებას“, მის მიხსნობას პოლიტოლოგიასთან და სოციოლოგიასთან. ბევრმა მათგანმა დატოვა ფილოსოფია და თავი პოლიტოლოგად ან სოციოლოგად გამოაცხადა. ასეთია ის „მშრალი ფაქტები“, რაშიც ჩანს ფილოსოფიის გარიყვა და მარგინალიზაცია.

ეროვნული მოძრაობის მიტინგებზე დგომის დროს ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. მაშინ ფილოსოფია თვალუწვდენელი იმპერიის ნებიერი შვილი იყო. ის ისევ გაბატონებული იდეოლოგიის მსახურად მოგვევლინა, ისევე როგორც ერთ დროს, შუა საუკუნეებში, კერძოდ, ქრისტიანული სქოლასტიკის ეპოქაში.

ე.წ. „დათბობის“ დროიდან მისი მდგომარეობა კიდევ უფრო კომფორტული გახდა. ფილოსოფიური აზროვნება თანდათან გამოვიდა მკაცრი იდეოლოგიური

არტახებიდან და იწყოს სწორება დასავლურ ფილოსოფიასთან. მან თანდათან მოიცვა მაშინდელი დასავლური ფილოსოფიის თემატიკა და ფილოსოფიისთვის იმთავითვე დამახასიათებელი თავისუფალი აზროვნების სტიქია. ამ ახალ სიკეთებთან ერთად ის ინარჩუნებდა ძველ ფუნქციას, ყოფილიყო იდეოლოგიის „მანათობელი ლამპარი“. მოჩვენებითი იყო ეს ფუნქცია, ცხადია, მაგრამ თავისებურად სასარგებლოც — იცავდა ფილოსოფიას ბაზრის უღმობელი კანონებისგან!

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ტონის მიმცემად მოგვევლინა მთელ იმპერიამში. წარუვალა მნიშვნელობის ფილოსოფიური ნაშრომები შექმნეს შალვა ნუცუბიძემ, სერგი დანელიამ, კოსტა კაპანელმა, დიტო უზნაძემ, მოსე გოგიბერიძემ, კოტე ბაქრაძემ, სავლე წერეთელმა... „დათბობის ხანის“ თაობიდან თავი გამოიჩინეს ოთარ ბაკურაძემ, გურამ თევზაძემ, ზურაბ კაკაბაძემ, თამაზ ბუაჩიძემ, ნიკო ჭავჭავაძემ, ოთარ ჯიოევმა, სერგი ავალიანმა...

აი, ასეთი მიღწევები და მდგომარეობა გვეცოტავებოდა და მეტი უფლებები გვინდოდა ეროვნული მოძრაობის დროს. მაგრამ მივიღეთ ის უბადრუკი მდგომარეობა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე.

თქვენ მეკითხებით, თუ რით შეიძლება აიხსნას ასეთი მოულოდნელი შედეგი და რა გახდა ფილოსოფიისადმი ნიჰილიზმის მიზეზი. უმარტივესი პასუხი ასეთი იქნება: საქართველოში ფილოსოფიის ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ თვითონ დასავლეთშიც ფილოსოფია, დაახლოებით, ასეთსავე დღეშია. ჩვენი ეროვნული მოძრაობა, ფაქტობრივად, რუსული სივრციდან დასავლური სივრცისკენ მოძრაობა იყო, მეტი არაფერი. აი ეს მოგვეჩვენა და დღემდე გვეჩვენება საქართველოს დამოუკიდებლობად და თავისუფლებად. ფილოსოფიის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებაც სწორედ ამით აიხსნება. დასავლეთმა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ ჩვენს

პატრონად, ჩვენი განათლების მოწყობა, რასაკვირველია, თვითონ იკისრა და მიგვაერთა ე.წ. „ბოლონიის პროცესს“, სადაც ფილოსოფია არაფერს წარმოადგენს.

აქ სამწუხარო ისაა, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში ჩვენი ფილოსოფიის მესვეურებმა ვერ გამოიჩინეს ვერც სიბრძნე, ვერც სიმამაცე. პირიქით, ისინი თვითონ ჩაებნენ ამ ხმაურიან რეფორმებში, იმის მაგივრად, რომ ღრმად ჩაეხედათ მათში და წინააღმდეგობა გაეწიათ უკვე აშკარად თვალსაჩინო პროცესებისთვის.

მესმის, რომ ეს მხოლოდ სათქმელადაა აღვილი, თორემ საქნელად ძალიან ძნელია. დიახ, მესმის ეს, მაგრამ ფილოსოფოსს მაინც მეტი მოეთხოვება. მან ბრძნულად უნდა განჭვრიტოს ხვალინდელი დღე, სწორად უნდა შეაფასოს მთავარი მომენტები და უშიშრად უნდა გამოთქვას თავისი მიუკერძოებელი შეფასებანი. ესაა ის აქტიურობა, რაც ფილოსოფოსს ჰმართებს – სინამდვილის შემეცნება და მართლის თქმა! სულ მცირე, რაც ფილოსოფოსს მოეთხოვება ასეთ ძნელბედობათა ჟამს, ამ მანკიერი პროცესებისგან განზე განდგომაა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იკადროს მან მოდას აყოლა და მღვრიე დინების მიმართულებით ცურვა. ჩვენთვის დიდად სამწუხაროდ და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ჩვენი ფილოსოფოსების წამყვანმა გუნდმა მხოლოდ კონფორმიზმით გამოიჩინა თავი.

ახლა კი თქვენ მიერ დასმული კითხვა გადინაცვლებს სხვა სიბრტყეში: რატომ და როგორ აღმოჩნდა თვითონ დასავლეთი, დასავლური ცივილიზაცია ფილოსოფიის გარეთ? ჩემი სტუდენტობის წლებში ამას ვინ წარმოიდგენდა? მაგრამ ფაქტი ჯიუტია. როგორც ჩანს, ჩვენ გადაჭარბებული წარმოდგენისა ვიყავით მაშინდელ დასავლეთზე.

შალვა ნუცუბიძემ ქართველთა შორის პირველმა თქვა: ჩვენში ბოლო უნდა მოეღოს დასავლეთისადმი ინტელექტუალურ მონობას! იგივე აზრი მხატვრულად გაფორმდა გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“. დასავლეთმა, მართალია, შექმნა დიადი ფილოსოფიური კულტურა, მაგრამ თვითონვე უღალატა მას.

ამ უცნაურ განცხადებას განმარტება სჭირდება. საქმე ისაა, რომ დასავლურ ფილოსოფიაში თავიდანვე გამოიკვეთა ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ხაზი

– გერმანული და ინგლისური. პირველს ცოდნა თვითკმარ ფასეულობად მიაჩნდა, ხოლო შემეცნება – თვითმიზნად. მეორე კი ძალაუფლებას ეტრფოდა, ხოლო შემეცნება, ცოდნა საამისო ინსტრუმენტად ეჩვენებოდა. ამ დაპირისპირებასა და ბრძოლაში ინგლისურმა ხაზმა გაიმარჯვა. შესაბამისად, დასავლეთმა სპეციალურ მეცნიერებათა განვითარებაზე აიღო გეზი, ხოლო ფილოსოფიის საგნად ამ მეცნიერებათა მიერ მოპოვებული ცოდნის ანალიზი, ანუ ნაყარნუყარი გამოაცხადა. ამით ფილოსოფიას საგანთა არსისკენ, ბუნებისკენ მიმავალი ყველა გზა ამოუქოლეს და მეორეხარისხოვანი ფუნქცია არგუნეს.

ამ კურსის ფუნდამენტურად ჩამოყალიბებაში, სხვათა შორის, საბედისწერო როლი შეასრულა დასავლეთის უდიდესმა ფილოსოფოსმა კანტმა თავისი ეგრეთ წოდებული „კრიტიკული ფილოსოფიით“ და მეტაფიზიკის უარყოფით. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის რეალობა, რასაც დღეს ფილოსოფიის გაუფასურებას და კრიზისს ვუწოდებთ.

**კ. ქ. – ბატონო ზურაბ, თქვენს არაერთ სამეცნიერო პუბლიკაციაში საინტერესოდ განმარტავთ ფილოსოფიის რაობას. იქნებ კიდევ ერთხელ გვითხრათ, თუ რა არის ფილოსოფია და რატომ არ უნდა თქვას საზოგადოებამ, ქვეყანამ და სახელმწიფომ მასზე უარი? როგორ ფიქრობთ, რაში გვჭირდება ფილოსოფია?**

ზ.ბ. – ფილოსოფია ადამიანის ყველაზე არსებითი ნიშნებიდან გამომდინარეობს. ზოგიერთი ფილოსოფოსი – მაგალითად, ჰაიდეგერი – ადამიანს „ფილოსოფიურ ქმნილებადაც“ კი თვლის.

ადამიანი ბუნების სხვა საგნებისგან და მოვლენებისგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ ის აცნობიერებს თავის არსებობას. ამ აცნობიერებამ შეუძლებელია მისი გაკვირვება არ გამოიწვიოს. აი ეს გაკვირვება მიაჩნდათ პლატონსა და არისტოტელეს ფილოსოფიის საწყისად. ბავშვს ყველაფერი აკვირვებს, მაგრამ შემდგომში შეჩვევა თანდათან აცხრობს გაკვირვებას და ამ უკანასკნელის მკვიდრ საგნად იკვეთება არსებობის ერთგვარი უთავბოლოობა და გაურკვევლობა.

ეს გაკვირვება ყალიბდება რამდენიმე კითხვაში: რატომ არსებობს რაიმე და რა იქნებოდა, რომ არაფერი არსებობდეს?

რატომაა ის, რაც არსებობს, ასეთი და არა სხვანაირი? რა არის ყველაფერ ამის მიზეზი და მიზეზი? შეიძლება თუ არა გაუმჯობესდეს ყოფნა? არსებობს თუ არა ამ კითხვათა პასუხები და შეუძლია თუ არა ადამიანს ამ პასუხების მიგნება? ამ კითხვებს ძველთაგანვე უწოდებდნენ კითხვებს „საგანთა არსის“ შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს კითხვები თითქმის ყველა ადამიანს უჩნდება. ასეა, რადგან ისინი ცნობიერების თანაარსია და მის წიაღში თვლემს. მაგრამ ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ამ კითხვებს მხოლოდ შემთხვევათა გამო აქცევს ყურადღებას და მალევე ივიწყებს; ეკარგება ისინი წუთისოფლის თავბრუდამხვევ დოდსა და ტრიალში. მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილი ინარჩუნებს ამ კითხვების თავდაპირველ სიცოცხლესა და მუხტს.

მაგრამ ეს კითხვები ჯერ კიდევ არაა მაინც და მაინც ფილოსოფიური. ისინი შეიძლება გაჩნდეს აგრეთვე მითოსში, რელიგიურ წარმოდგენებსა და გამოცდილებაში, მხატვრულ შემოქმედებაში. ფილოსოფიური ხდება ისინი ერთადერთ შემთხვევაში: როცა უკავშირდება ცნებებით აზროვნებას; როცა ადამიანი ცდილობს მათ მოქცევას ცნებებში, განხილვას ცნებების მოშველიებით.

ეს ნიშნავს არსებობის სრულად გაცნობიერებას; ცნობიერების, ასე ვთქვათ, ბოლომდე მიყვანას; შეგნებას, ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით. ადამიანი აღარ კმაყოფილდება გაგონილით, სხვისგან მიღებული პასუხებით, ფანტაზიის მიერ დახატული სურათებით – მას სურს დასაბუთებული ცოდნა! ამას ნიშნავს ზემოთ კითხვების „მოქცევა ცნებებში“.

მაგრამ სწორედ ეს ქმნის ცნობილ წინააღმდეგობას ფილოსოფიის თვით გულის გულში: მთავარი ფილოსოფიური კითხვები განცდიდან მომდინარეობს, ცნებებით აზროვნება, ანუ ლოგიკური აზროვნება კი აქრობს ამ განცდას და არ ეხება მას. განცდა ცნებებში ვერ ექცევა, მხატვრულ სახეს ითხოვს გამოხატვისთვის. სახისა და ცნების გაერთიანება, რის ცდუნებაც დიდაა ფილოსოფიაში, თითქოს უკანონო ჩანს. ეს ცნებისა და სახის უკანონო შეერთებად გამოიყურება. ამიტომ ფილოსოფიის მეცნიერულობა ეჭვს იწვევს. მეტიც, ფილოსოფია ერთგვარ პარაზიტად ეჩვენება როგორც მეცნიერს, ისე ხელოვანსა და მორწმუნეს. ესაა მთავა-

რი საფუძველი იმ სამწუხარო მოვლენისა, რასაც ფილოსოფიის თანამედროვე მარგინალიზაცია (გარიყვა) ჰქვია.

მაგრამ ვინ დაადგინა, რომ ცნებისა და სახის „შეერთება“ უკანონოა? საკითხი იმთავითვე მარცხიანად არის დასმული. ცნებისა და სახის აღრევაა უკანონო და არა გაერთიანება. ადამიანი, ჩვეულებრივ, განასხვავებს და გამოჰყოფს მათ ერთმანეთისგან, და ასეც უნდა იყოს. მაგრამ ბუნების ძირი და ფესვი იდუმალია და ყველაფერი, რაც ჩვენ ერთმანეთისგან განვაცალკევით, ბუნების ძირსა და ფესვში ერთადაა. ფილოსოფია სწორედ ამ ძირ-ფესვის შემეცნებაა და ეს ხდება ცნებასა და სახეზე აღმატებული რესურსებით.

შემეცნების ამ ფორმას **არისტოტელემ** კატეგორიები უწოდა. მაგრამ ეს სიტყვა ისტორიულად დამახინჯდა და **ჰაიდეგერმა** მას „existential“ ამჯობინა. შეიძლება სხვა ტერმინიც მოიძებნოს ან შეიქმნას გარკვეულ ბაზაზე. მთავარი ისაა, რომ ფილოსოფია უღრმეს საგანს ეხება და ამიტომ მასშტაბურ აზროვნებას ედრება, საერთოდ, აზროვნების სინონიმიც კია. **ჰეგელი** მას „აზროვნების სტიქიად“ თვლიდა.

როცა დიდ ფილოსოფოსს კითხულობ, გრძნობ წაკითხულის უმაღლეს აზრს. მისი მნიშვნელობის დამცირება, რაც ნაირ-ნაირი სოფიზმებით ხდება, თითქმის მკრეხელობაა, ადამიანისთვის თანდაყოლილი დესტრუქციული ვნებების წახალისება და წაქეზებაა! ამიტომ ფილოსოფიის უარყოფა ჩვენი დროის „**ცივილურ ბარბაროსობად**“ მიმაჩნია, რაც იწვევს ისტორიის წყვეტას და აზროვნების დაცემას. ჩვენი დრო მასშტაბურობას ერიდება და წვრილმანებს ეხუტება. მისი აზროვნება და ხედვები მეტისმეტად ცალმხრივია, „ციკლოპურია“. სწორედ ეს მანკიერება იჩენს თავს ფილოსოფიის უარყოფის შემთხვევაშიც და დაღუპვით ემუქრება ადამის მოდგმას.

„მოაზროვნე არსებამ“ უნდა იცოდეს, რომ მასში მხოლოდ ოდნავ ფეთქავს აზროვნების უნარი. ასეა, რადგან მთელი ენერგია მოქმედებისთვის იხარჯება. ადამიანი, ჩვეულებრივ, არ აზროვნებს ხოლმე, ლამის სომნამბულის მდგომარეობაშია და უაზროდ მოქმედებს. მხოლოდ მაშინ, როცა რაიმეს დაეჯახება, დროებით მოუხმობს აზროვნებას, მერე კი ისევ საღათას ძილს მიეცემა.

შეიძლება უფრო მარტივად ითქვას: ის

ჯერ მოქმედებს, მერე აზროვნებს! პირიქით კი უნდა იყოს — ჯერ აზროვნებდეს, მერე მოქმედებდეს. მაშინ დაიმსახურებდა იგი „მოაზროვნე არსების“ საპატიო სახელს. ამას ნიშნავს ლაო ძის ცნობილი მოწოდება უქმობისკენ („უ ვეი“), რაც ასე აფრთხობს თანამედროვე საქმისკაცს — „ცივილიზაციის მასხარას“. ვერ იტანს იგი „ჭაობის მყუდროებას“, რადგან „მოზუბუყე ჭაობი“ იტაცებს!

სიცოცხლის გრიგალი, თავისი ბუნებით, აზროვნების წინააღმდეგ არის მიმართული. ფილოსოფია ის ღველფია, რომელიც წუთისოფლის ნაცარში მინავლულ ცეცხლს ინახავს. აი ამ ცეცხლს გაღვივება სჭირდება. ხალხში, საზოგადოებაში ფილოსოფიური აზროვნების განწყობა არ უნდა ჩაქრეს, თორემ ადამიანის მოდგმა აზროვნებას გადაეჩვევა, წვრილმანებში გადავარდება, სიმჩატისგან აქროლდება და დაიღუპება.

**კ. ქ. – თითქმის ყველას, ვისთანაც მსგავსი კითხვები გვექონდა, ქართული ფილოსოფიის შესახებ ვეკითხებოდით და თქვენც მინდა გკითხოთ: რას იტყვით ქართული ფილოსოფიის როგორც განსაკუთრებული ფენომენის შესახებ? ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ქართველი ბუნებით ფილოსოფოსია? (ამაზე ვინმემ შეიძლება თქვას: თუ ბუნებით ფილოსოფოსია, მაშინ ინსტიტუტები, კათედრები და ფაკულტეტები სულაც არ სჭირდებათ!)**

**ზ.ხ.** – ცნება „ქართული ფილოსოფია“ დაზუსტებას მოითხოვს. ფილოსოფია ხალხის სულიერი კულტურის ნაყოფია. ის გამომდინარეობს ხალხის ხასიათიდან, ფსიქიური წყობიდან, გემოვნებიდან, ენერგიიდან და, ნაწილობრივ, თვითონ ქმნის კიდეც მათ, „ხალხის სულს“. ასეთია ჩინური, ინდური, ბერძნული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური ფილოსოფიები...

ვინ არ იცის, რომ ფილოსოფიას ქართულ კულტურაში ამხელა ადგილი არ სჭერია. მართალია, ჩვენში ფილოსოფიამ ჯერ კიდევ II-III საუკუნეებში შემოაბიჯა და თანდათან ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიაც შეიქმნა; მაგრამ ფილოსოფია, განსხვავებით ხელოვნებისგან, მეცნიერებისგან და რელიგიისგან, ვერ იქცა ჩვენი აზროვნების განსაკუთრებულ საგნად. ქართული გონება და ფანტაზია ასპარეზს სხვა სფეროებში უფრო ეძებდა. ქართველ კაცს ფუნდამენტური ფილოსოფიური აზროვნებისთვის სულიერი თვალსაწიერიც აკლდა და მოცალეობაც. სა-

ამისოდ ის ზედმეტად იყო მიჯაჭვული გარესამყაროს, გარემოებებს...

ამიტომ ჩვენში ფილოსოფიურმა აზროვნებამ იმთავითვე **სხვათა ფილოსოფიების** შესწავლისა და განხილვის სახე მიიღო და ასეთადვე დარჩა. საკუთარი ფილოსოფიური სისტემის შექმნას ქართველი თავს არიდებდა. ეს სხვების საქმედ მიაჩნდა. მართალია, იყო ცალკეული მცდელობანი შალვა ნუცუბიძისა, კოსტა კაპანელიისა, სავლე წერეთლისა, მაგრამ სამივე შემთხვევაში სხვათა მიერ დასმულ პრობლემებს ვითავისებდით და სხვათა ტკივილებს ვსწავლობდით. ამიტომ ეს მცდელობანიც იმთავითვე უცხო ჩანდა ქართული კულტურისთვის, ვერ ჯდებოდა მის ბუნებრივ ქსოვილში და ნაკლებ ინტერესს იწვევდა ჩვენს მკითხველში, ჩვენს ეროვნულ შემოქმედებაში.

ხოლო როცა **ნუცუბიძე** სქელტანიან წიგნს წერს „ქართული ფილოსოფიის“ ისტორიაზე, „ქართულ ფილოსოფიაში“ გულისხმობს ქართველთა მიერ სხვათა ფილოსოფიების დამუშავებას და შენიშვნების დართვას. თუ ფილოსოფიის ცნებას ასეთი ფართო მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ, ცხადია, ქართული ფილოსოფიაც არსებობს, ისევე როგორც, ვთქვათ, სომხური, უკრაინული, პოლონური და სხვა ფილოსოფიები. მაგრამ ფილოსოფია არის არა სხვისი ფილოსოფიის განხილვა, არამედ თავისებურად გააზრება ფილოსოფიის საგნისა – ყოფნა-არყოფნისა, არსებობისა...

აქედან ცხადია, რომ არანაირი „ბუნებით ფილოსოფოსი“ ქართველი არაა. ეს ალბათ მეტაფორაა და გადატანითი მნიშვნელობით ითქმის იმ ხალხებზე, ვინც წარუვალა მნიშვნელობის ფილოსოფიური დოქტრინები შექმნეს და ამით გავლენა მოახდინეს როგორც თავის საკუთარ სულიერ კულტურაზე, ისე კაცობრიობის აზროვნებაზე საზოგადოდ.

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, წლების მანძილზე მუშაობდით საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ფილოსოფიის ინსტიტუტში; იყავით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე. ბუნებრივია, მრავალ საინტერესო ადამიანებთან გქონიათ ურთიერთობა. ამ მხრივ, ხომ ვერ გაიხსენებთ თქვენ მიერ გავლილ გზას სტუდენტობიდან დღევანდლობამდე?**

ზ.ბ. – ახალგაზრდობის წლებიდან ვეწევი ლიტერატურულ, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ზოგი ამ სფეროებში რაღაც შედეგებს აღწევს, უფრო მეტი თავს იტყუებს, კიდევ უფრო მეტი სხვებს ატყუებს. მე არცერთ კატეგორიას არ ვეკუთვნი. არანაირი შედეგებისთვის მე არ მიმიღწევია. მართალია, ლიტერატურულ და ფილოსოფიურ მოღვაწეობაში პატიოსნად გავისარჯე და რამდენიმე ნორმალური წიგნიც დაწერე, მაგრამ მკითხველი პრაქტიკულად აღარ არსებობს. საუკეთესო შემთხვევაში, იმდენად ცოტა დარჩა, რომ შეიძლება აღარც განვიხილოთ.

ჩვენ „წიგნის სიკვდილის“ დიდ ეპოქას მოვსწავართ. მოგვენატრა „აუტოდაფეს“ ბარბაროსული დროება, რადგან **წიგნის დაწვა წიგნის აღიარებაა, ბოლოს და ბოლოს!** „წიგნის სიკვდილი“ კი სხვა მოვლენაა. ის გამოიწვია ორმა დიდმა მოვლენამ – ლიბერალურმა დემოკრატია და ტექნოლოგიურმა წარღვნამ. პირველმა „დემოსის“ ხახაში გადააგდო წიგნი და სიცოცხლე მოუსწრაფა, მეორემ კი ტექნოლოგიებით ჩაანაცვლა იგი. მე შემოქმედების კაცი ვარ და ჩემთვის ეს იგივეა, რაც ჟანგბადისგან ჰაერის გაუხშობა. აი ეს მაღონებს ყველაზე მეტად. ჩემი ფუნქცია, რისთვისაც მოწოდებული ვიყავი, დაიკარგა და ზედმეტ ბარგად ვიქეცი.

კიდევ უფრო გაუხარელი იყო ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა. რაღაცნაირი „ფუნდამენტური აბსურდის“ განცდა სასწავლო დაწესებულებებში მუშაობის დროს დამეწყო. ყველგან ერთი და იგივე სურათი სუფევდა – ფუნდამენტური აბსურდი! ადმინისტრაცია ყოველთვის ერთი და იმავე მეთოდით აფერხებდა და აფუჭებდა სასწავლო პროცესს, თითქოს შეთქმულების მონაწილეაო. პედაგოგის უფლებები სულ უფრო მცირდებოდა. სასწავლო დაწესებულებაში პედაგოგი ლამის ზედმეტი გახდა. პედაგოგებმა ვერ დაიცვეს თავიანთი უფლებანი, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს, თავიანთ ნამდვილ მოვალეობაზე უარი თქვეს და სახე დაკარგეს. ამიტომ პედაგოგები, რომლებსაც ზნეობრივად უნდა აღეზარდათ მოსწავლეები, პირიქით, ზნეობრივად ჩამორჩნენ მოსწავლეებს. ქვეყანა თანდათან მიეჩვია ეთიკური კომპასის თუ აზიმუტის ასეთ შეცვლას და უმაღლეს სასწავლებელში ლექტორებიც და სტუდენტებიც ფასდენ

ბოდნენ არა ინტელექტუალური და მორალური ღირსებებით, არამედ — ცხოვრების უნარ-ჩვევებით, კერძოდ, მოქნილობით თუ გაქნილობით.

ეს მანკიერებანი „პერესტროიკის“ კვირადღაზე დაიწყო, ხოლო დასავლური რეფორმების გატარებისა და დამკვიდრების შემდეგ სრულად გაიშალა და მეტასტაზებად მოედო განათლების მთელ სისტემას.

ასეთ ვითარებაში პედაგოგის „რეალიზებაზე“ საუბარი ალბათ სიცრუე და უსინდისობა იქნება. ცხადია, ჩემს გვერდით იყვნენ „წარმატებული და რეალიზებული“ პედაგოგებიც, მაგრამ ეს არ იყო პედაგოგის წარმატება და რეალიზება. ეს იყო პედაგოგში ჩაბუღებული მედროვის წარმატება და რეალიზება – მათ უბრალოდ სახელი გაითქვეს, ტიტულები მოიხვეჭეს და ცხოვრება მოიწყვეს.

ისინი რეალიზებულნი არიან, რადგან რაც სურდათ, ის მიიღეს. მე კი ალბათ არარეალიზებული ვარ, რადგან მეტი მოვინდომე, ვიდრე ცხოვრების მოწყობა და ცრუ სახელის მოხვეჭა. მინდოდა ადამიანისთვის რაღაცის თქმა და ახალგაზრდების სულიერ განვითარებაში მონაწილეობის მიღება.

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, ცნობილია, რომ გარკვეული პერიოდი აშშ-ში ცხოვრობდით. საინტერესოა ფილოსოფოსის მიერ დანახული ამერიკა, ამერიკული ცხოვრების წესი, კულტურა და საზოგადოება. ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან ბოდრიარმა ამერიკაში ადამიანის ტოტალური გაუცხოება და „ჰიპერრეალობაში“ გაქრობა დაინახა. ამ მხრივ როგორია თქვენეული ხედვა. როგორ გამოიყურება ჩვენი ქვეყანა ამერიკიდან?**

ზ.ბ. – ოთხი წელიწადი ვიცხოვრე აშშ-ში. ეს სახელმწიფო თითქმის ნახევარი საუკუნეა ჩვენი შეფი და უცვლელი ავტორიტეტი. ამიტომ იქ ჩასვლამდე მე უკვე საკმაოდ საფუძვლიანად ვიცნობდი მას. ეს წარმოდგენა იქ ყოფნის წლებში არსებითად არ შეცვლილა; უბრალოდ, გამდიდრდა და განმტკიცდა.

„ამერიკული სულის“ მთელი თავისებურება ამ ქვეყნის თავისებური წარმოშობიდან გამომდინარეობს. ეს სული სტიქიურად, ანუ ბუნებრივად არ ჩამოყალიბებულა. „მომავალი ამერიკელები“ ამერიკაში უკვე ჩამოყალიბებულნი ჩამოვიდნენ და აქ პრაქტიკულად განახორციელეს დასავლეთში ესოდენ პოპულარული „საზოგადოებრივი

ხელშეკრულების“ (social contract) იდეა. ეს იგულისხმება გავრცელებულ ფრაზაში „ამერიკელები შორს დგანან ბუნებისგან!“. „კონკისტადორებმა“, ნაწილობრივ, გაანადგურეს, ნაწილობრივ კი, დაიმონეს ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო ერთმანეთისგან თავის დასაცავად შექმნეს ეგრეთ წოდებულ „ზომიერ ეგოიზმზე“ დაფუძნებული კანონები და დაემორჩილნენ მათ.

ეს ერთგვარ ხელოვნურ ექსპერიმენტს ჰგავდა, რის შედეგიც შეუძლებელია ასევე ხელოვნური არ ყოფილიყო. ეს შედეგი ახალი სამყაროს, კერძოდ ტექნოლოგიური სამყაროს შექმნაა. ამერიკაა ამ სამყაროს შემოქმედი! ამ ახალი სამყაროს პასიური, ვნებითი მხარე, ანუ მასალა ბუნებაა, ხოლო აქტიური, მოქმედებითი მხარე — ახალი ადამიანი, ამერიკელი. ეს სურათი ვიზუალურად დამიდგა თვალწინ ამერიკაში ფენის დადგმისთანავე.

ძალიან მოკლედ დავაკონკრეტებ. აქ ანგლო-საქსებმა ბოლომდე მიიყვანეს დასავლეთის წამყვანი იდეა, რასაც **ჰეგელი** „სუბიექტურობის პრინციპს“ უწოდებდა. ბუნება, რასაც **ვაჟა-ფშაველა** ბრძენ ღვთაებად აღიქვამდა, აქ ჭირვეულ, მაგრამ მომინაურებულ და მორჯულებულ ცხოველად გამოიყურება. ის ან ჭირვეული ურჩხულის წიწილაა, ან უბრალოდ მასალა და მეტი არაფერი. მისგან რაღაც უკეთესი უნდა შეიქმნას და ამას ამერიკელი იზამს. ამერიკელი, უბრალოდ, მოიხმარს ბუნებას, ერთობა ბუნებით ან მანიპულირებს, თამაშობს მისით, ვითარცა კუბიკ-რუბიკით.

მეორე მხრივ, ადამიანი, ვისაც ბიბლიაში „ბუნების გვირგვინი“ ერქვა, კიბერნეტიკული მანქანის უჩინარ, რიგით ოპერატორად იქცა. მისი ფსიქიკის მთავარი ნიშანი ბუნებისგან გადახრა, ანუ დევიაცია და პათოლოგიებია. მისგან განკურნების მცდელობა ამაოა, რადგან პათოლოგია ცხოვრების წესად გამოიყურება. მის მიმართ სახელმწიფოს მიდგომა ამკარად წინააღმდეგობრივია, გაორების ნიშნებს ატარებს. ერთი მხრივ, ამას ნერვული აშლილობა, ესე იგი, ავადმყოფობა ჰქვია, მაგრამ მეორე მხრივ სიტყვა „გიჟი“ ქათინაურადაა ქცეული. ყველა ცდილობს გიჟი იყოს. მთელი მსოფლიო **შექსპირის** კალიბანს, „მაჩოს“ ელოდება, როგორც ერთ დროს იუდეაში მაცხოვრის დაბადებას ელოდნენ.

დასავლეთ ევროპაში „ღმერთის სიკვ-

დილი“ უნებლიეთ დადგა, დასავლური ცივილიზაციის მიმწუხრზე. ამერიკამ კი პირდაპირ „ღმერთის სიკვდილიდან“ დაიწყო! მას ღმერთი იმთავითვე ზედმეტ ბარგად მოეჩვენა და მთელი იმედები ადამიანზე, კერძოდ „სოციალურ კონტრაქტზე“ და ძალაუფლების ნებაზე დაამყარა – ბაზარი, დემოკრატიული მმართველობა და ტექნიკური პროგრესი ყველაფერს დაალაგებსო! ეს ცნობილი ამერიკული ოპტიმიზმია. მას ვიწრო თვალსაწიერი კვებავს. ანგლო-საქს ფილოსოფოსთა წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ეგოიზმი შეუძლებელია „ზომიერი“ იყოს. ეგოიზმი, როგორც **მოპენჰაუერი** ამბობდა, თავისი ბუნებით, უსაზღვროა. ხოლო ყოველგვარი მცდელობა მისი გარედან შეკვცისა, პირიქით, უკუშედეგს იძლევა – უფრო აშიშვლებს და აძლიერებს!

ეს მოვლენები ამ საუკუნის პირველი წლიდანვე დაემუქრა ამერიკას. უზომო და არაბუნებრივი ეგოიზმი კინგ-კონგივით მოადგა სუფთად დავარცხნილ ქვეყანას. სახელგანთქმულ დემოკრატიულ სოციალურ კი არანაირი რესურსები არ აღმოაჩნდა მასთან გასამკლავებლად. ასეა, რადგან ერთადერთი რესურსი ეგოიზმის შესაჩერებლად ზნეობაა. ის კი თავიდანვე შორს გადასტყორცნეს ცივილურმა კონკისტადორებმა, რადგან მის გარეშე და სამართლის კანონების ანაბარა უფრო იოლი მოეჩვენათ ცხოვრება.

დღეს გამოსავლის ძიებაში ამერიკელმა უძველეს ილუზიას შეაფარა თავი – „განტევების ვაცს“! ერთ დროს რომის სენატში **კატონ** უფროსმა შექმნა „განტევების ვაცი“ კართაგენის სახით. რაზეც გინდა ყოფილიყო დავა, კართაგენისკენ იშვერდა ხელს და იტყოდა: „მე, ბატონებო, მაინც მგონია, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს!“. დღესაც ისტორია მეორდება: ნებისმიერი მუცლის გვრემის დროს ამერიკა მოსკოვისკენ იშვერს ხელს, რუსეთი უნდა დაიშალოსო. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქმის არსი არ ესმით. ამიტომაც გამოსავალი, რბილად რომ ვთქვათ, ბუნდოვანია ერთობ.

ზემოსხენებული „პირველი ამერიკული ექსპერიმენტი“, social contract-ი გადაიზარდა ახალ-ახალ კოლოსალურ ექსპერიმენტებში. ჯერჯერობით უკანასკნელ ექსპერიმენტებად შეიძლება დავასახელოთ პანდემიის კამპანია და უკრაინის ომი. როცა ადამიანის გონება და ნებისყოფა უძღურია, რჩება ღმერთის იმედი. ვიქონიოთ ჩვენც ეგ იმედი...

ბოლოს, რაც უხედავია თქვენი კითხვის მეორე ნაწილს – ამერიკის მიერ საქართველოს აღქმას. ჩვენს აწმყოს, მოგვხსენებათ, ბევრად სჯობს ჩვენი წარსული. ყოველ შემთხვევაში, ქართველებს ასე გვჯერა. აი აქვე, დასაწყისშივე გაყრილია ქართველისა და ამერიკელის გზები. ამერიკა, პირიქით, აწმყოთი და მომავლით ამაყობს და ტკბება. წარსულზე საუბარი მას არ სიამოვნებს. ის გვზომავს ჩვენი აწმყოს მიხედვით.

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, ფაქტია, რომ ჩვენში არაერთი ფილოსოფიური დისციპლინა გაქრობის პირასაა. ახლა ცოტა თუ მუშაობს ლოგიკის, ეთიკის, აქსიოლოგიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის პრობლემებზე. ადრე ამ პრობლემებს შესაბამისი კათედრები და სამეცნიერო განყოფილებანი ამუშავებდნენ, რაც ამჟამად არ ხდება. როგორ შეაფასებდით ამ მხრივ არსებულ ვითარებას?**

**ზ.ბ. –** ეს კითხვა ნაწილობრივ იმეორებს ზემოთ დასმულ კითხვათაგან ერთ-ერთს. ამიტომ მასზე პასუხი, არსებითად, გაცემული მაქვს. ახლა უფრო დავაკონკრეტებ.

**არისტოტელემ** პირველმა დაჰყო ფილოსოფია ნაწილებად – „პირველ ფილოსოფიად“ და „მეორე ფილოსოფიებად“. ამის შემდეგ ფილოსოფია ამ ორი ნაწილის განუწყვეტელ ურთიერთკავშირში ვითარდებოდა.

ეს „დანომვრა“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ხარისხობრივ განსხვავებას; არც იმას, თითქოს ჯერ „პირველი ფილოსოფია“ იწერება, შემდეგ კი „მეორე“. ფილოსოფია ორივეს ურთიერთკავშირში იქმნება და ვითარდება, დანომვრა კი უფრო დალაგებისთვის ხდება. ფილოსოფიური სისტემის შემქმნელმა დალაგების დროს სისტემას წინ წაუმიძღვარა ეგრეთწოდებული მეტაფიზიკა, ხოლო დანარჩენები მისი მიხედვით დაალაგა და გადმოსცა.

იმის თქმა მსურს, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილ კერძო ფილოსოფიურ დისციპლინებზე მუშაობის გარეშე ფილოსოფიური აზროვნების განვითარება სრულიად შეუძლებელია. თუ არ მიმდინარეობს მუშაობა ეთიკის, ესთეტიკის, ლოგიკის, სოციალური ფილოსოფიის, ისტორიის ფილოსოფიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხებზე და ეს ფილოსოფიური მეცნიერებანი გაქრობის პირასაა, მაშინ საერთოდ არ

მიმდინარეობს ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობა და თვითონ ფილოსოფიაა გაქრობის პირას. ესაა ის უნუგემო სურათი, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

როგორც ვხედავთ, ფილოსოფია არაა რაღაც ერთი „საგანი“. ის მეცნიერულ დისციპლინათა მთელი სისტემაა. მისი ათვისება და განვითარება სოლიდურ თანხებს მოითხოვს და სრულიად წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე. მისი დაფინანსება ვინმე სპონსორის კეთილ ნებაზე ან გუნება-განწყობილებაზე კი არ უნდა ეკიდოს, არამედ სახელმწიფოს დაინტერესებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა კავშირში იყო. მოკლედ მოგახსენებთ, თუ როგორ მესახება ეს სურათი.

ჩვენი პატარა ქვეყნისთვის სავსებით საკმარისია ერთი უნივერსიტეტი, სადაც ახალგაზრდობის ინტელექტუალურად საუკეთესო ნაწილი ისწავლის. უნივერსიტეტის ავსება და გადავსება სტუდენტებით, რა თქმა უნდა, მანკიერი ტრადიციაა. ეს მიუთითებს არა განათლების პრიორიტეტულობაზე, არამედ სრულიად პირიქით, უნივერსიტეტისა და განათლების შეგნებულ ნგრევაზე.

საუნივერსიტეტო სწავლებაში კი შუაგული ადგილი ფილოსოფიას უნდა ეკავოს, რადგან იმთავითვე ამას ითვისების წინებს თვით იდეა უნივერსიტეტისა. ეს გამართლებულია ლოგიკურადაც და ფაქტობრივადაც. ასე იყო თავიდანვე ევროპის პირველ და უდიდეს უნივერსიტეტებში; ასე იყო **დავითის** დროინდელ გელათის აკადემიაშიც. ეს პრინციპი დღესაც უნდა იყოს დაცული.

უნივერსიტეტში პირველ ნომრად უნდა იყოს ფილოსოფიის ფაკულტეტი თავისი კათედრებითურთ, რომლებიც შეესაბამებიან ცალკეულ ფილოსოფიურ დისციპლინებს. ფილოსოფიის ზოგადი კურსი, ანუ ფილოსოფიის შესავალი უნდა იყოს სავალდებულო საგანი ყველა სხვა ფაკულტეტისთვის. ხოლო თვით ფილოსოფიის ფაკულტეტზე ფილოსოფია უნდა ისწავლებოდეს მთელ თავის ტოტალურ კონკრეტულობაში. გარდა ამისა, ქვეყანაში უნდა აღდგეს ფილოსოფიის მეცნიერებათა ინსტიტუტი, სადაც გეგმურად, ორგანიზებულად იწარმოებს ფილოსოფიურ პრობლემათა მეცნიერული კვლევა.

ხარჯების შესამცირებლად და ხარის-

ხის ასამაღლებლად აუცილებელია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შეზღუდვა და მკაფიოდ განსაზღვრა. იგივე ითქმის აკადემიის განყოფილებათა დაკომპლექტებაზე. რაოდენობაზე გამოდევნებამ, რაც ყოველთვის არაჯანსაღი ინტერესებითაა გამოწვეული, თავის დროზე დიდად დააზიანა საბჭოთა კავშირი. ახლა კი ამ მხრივ მდგომარეობა, უბრალოდ, სავალალოა.

ზემოთ ვახსენე ხარჯების სოლიდურობა. მაგრამ პრობლემა იმდენად ხარჯების რაოდენობაში არაა, რამდენადაც სახელმწიფოებრივი ნების უქონლობაში. თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელობას ფილოსოფია საჭიროდ არ მიაჩნია, მაშინ თანხების არქონას მოიმიზეზებენ ხოლმე. ხოლო საჭირო საქმისთვის თანხები არ კმარა ერთადერთი მიზეზით: ისინი შეუსაბამოდაა განაწილებული! ეს კი ხდება არა იმის გამო, რომ ვიღაცას რაღაც შეეშალა, არამედ იმიტომ, რომ ვიღაცამ დააშავა. სადაც სახელმწიფოებრივი ნება არსებობს, იქ საჭირო საქმისთვის თანხები ყოველთვის გამოიძებნება. აღიკვეთება უამრავი ზედმეტი ხარჯი თითოიდან გამოწოვილ „პრობლემებზე“ და გამოთავისუფლება თანხები ფილოსოფიური განათლებისთვის.

უმთავრესი მუდამ ერთია: იგრძნოს ქართველმა ხალხმა განათლების აუცილებლობა და კატეგორიულად უარი თქვას მონობაზე. აკი ფილოსოფიური აზროვნება აქედან იწყება და ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზაც ესაა.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ ეს ყველაფერი რეალურად შესაძლებელია, მაგრამ სინამდვილეში ... ფანტასტიკის სფეროა! საერთო საქმისადმი მგრძნობიარობა ჩვენში თითქმის აღარ არსებობს. თვითონ ეს ტერმინიც „საერთო საქმე“ აღარ იარსებებდა, ის პირადი სათავისო საქმეების შესაფუთად რომ არ სჭირდებოდა. ამას ხელს უწყობს საერთო პლანეტური კრიზისიც. დაიწყო ეს კრიზისი საბჭოთა კავშირის ბარბაროსული ნგრევით და დღემდე გრძელდება ისე, რომ ნგრევის გამო არავითარი შემფოთება არ იგრძნობა.

**კ.ქ. – ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში საინტერესო წიგნის ავტორი ბრძანდებით. ამიტომ უნდა გკითხოთ: თქვენი აზრით, რა არის ადამიანი?**

რაკი მოკლედ და მოჭრით მკითხეთ, მეც მოკლედ გიპასუხებთ: ადამიანი ცნო-

ბიერება! უფრო კონკრეტულად, ეს არის „ბუნებას პლუს ცნობიერება“.

ადვილია ამ სხარტი პასუხის არასწორად გაგება. ამიტომ საჭიროა ნათქვამის ოდნავ მაინც დაზუსტება. „ბუნებას პლუს ცნობიერება“ მაშინვე ბაღებს მცდარ წარმოდგენას, თითქოს ადამიანი ბუნებაზე მეტია. მართლაც, ის არა მხოლოდ არსებობს, არამედ აცნობიერებს კიდეც თავის არსებობას. ჩვენთვის ცნობილ ბუნებაში მხოლოდ ადამიანია ასეთი და, ამ აზრ-გაგებით, ის მართლაც მეტია ბუნებაზე.

მაგრამ ეს „არითმეტიკა“ მალავს რეალობის უკანა და მთავარ მხარეს. თავისი თავის გაცნობიერებით ბუნება ნაწილობრივ „თავისი თავის გარეთ“ აღმოჩნდა და შორიდან ესწრაფვის მას. სწორედ ეს უცნაური ვითარებაა ადამიანი. ის ნაკლის, დანაკარგის მწვავე შეგრძნებაა. ადამიანი უსასრულოდ ნაკლებია იმაზე, რაც თითქოს უნდა იყოს.

აი ამ აზრ-გაგებით, ადამიანი, პირიქით, ნაკლებია ბუნებაზე და ცდილობს ამ ნაკლის ამოვსებას, გადალახვას. მის ამ უმთავრეს, ფუნდამენტურ სულისკვეთებას უნდა დავარქვათ „ეგზისტენციური დაძაბულობა“, უფრო ზოგადად კი – ნება.

ესაა უმთავრესი, რაც ადამიანის სახით არსებობს და ხდება. ოღონდ ამ მეტაფიზიკური სქემის დასასრულებლად უნდა გავხაზოთ კიდეც ერთი მომენტი. ცნობიერების წარმოშობამდე, ანუ ადამიანამდე ყოფნა სიზმარშია დანთქმული. ესაა ბუნება, რამაც არ იცის თავისი თავი და ამიტომ მისი ყოფნა არაფრით განსხვავდება არყოფნისგან. ყოფნის დასაბამი მისი გაცნობიერებაა. მაგრამ ამ გაცნობიერებით არსებობა ორად იხლიჩება – სუბიექტად და ობიექტად, ანუ იქმნება „ნაკლოვანი არსებობა“.

ადამიანი ამას ასე გრძნობს: მას აკლია მთელი სამყარო, რაც გარედან ეკვრის და ზღუდავს. მთელი მისი ცხოვრება ბრძოლაა აი ამ „ნაკლის“ გადასალახად, ერთგვარი „ონტოლოგიური უფსკრულის“ ამოსავსებად. მაგრამ უფსკრული იმის უფსკრულია, რომ ფსკერი არ აქვს და მისი ამოვსება შეუძლებელია. „ნაკლის“ გადალახვაც ზუსტად ასევე შეუძლებელია, რადგან ადამიანი სწორედ ამ „ნაკლის“ წყალობით გაჩნდა და არსებობს. ადამიანი ბუნებაში გაჩენილი უფსკრულია. ამ უფსკრულის გადალახვით თვითონ ადამიანიც გადაილახებოდა და გაქრებოდა.

ადამიანს ყოფნა უპირობოდ სწყურია, მაგრამ ამ ყოფნის სათავეს, ანუ უფსკრულს ადამიანი ასევე უპირობოდ გაურბის. ეს ორი მოძრაობა პირწმინდად გამორიცხავს და ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამიტომ ადამიანის ცხოვრება აბსურდს ედრება.

თითქმის ყველა ადამიანი გრძნობს ამ აბსურდს და იმასაც, რომ ამ აბსურდის გაცნობიერება ცხოვრების ენერგიას ნთქავს. აქედან ორნაირი გამოსავალი იკვეთება: ბუნებრივი და სულიერი. ბუნებრივი გამოსავალია აბსურდის გაცნობიერებისგან შეძლებისდაგვარად თავის არიდება. ადამიანი ერთობა, ან თავს იტყუებს აბსურდით.

სხვაა სულიერი გამოსავალი. ადამიანი ბოლომდე აცნობიერებს აბსურდს სასიცოცხლო ენერგიის ხარჯზე, ანუ კლავს თავის თავში სიცოცხლის უპირობო წყურვილს. ის ცდილობს იპოვოს თავისი „უდაბნო“ ცხოვრების მორევში, მაქსიმალურად განერიდოს თვითონ მორევს და იქცეს მის მაყურებლად. ეს თავისებური „შემეცნებითი სიდიადე და ზნეობაა“, რაც ადამიანს მართლაც აყენებს ბუნებაზე მაღლა. სამაგიეროდ მტკივნეულია იგი საკუთარ თავში ბუნების მოშთობის გამო.

**კ.ქ. ბატონო ზურაბ, თქვენი გამოკვლევები და ნააზრევი მოპენჰაუერის, ნიცშეს, კირკეგორისა და ფილოსოფიური აზრის სხვა წარმომადგენლების შესახებ, თამამად შეიძლება ითქვას, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ოქროს ფონდის კუთვნილებაა, რომელსაც მომავალი სათანადოდ დააფასებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა გკითხოთ: ვინ არის ის ფილოსოფოსი, რომელიც სხვებზე მეტად მოგწონთ და აფასებთ, და რატომ? და კიდევ: რომელი ფილოსოფიური მიმდინარეობა თუ მოძღვრება იმსახურებს თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას?**

**ზ.ს.** – ფილოსოფია მე ლოგიკურ და მხატვრულ აზროვნებათა სინთეზად მიმაჩნია. მაგრამ, ჩვეულებრივ, ამგვარი სინთეზი ფილოსოფიაში შეუძლებლად ითვლება. ფიქრობენ, რომ ფილოსოფიის სტიქია და მოწოდება ლოგიკური აზროვნებაა, ხოლო მხატვრული აზროვნება ფილოსოფიის ნაკლია. გვახსოვს, ბერძნული ფილოსოფია სწორედ ამ პათოსით იწყება და ვითარდება. ეს იყო სავსებით გამოკვეთილი მოძრაობა „მითოსიდან ლოგოსისკენ“.

მე იმ აზრს ვემხრობი, რომ ლოგიკური

აზროვნება ცალმხრივია და ვერ გაწვდება ფილოსოფიის შესამეცნებელ საგანს. ეს ბერძნული ფილოსოფიის დასაწყისშივე გამოჩნდა. ზენონის აპორიები გვიჩვენებს, რომ ლოგიკა ვერ ფარავს, ვერ მოიცავს რეალობას. აქედან ერთადერთი გამოსავალი – გრძნობადი რეალობის უარყოფა, ანუ ილუზიად გამოცხადება და რეალობის გაიგივება ცნებასთან.

ეს პარმენიდეს პარადიგმაა, რაც გასდევს ფილოსოფიის განვითარებას ანტიკურობიდან ჰეგელამდე. ამით ფილოსოფიამ შექმნა დიდი მეცნიერული კულტურა, მაგრამ მე ამ პარადიგმის ნაკლად მიმაჩნია გრძნობადი სინამდვილის უგულებელყოფა და, ამ აზრ-გაგებით, არ მომწონს იგი. გულწრფელი ადამიანი, ვისაც ფილოსოფიის კითხვები აწუხებს, შეუძლებელია რამდენადმე არ გალიზიანდეს სოკრატეს აზროვნებით, მისი ეგრეთ წოდებული დიალექტიკით, რომელიც დიდი წარმატებით ანგრევს, მაგრამ თითქმის ვერაფერს აშენებს. ეს უნაყოფოცაა და მოსაწყენიც.

ბევრად უფრო ნაყოფიერი და მომხიბვლელი მგონია ჰერაკლიტე ეფესოელი. მისი დიადი წიგნი „ბუნებისთვის“, კაცობრიობისთვის სამწუხაროდ, ისტორიის მსახვრალ ხელს ვერ გადაურჩა და მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებად შემოგვრჩა. მაგრამ რაოდენ შთამბეჭდავია ეს ფრაგმენტები?! ისინი არასოდეს ცვდება, სულ ახალ-ახალი წახნაგიდან ბრწყინდება, დაუსრულებლად რწყავს ფანტაზიას და აცოცხლებს აზროვნებას.

ბერძნული ფილოსოფია ჰერაკლიტეს გზით არ წასულა, პარმენიდეს გზით წავიდა; მაგრამ თვით პლატონიც და არისტოტელეც ჰერაკლიტეს აჩრდილს თვალს არ ამორებენ და მასთან ჭიდილში იზრდებიან. ამიტომ ეს ფილოსოფოსი არასოდეს მწყინდება. მისი აფორიზმები ჩემთვის აზროვნების ნამდვილი ვიტამინებია ფილოსოფიაშიც და პოეზიაშიც.

ჰერაკლიტეს პარადიგმა გრძნობადი შემეცნებისადმი ერთგულებაა. გონებაშიც იგი „გრძნობად გონებას“, ანუ პოეტურ ინტუიციას გულისხმობს. ეს სახეებით აზროვნებაა და ლოგიკის უარყოფად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში ახალი ლოგიკაა — პოეზიის ლოგიკა! აქ აზროვნებას წინააღმდეგობისა არ ეშინია. პირიქით, ის იკვებება ამ წინააღმდეგობით.

ახალი დროის დიდმა ფილოსოფოსებმა – ჰეგელმა, შოპენჰაუერმა, ნიცშემ – ჰერაკლიტეს პარადიგმა გააცოცხლეს და სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებლად აღმართეს. ამით ფილოსოფიის ყველა სიმაღლე დაიპყრეს. ჰეგელის გენიას დიდი ზიანი მიაღდა მისივე ლამის ახირებული მეთოდისგან, მაგრამ ამ მეთოდის შიგნით ჰერაკლიტეს პოეტური ცეცხლი ფეთქავს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ისტორიის ფილოსოფიის შესავალი, რომელიც სამუდამოდ დარჩება ფილოსოფიური აზროვნების მძვენებად!

ფილოსოფიის პოეტური სტიქია უმაღლეს მწვერვალს აღწევს ნიცშეს ზოგიერთ თხზულებებში. პირველ რიგში ვგულისხმობ მის „ტრაგედიის დაბადებას“ და „ზარატუსტრას“. ერთიც და მეორეც რეაქციაა ფილოსოფიურ რაციონალიზმზე, რამაც ლამის პათოლოგიური სახე მიიღო სპინოზას „ეთიკაში“ და ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში“. ამ ფილოსოფოსთა რაციონალისტურ სქემატურობაზე პასუხი და მის წინააღმდეგ ერთგვარი აჯანყებაა კირკეგორისა და ნიცშეს ზედმეტი გატაცება მხატვრული აზროვნებით.

ფილოსოფიის ლოგიკურმა და პოეტურმა ნაკადებმა ზომიერ წონასწორობას და იშვიათ შეხმატკბილებას შოპენჰაუერთან მიაღწიეს. მისი „სამყარო ვითარება ნება და წარმოდგენა“ მიუწვდომელ შედევრად მეჩვენება. აქ ეს ფილოსოფოსი ერთდროულად ედრება გოეთესა და კანტს; პირველს — დიდებული მხატვრული ინტუიციით, მეორეს — უზადო ლოგიკით.

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, რას იტყვით ფილოსოფიისა და პოლიტიკის ურთიერთობაზე? ისტორიულად პოლიტიკოსები პატივს სცემდნენ ფილოსოფიას და ფილოსოფოსებს, ხელს უწყობდნენ მათ. დღეს პირიქითაა. როგორ ახსნიდით ამ ვითარებას?**

**ზ.ხ.** – თქვენ, ეტყობა, სხვა რამეს გულისხმობთ, თორემ პოლიტიკოსები არა მგონია, თუ როდისმე პატივს სცემდნენ ფილოსოფიას და ფილოსოფოსებს. პირიქით მგონია: ფილოსოფოსები უფრო სცემდნენ და სცემენ პატივს პოლიტიკასა და ზოგიერთ პოლიტიკოსს! სწორედ ეს აღნიშნეს ძველი ინდოეთის ეგრეთ წოდებულმა „გიმნოსოფისტებმა“ ალექსანდრეს ლაშქრის ფილოსოფოსებთან საუბრის დროს, რაზეც პლუტარქე მოგვითხრობს თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“.

ალექსანდრე დიდმა, როგორც ცნობილია, თავის დამპყრობლურ ლაშქრობებში თან იახლა ბერძენი ფილოსოფოსები და შეახვედრა ინდოეთის „ტანშიშველ ბრძენებს“. ამ უკანასკნელებმა ყურადღებით მოისმინეს ბერძენ ფილოსოფოსთა მონათხრობი, სოკრატე მოეწონათ და ასეთი შეფასება გამოთქვეს: კარგი ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ ნამეტანი ჰყვარებია პოლიტიკა და პოლიტიკოსებო. იმას გულისხმობდნენ, რომ სრულყოფილი ადამიანი სოკრატეს ვერ წარმოედგინა სამოქალაქო მოღვაწეობის, პოლიტიკაში მონაწილეობის გარეშე. პლატონის მთელი მსოფლმხედველობრივი ევოლუციაც ხომ სახელმწიფოს თემას დასტრიალებდა. ხოლო არისტოტელემ ადამიანი „პოლიტიკურ ცხოველად“ გამოაცხადა. აი ეს არ მოეწონათ ინდოელ გიმნოსოფისტებს!

მანამდე გვახსოვს, როგორ დაარბია სამოსელმა ტირანმა პითაგორას მისტიურ-ფილოსოფიური ამხანაგობა. მოხუცებულ ფილოსოფოსს ამ დევნამ სიცოცხლე მოუსწრაფა. კიდევ უფრო სასტიკი ბედი ეწია ზენონ ელეელს, გორგიას, სოკრატეს. პლატონმა თავის თავზე იწვინა ფილოსოფიისა და პოლიტიკის ერთმანეთთან შეუსაბამობის მკაცრი შედეგები და შემთხვევით გადაურჩა დაღუპვას. არისტოტელემ კი ქვეყნიდან გაქცევით უშველა თავს...

ეს მაგალითები, რომელთა გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, უბრალოდ, სამწუხარო მაგალითები როდია. ისინი გამოხატავენ რეალობას, სინამდვილის უღრმეს და უცვლელ ფენას, წინააღმდეგობას ყოფნის ორ წესს – იძულებასა და თავისუფლებას შორის. სახელმწიფო დაწესებულება იძულების იდეას ეფუძნება – თავისუფლება უნდა მოექცეს იძულების ფარგლებში, „შინაგან იძულებად“ უნდა იქცეს. სხვა შემთხვევაში თვითნებობის სახეს მიიღებს და ცხოვრებას ანარქია წალეკავს.

ფილოსოფია კი, პირიქით, თავისუფლების იდეას ემყარება. იძულება კი არ უნდა იქცეს თავისუფლებად, – ეს შეუძლებელია, – თავისუფლება თვითონაა შინაგანი იძულება. ის სახელმწიფოდან კი არ იწყება, არამედ თვითონ სახელმწიფო იწყება მისგან.

აი ამ მომენტში სახელმწიფო და ადამიანი, პოლიტიკა და ფილოსოფია ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ამ მდგომარეობას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. საკითხავი

მხოლოდ ისაა, თუ რამდენად შეიძლება ამ წინააღმდეგობის მოქცევა ზომიერების ფარგლებში; რამდენად შეიძლება იმის მიღწევა, რომ სახელმწიფო ნაწილობრივ შეუღებოს ძალაუფლებას, ადამიანი კი ასევე ნაწილობრივ შეეგუოს მორჩილებას.

ეს სათქმელად ადვილია, შესასრულებლად – უძნელესი, თითქმის შეუძლებელი. უპირველეს ყოვლისა კი აუცილებელია პოლიტიკურ ინსტიტუტებში ფილოსოფიური განათლების შეტანა და დამკვიდრება. მონარქიული მმართველობა ბევრად უფრო ახლოსაა ამგვარ განათლებასთან, ვიდრე რესპუბლიკური მმართველობა. ამ უკანასკნელმა დემოკრატიის დემაგოგიური დროშა აღმართა და სწორედ განათლებას დაუპირისპირდა.

დემოკრაციამ განათლება ზედმეტ ბარგად აქცია პოლიტიკაშიც და საერთოდ ცხოვრებაშიც. განათლების ადგილი ცხოვრების უნარ-ჩვევებმა დაიკავა. მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა სულ უფრო მზარდ ტექნოლოგიებთან მორგებამ შეიძინა. ადამიანი უკიდურესად ცალმხრივი გახდა და თითქოს ტექნიკურ მოწყობილობებს შორის ყველაზე ჩამორჩენილ მოწყობილობად იქცა. ხოლო განათლების გარეშე შთენილი ცოდნა დაღუპვით დაემუქრა ცივილიზაციას, კაცობრიობას.

ამ პროცესის მშვიდობიანად შემობრუნება უკვე შეუძლებელი ჩანს. მხოლოდ დიდი, გლობალური კატაკლიზმის იმედი უნდა გვქონდეს, თუ ის საბედისწერო არ შეიქნა.

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, ჩვენი საუბარი განათლებასაც უნდა შეეხოს. როგორ შეაფასებდით ამ მხრივ ჩვენში არსებულ მდგომარეობას – განათლების გაუფასურებას? განათლებული ადამიანის, პედაგოგისა და მეცნიერის როლის დაკნინებას საზოგადოებაში და სხვა. რაში ხედავთ გამოსავალს?**

**ზ.ხ.** – ამ საკითხს სიმწვავე დაეკარგებოდა, თუ მას მხოლოდ ჩვენს პრობლემად განვიხილავდით. ჩვენი ეპოქის განვითარება და კურსი აშკარად მიუთითებს ამ პრობლემის გლობალურობაზე. განათლება სულ უფრო მცირე როლს თამაშობს მსოფლიოს ცხოვრებაში და სულ უფრო ნაკლებად დირეზული ხდება. ეს მძიმედ დაეტყო მთელ პლანეტას!

ზოგადად, განათლება იგივეა, რაც ცოდნა. მაგრამ ცოდნაცაა და ცოდნაც. ჯერ კიდევ ჰერაკლიტე ეფესოელი განასხვავებ-

და „პოლიმათიას“ (მრავლის ცოდნას) და „ლოგოსს“ (ერთის ცოდნას), ხოლო სოკრატე და პლატონი – „ლოქსას“ (შეხედულებას) და „ეპისტემეს“ (ცოდნას). პირველი ისაა, რაც ცოდნად ითვლება, მაგრამ სინამდვილეში არაა ცოდნა, ზედაპირული ინფორმაციაა. მეორე კი ნამდვილი, ღრმა ცოდნაა. პირველი, თუ თანამედროვე ტერმინოლოგიას მოვუხმობთ, საგნებზე ძალაუფლების დამყარების ინსტრუმენტი, მეორე კი, პირველ რიგში, ჭეშმარიტების სხივია, რომელიც ანათებს ადამიანს და ცხოვრებას.

ეს არსებითი მომენტი კარგადაა ატაცებული რუსულ ენაში. ცოდნის მიღებას რუსულად просвещение-ც (განათება) ჰქვია და osвещение-ც (ქმნა). ცოდნის მიღება ანათებს ადამიანის სულს და ქმნის მას. ქართული სიტყვა „განათლება“ ამ ტალღაზეა მოაზრებული. აი, რის ცოდნაზეა საუბარი, როცა განათლება ცოდნის მიღებად და დამკვიდრებად მიგვაჩნია.

ცოდნისა და განათლების ამგვარ იდეალისტურ გაგებას ეყრდნობოდა განათლების პრუსიული სისტემა, რაც პეტრე დიდმა ევროპიდან გადმოიღო და რუსეთში დანერგა. აქედან გადმოვიდა ის საქართველოში, როცა ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერიაში მოექცა. სტალინურმა იმპერიამ კი ის არსებითად გადაამუშავა და ახალ ეპოქას შეუფარდა.

მაგრამ ცოდნისა და განათლების ამ სისტემას დასავლეთში თავიდანვე დაუპირისპირდა ანგლო-საქსური ლიბერალიზმი, რის თანახმადაც „ადამიანის სულის განათება“ და ამით „ადამიანის შექმნა“ ყალბი პათეტიკაა და ხელყოფს ადამიანის უფლებებს, ამახინჯებს ბავშვის თავისუფალ განვითარებას.

თურმე მასწავლებელმა, დაახლოებით, ისევე უნდა ასწავლოს ბავშვს, როგორც ავტოსკოლაში მძღოლი ასწავლის მანქანის ტარებას. მისი სიბრძნე და „სითბო“ არავის სჭირდება. მას ევალება ორი რამ: მისცეს ცოდნა და არ დაარღვიოს მოსწავლის უფლებანი. გერმანული იდეალიზმი, თურმე დიქტატორ მასწავლებელს და დაკომპლექსებულ, აგრესიულ ახალგაზრდებს ქმნიდა. ასეთი ახალგაზრდის შექმნას უწოდებდა თურმე ის „სულიერ აღზრდას“. ანგლო-საქსური ლიბერალიზმი კი იცავს მოსწავლის უფლებებს მასწავლებლისგან, ბავშვისა – მშობლებისგან, რათა მიიღოს უკომპლექსო და თავისუფალი ახალგაზრდა.

როგორც ვხედავთ, ეს, პრაქტიკულად, აღზრდასა და პედაგოგიკაზე უარის თქმაა. შედეგიც შესაბამისი დგება – სულიერად მწირი, უპასუხისმგებლო ეგოისტი, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება კარგი პროფესიონალი იყოს! თუ გავითვალისწინებთ ასეთი ეგზემპლარის „სერიული გამოშვების“ გეოგრაფიულ მასშტაბებს, ადვილი წარმოსადგენია, რა სახეს მიიღებს, რანაირი უნდა იყოს ადამიანთა თანაცხოვრება დედამიწაზე, მთელ მსოფლიოში. ზუსტად ისეთი, როგორსაც ვხედავთ დღეს! ოდნავ უარესიც, რადგან ჩვენ, როგორც წესი, სინამდვილის მხოლოდ ფასადს ვუყურებთ. ფასადი კი ფუთავს ხოლმე ბევრად უარეს შიგთავსს...

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებზე მუშაობას ფილოსოფიური და მხატვრული ტექსტების თარგმნას და კომენტირებას უთავსებთ. წერთ ლექსებს და მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნით. ხომ არ გვეტყოდით, რა კავშირს ხედავთ ფილოსოფიასა და პოეზიას შორის?**

**ფილოსოფიის დღევანდელ მდგომარეობაზე უკვე ისაუბრეთ. საინტერესოა, რას იტყვით პოეზიისა და, საერთოდ, ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობის, მისი ბედ-იღბლის შესახებ?**

**ზ.ბ. –** ფილოსოფიისა და პოეზიის ურთიერთმიმართების საკითხის დასმისას კაცს უნებლიედ გაგახსენდება სოკრატესა და პლატონის შეხვედრის ისტორია. ყმაწვილი პლატონი ფილოსოფიის შესასწავლად სოკრატესთან მიუბარებიათ. პლატონი თურმე ჰომეროსით იყო გატაცებული და ლექსებს წერდა. ჩვენამდე მოაღწია მისი ერთ-ერთი სატრფიალო ლექსის ნაწყვეტმა:

„ვარსკვლავებს უჭვრეტ შენ, ჩემო ასტერო, ნეტავ ზეცად მაქცია, რათა მეც ჩემი ათი ათასი თვალით მეჭვრიტა შენთვის!“

სოკრატეს გავლენით ჭაბუკს პოეზიისადმი ინტერესი განუღებია და თავისი ქმნილებანი ცეცხლში დაუწვავს. „ვერავინ იტყვის, რაოდენ დიდია ჩვენი დანაკარგი, – შენიშნავს გერმანელი ფილოსოფოსი ვინდელბანდი, – თუ მან მართლა მისცა ცეცხლს თავისი ყრმობის დროინდელი ქმნილებანი სოკრატეს გაცნობის შემდეგ“.

ეს საინტერესო ისტორია ადასტურებს ძველთაგანვე შენიშნულ კანონზომიერებას: ცნებებით აზროვნება და სახეებით აზროვნება ეწინააღმდეგება ერთმანეთს! მეტიც, ისინი ერთმანეთის ხარჯზეც კი არსებობენ!

სახეებით აზროვნება, კერძოდ განცდები, გრძნობები და ფანტაზია ხელს გვიძლის ცნებებით აზროვნებაში. ასევე, ცნებებით აზროვნება, თუნდაც ლოგიკური აზროვნების ყოველდღიური აუცილებელი ოპერაციები და ჩვევები, მხოლოდ ასუსტებს გრძნობებსა და განცდებს, ემუქრება მათს სინატიფეს და სიციცხალეს, აუხეშებს და უკარგავს შთამბეჭდაობას, სიღრმეს. ამაში ყოველდღიური დაკვირვებაც კი დაგვარწმუნებს.

ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ საკითხავია: ფილოსოფია ცნებებით აზროვნებაა თუ უფრო მეტი? თუ ის ცნებებით აზროვნებაა, მაშინ ფილოსოფია ისევე შორსაა პოეზიისგან, როგორც, ვთქვათ, ქიმია და ბოტანიკა. კაცმა რომ თქვას, დაახლოებით ასეც ფიქრობენ სოკრატე და არისტოტელე, დეკარტი და ლოკი, სპინოზა და ლაიბნიცი, კანტი და ინგლისელი პოზიტივისტები... ყველა ფილოსოფოსი, ვინც ფილოსოფიაში მეცნიერული მეთოდების იმედადაა, პოეზიისგან შორს იჭერს თავს. მათ მტკიცედ სწამთ, რომ შემეცნება მხოლოდ ცნებებით აზროვნებაა, პოეზია კი შემეცნება არაა, განცდებისა და ფანტაზიის სფეროა.

მე კი მგონია, რომ ფილოსოფია ცნებებით აზროვნებაზე მეტია. მეცნიერული მეთოდები არაა საკმარისი საგნის შესამეცნებლად. საგანი მეტია საგნის ცნებაზე – ის მთლიანობის ნაწილია, ანუ თავისებური მთლიანობაა. ამის დასაბუთება შეუძლებელია, მაგრამ ეს არცაა საჭირო, იმდენად ცხადია. შესაბამისად, მისი შემეცნება, ანუ ფილოსოფიური შემეცნება, ცნებებზე მეტია. ცნებას თითქოს „ემატება“ მხატვრული სახე.

აქ ცნება და სახე, ისტორიულად ერთმანეთს რომ დაშორდნენ, ისევ ერთად არიან. ოღონდ „ორის შეერთება“ კი არ ხდება, – როგორც ეჩვენებათ ხოლმე, – არამედ „ერთის გამდიდრება“, მასში ჩაღრმავება. „ორის შეერთება“ აღრევა იქნებოდა და დაუშვებელია. „ერთის გამდიდრება“ კი სხვაა – საწყისთან დაბრუნებაა, რის საჭიროებაც მუდამ იგრძნობა ფილოსოფიაში. ეს შეგრძნება აშკარაა ლაო ძისთან, ჰერაკლიტესთან, პლატონთან, ჰეგელთან, შოპენჰაუერთან, ნიცშესთან, ჰაიდეგერთან...

შემეცნების, აზროვნების განვითარებამ

ისტორიულად რთული, წინააღმდეგობრივი გზა გამოიარა. განსჯა და გრძნობები მოწყდა ერთმანეთს და პირველმა მეორის ხარჯზე იწყო განვითარება, მაგრამ მუდამ იგრძნობა მათი საერთო ძირი და ფესვი. საგნის სრულად შემეცნება მხოლოდ ამ ფესვიდან შეიძლება. ფილოსოფიამ ან ის უნდა ეძებოს, ან თავის საგანზე თქვას უარი.

თანამედროვე მეცნიერული ფილოსოფია მეორე გზის არჩევას. ის მხოლოდ ცნებებით აზროვნებას ენდობა და ფილოსოფიის ნამდვილ, თავდაპირველ საგანზე უარს ამბობს. ხოლო თანამედროვე ფილოსოფიის ის ნაკადი, რომელიც ფილოსოფიის საკვანძო საკითხების ერთგულია, ცნებითი აზროვნების გარღვევას ცდილობს. ამას კი ყოველთვის, როგორც წესი, გრძნობადი შემეცნების ამა თუ იმ ვარიანტის სახე აქვს და მხატვრულ აზროვნებასთან „თანამშრომლობით“ იცნობა.

მაგრამ ჩვენს დროში განსჯა და გრძნობები, პირიქით, უკიდურესად დამორდა ერთმანეთს, რამაც ორივე დააზარალა, გააღატაკა. ორივე მოსწყდა ადამიანურ საწყისებს და უსაზრისო გახდა. მეცნიერებაც და ინსტინქტებიც, პირიქით, გამრუდდა და ადამიანს დაუპირისპირდა. ეს ამკარად დაეტყო ლიტერატურას, რაზეც თქვენ მეკითხებით.

რა არის ლიტერატურა? ეს არის მხატვრულ სახეებში მოქცეული ცხოვრება, ანუ ცხოვრების არსის გამოსახვა. საგნებს „დამალვა სჩვევიათ“. პოეტი მათ „უკანვე გამოიხმობს“, გადაწმენდს ზედ დაღეძილ მტვერს და საგნის სუფთად ხილვა ინტელექტუალურ სიამოვნებას გვანიჭებს. მაგრამ მეოცე საუკუნის დამდეგს დასავლეთში დაიწყო ხანგრძლივი პროცესი, რასაც „ლიტერატურის სიკვდილი“ შეიძლება დაერქვას.

კოხტად გამოხატა იგი ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიამ პატარა მოთხრობაში „ფოტოგრაფი“. ფოტოგრაფი ამბობს, რომ საგანი სურათზე გადასატანად, ანუ დახატვად აღარ ღირს.

რა ხდება? სინამდვილე აღარაა ლამაზი! „ადამიანის ფაქტორი“ ზედმეტად გააქტიურდა, „წითელი ხაზები გადაკვეთა“, – როგორც დღეს იციან თქმა, — და ბუნების საიდუმლო წონასწორობა მოარყია. სწორედ ესაა „სილამაზის დაკარგვა“. რომანტიკოსებმა დაკარგული სილამაზე შორს, საგანთა მიღმა დაიგულეს, ვითარცა

მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“, და სევდით აღივსნენ. ჩვენი ბარათაშვილი თითქოს მერნით გამოეკიდა მას. ზოგ რომანტიკოსს, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლურჯი ფრინველი“ თანდათან გადაავიწყდა მისი ნამეტანი სიშორისა და მიუწვდომლობის გამო, და თვითონ მერნის ჭენებით, ლურჯა ცხენების ქროლვით მოიხიბლა.

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. მერანიც დაიღალა, დაოსდა, ხოლო ლურჯი ფრინველი ავადმყოფურ ჩვენებად ჩაითვალა. თითქოს ყველაფერი სიმახინჯემ მოიცვა. პოეტებმაც სიმახინჯის ესთეტიზება გადაწყვიტეს და „ბოროტების ყვავილები“ გამოიგონეს! მაგრამ სიცრუემ საკუთარი თავი დიდხანს ვერ ზიდა. „სიმახინჯის ესთეტიკიდან“ ესთეტიკა მალევე გაქრა და შიშველი სიმახინჯე დარჩა. „ბოროტების ყვავილებიდანაც“ ყვავილი გაუჩინარდა და ბოროტება დარჩა. ასე გაჩნდა საგანი, რის დახატვაც არ ღირს! ადამიანმაც ცხოვრების დახატვას, ცხოვრებაზე დაფიქრებას ... თვითონ ცხოვრება არჩია.

თითქოს ცხოვრება დაიშალა და აბსურდად იქცა. როცა ემოციები დაცხრა, ადამიანი მიეჩვია დაშლილ რეალობას, აბსურდს და ლიტერატურამაც ეს აბსურდი აირეკლა. ლიტერატურა აღარ ეხება „ცხოვრების არსს“, რადგან ეს „არსი“ დაიკარგა და ლიტერატურამაც რაღაც მთავარი დაკარგა.

ცხოვრება ორ ვარიანტად წარმოუდგა მწერალს. ერთია ეპიზოდების გროვა, უსაზრისო და გაუგებარი. მეორეა ცალკეული, მცირე ეპიზოდი, რომელიც არაფრის ნაწილი არაა და ამის გამოა უსაზრისო. მწერალთა უმეტესობას დიდი გროვა აფრთხობს და მცირე ეპიზოდების ჩახატვა, ანუ მელოდრამა უფრო ეხერხება. ხოლო მცირე ნაწილი, ვინც მძლავრი წარმოსახვით და ნებისყოფით გამოირჩევა, გროვის აღწერას ბედავს და თითქოს ერთგვაროვანი ოქმების უშველებელ გროვას ქმნის.

ეს ე.წ. „ანტი-რომანია“. მისთვის უცხოა სიუჟეტის განვითარება. პერსონაჟები კი ათასობითაა შიგ. მათი ასეთი სიმრავლე მათსავე სიცარიელეს ეყუდება. აღარ არსებობს ფოლადი, რისგანაც მძლავრი ხასიათი გამოიქვლება ხოლმე. ამიტომ ხასიათებს ცვლის მინიატურები, რომლებიც ადვილად აბათილებენ ერთმანეთს და ჭაობის მუმლივით ირევიან. მათი ცალ-ცალკე აღქმა ადამიან-სულიერს არ ძალუძს.

ვფიქრობ, ეს არაა ლიტერატურა, ლიტერატურის სუროგატი. მკითხველსა და მას შორის კომპენდიუმი ჩადგა, რომელიც წარმატებით ცვლის მხატვრულ ნაწარმოებს და სრულად აკმაყოფილებს წვრილმან ინფორმაციაზე დახარბებულ მკითხველს. იმ განუწყვეტელ დოღში, რასაც ცხოვრება დაემსგავსა, იმდენი სისულელეა საკეთებელი, რომ საგნის გაცნობიერებისა და ჩაღრმავების აღარც დროა, აღარც რამენაირი სურვილი. პლანეტას ფაცაფუცის ნევროზი სჭირს და ყოველი ჩაფიქრება დროის დაკარგვას ედრება; დროისა, რომელიც ფულია!

**კ.ქ. – ბატონო ზურაბ, რას ეტყვიტ იმ ადამიანებს, რომლებსაც ფილოსოფია უყვართ?**

**ზ.ბ.** – სიყვარული ერთობ ბუნდოვანი ცნებაა და მისი იმედი არ უნდა გვექონდეს, როცა რაიმე დასრულებული აზრის გამოთქმას ვცდილობთ. სულერთია, რის სიყვარულზეა საუბარი – ადამიანისა, ღვთისა, სამშობლოსი, ლიტერატურისა, სიბრძნისა და ასე შემდეგ. არსებობს მყარი მოსაზრება, რომ სიყვარული შეჩვევაა. ადამიანს ის უყვარს, რასაც ამა თუ იმ მიზეზით შეეჩვევა. მერე თუ სიბრძნემ თვალი აუხილა, გადაეჩვევა, მაგრამ ამით შეიძლება გაუბედურდეს კიდევ. ზოგს ძლიერ უჭირს გადაეჩვევა, ზოგს კი არც ისე.

სიბრძნის სიყვარული დიდი იშვიათობაა, რადგან იგი ეწინააღმდეგება ყველაზე დიდ ძალას – სიცოცხლის გრიგალს! დიდი უბედურებაა იყო შეპყრობილი ამ გრიგალთან შეჯახების წყურვილით. ფილოსოფია კი სწორედ ესაა. მოქმედება, სიცოცხლე მიზეზიდან შედეგისკენ დინებაა, „წინსვლაა“. შემეცნება კი, პირიქით, შედეგიდან მიზეზებისკენ მობრუნება, ანუ უკანსვლაა, დროის მძლავრი მიმართულებების შეცვლაა.

ეს კიდევ გასაგები და „ბუნებრივია“, თუკი დროებითი მოვლენაა, ესე იგი, თუ შემეცნება სამოქმედო იარაღად გვევლინება. ასეთ შემთხვევაში „შეჩერება“ დროებითია, ანუ გამოწვეულია რთული სიტუაციით და მისი გარკვევის, შემეცნების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ისევ მოქმედების გასაგრძელებლად მოიხმარება. **მოპენჰაუერის** ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, შემეცნება ნების მსახურია. ბუნების ტალღა ოდნავ შეფერხდა, მაგრამ მალევე განაგრძო თავისი გზა.

სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე „სიბრძნის სიყვარულის“ დროს. აქ აღ-

ადამიანს შემეცნება მოქმედებისთვის კი არ სჭირდება, არამედ ისევ შემეცნებისთვის, ცოდნისთვის. სხვა სიტყვებით: მიზეზები უსასრულოა და, მაშასადამე, შემეცნებაც უსასრულოდ უნდა გაგრძელდეს. ასეც შეიძლება გამოითქვას: ადამიანს შემეცნება სიცოცხლეზე მეტად „შეუყვარდა“.

აი, რას ნიშნავს სიცოცხლის გრიგალთან დაჯახება! ნაცვლად იმისა, რომ იცხოვრო, შენ არკვევ, თუ როგორ და რატომ უნდა იცხოვრო. თითქოს არსთა გამრიგეს აუჯანყდი, ამას კი არ შეგარჩენენ! მთელი შენი ცხოვრება დაემსგავსება დასჯას „წითელი ხაზების“ გადაკვეთის გამო. ერთადერთი პასუხი, რითაც შეგიძლია თავი იმართლო, ასეთია: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“. ეს პასუხი სწორი იქნება, თუმცა ვერაფერს გიშველის — სასჯელს თავიდან ვერ აგაცილებს და ტანჯვას ვერ შეგიმსუბუქებს.

ამით პასუხი გაცემულია თქვენს კითხვაზე. პრობლემა, რაშიც გვაგდებს სიბრძნის სიყვარული, საბედისწეროა. არჩევანი თითქოს დაბადებამდე მოხდა და მას ვერაფერი შეცვლის — დავაშავეთ და მოგვეზლო! არც ისაა ცნობილი, დასრულდება ეს დასჯა ეგრეთ წოდებული სიკვდილით თუ მერეც გაგრძელდება. ესე იგი, სანამ ცოცხალი ვართ, სიკვდილის იმედიც არ უნდა გვექონდეს!

ვისაც სიბრძნის სიყვარული არ სჭირს, მას არც არაფერი სჭირდება ჩემგან და შეუძლია მშვიდად განაგრძოს ცხოვრება; ხოლო ვისაც სჭირს, მას გავუზიარებდი საკუთარ გამოცდილებას: ამოიგდეთ თავიდან სამარცხვინო ცრურწმენა, თითქოს სხვებს გაუმართლათ. ვინც დაიბადა, მას არ გაუმართლა, თორემ არც დაიბადებოდა. ხოლო რაკი არ გაგვიმართლა და დავიბადეთ, გვიყვარდეს ჩვენი ბედისწერა, ანუ მივეჩვიოთ მას! ნუ დავიკერებთ დაპირებებს, რადგან ცხოვრება არასოდეს არ გახდება უკეთესი. ნურც მუქარისა შეგვეშინდება, რადგან ცხოვრება არასოდეს არ გახდება უარესი. ის ყოველთვის ერთი და იგივეა, მხოლოდ ჩვენ ვიცვლებით ჩვენივე ცრურწმენების ზეგავლენით.

**კ.ქ. – ჩვენი საუბრის ბოლოს კიდევ ერთი კითხვა: ოპტიმისტი ხართ თუ პესიმისტი და რაში გამოიხატება ერთი ან მეორე?**

**ზ.ბ.** – ოპტიმისტი ჰქვია ადამიანს, ვისაც სწამს, რომ სიკეთე ძლიერია ბოროტებაზე. ეს

რწმენა გონებას, დასაბუთებას კი არ ემყარება, არამედ სიცოცხლის თვისებაა, მისი ძალაა. სიცოცხლე თავდაცვისა და თავდასხმის ძალაა. ამ ძალის სიჭარბე უხარია ცოცხალ არსებას და ეს სიხარულია ოპტიმიზმი – „ჰო“-ს თქმა სიცოცხლეზე!

ის გამომდინარეობს არა გონებიდან და აზროვნებიდან, არამედ სიცოცხლის ინსტინქტიდან. ის მოაზროვნე არსების თვისება კი არაა, არამედ ცოცხალი არსებისა. არაფრით არაა ის დავალებული აზროვნებისგან. პირიქით, აზროვნება და შემეცნება ფეხებში ებლანდება მას.

სწორედ აქედან, აზროვნებიდან და შემეცნებიდან შემოდის სიცოცხლეში პესიმიზმი. პესიმისტი ფიქრობს, რომ სიცოცხლე, ყოფნა არაა რაღაც თვითკმარი. მოაზროვნე არსებას მეტი სჭირდება; კერძოდ, ის, რაც გაამართლებს სიცოცხლეს!

ადვილი შესამჩნევია, რომ ადამიანის ცხოვრებაში უსიამოვნებანი სჭარბობს სიამოვნებას, ბოროტებანი – სიკეთეს. ამიტომ ცხოვრება არაა საჩუქარი, სასიამოვნო რამ! პირიქით, მძიმე ტვირთის ზიდვას ედრება. ოპტიმისტმაც იცის ეს, მაგრამ უკეთესის იმედით ინელებს ამ ტანჯვას. დიდად არც პესიმისტს აღონებს ეს ჭაპანწყვეტა. მას სხვა რამე თრგუნავს: არ ჩანს იმედი, ანუ გამოსავალი ამ ტანჯვიდან. არც ის ჩანს, რისთვისაც ეღირებოდა ეს ტანჯვა. ამიტომ ტანჯვა, რაც წილად ხვდა მოაზროვნე არსებას, ადამიანს, როდია „უბრალოდ ტანჯვა“. ის ორმაგი ტანჯვაა – ტანჯვა იმისთვის, რომ კიდევ ერთხანს გაგრძელდეს ... ტანჯვა, ანუ

„ტანჯვა ტანჯვისთვის!“. მოაზროვნე არსებისთვის ეს მძიმეცაა და დამამცირებელიც.

შეიძლება უფრო მარტივადაც ითქვას. სიცოცხლეს თან დაჰყვება სიცოცხლის სიხარული, ანუ ოპტიმიზმი. ეს სასიცოცხლო ენერჯიაა. აზროვნება ემორჩილება ამ ენერჯიას და მის შეკვეთას ასრულებს; კერძოდ, თხზავს იმედებს და ცხოვრების მიზნიდველ სურათებს. ეს, როგორც ჩანს, ბუნების კანონია.

მაგრამ ზოგ ადამიანში ეს ბუნებრივი „უფროს-უმცროსობა“ რამდენადმე ირღვევა, რაც იწვევს ცნობილ სკანდალს ბუნებაში! აზროვნება მიიტაცებს სასიცოცხლო ენერჯიის დიდ ნაწილს, რომელიც წესით მას არ ეკუთვნის. კერძოდ, აზროვნება აღარ ემორჩილება თავის ბუნებრივ ბატონს; ხელმძღვანელობს არა სიცოცხლის ინსტინქტით, არამედ ჭეშმარიტების პრინციპით, და ქმნის ცხოვრების მიუკერძოებელ სურათს, ანუ ეჩრება ბუნების საიდუმლოებებში. შედეგად აზროვნება ღრმავდება, სამაგიეროდ სიცოცხლის ტონუსი დაბლა იწვევს, სიცოცხლის ტალღა სუსტდება. ესაა, რასაც „პესიმიზმს“ ვეძახით.

შემიძლია პარადოქსულადაც ვთქვა: პირადად მე, ერთი შეხედვით, პესიმისტი ვარ. მაგრამ თუ მეორედაც შემომხედავენ, ოპტიმისტებზე მეტი ოპტიმისტი აღმოვჩნდები! მარტივად აიხსნება ეს: პესიმისტი ვარ, რადგან იმედები არ მაქვს. სამაგიეროდ სხვებზე მეტი ოპტიმისტი ვარ, რადგან, მათგან განსხვავებით, იმედების მსხვრევა და გაცრეება არ მემუქრება!



## ეკოლოგიური ადაპტაციის პერიოდი აია-კოლხურ კულტურაში

### I თავის შესავალი

ძველი კოლხ-იბერული სამყარო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და განსაკუთრებული ბუნებრივი პირობებით, ევროპისა და აზიის კონტინენტთა მიჯნაზე, ასრულებდა არა მარტო ამ განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის კონტაქტის უზრუნველყოფის ფუნქციას, არამედ ის მოქცეული იყო ამ ცივილიზაციის ჩრდილო-დასავლური რეგიონის სამიწათმოქმედო კულტურისა და მომთაბარე მესაქონლე საზოგადოებათა ურთიერთმეჯახების ეპიცენტრში. თუკი კავკასიონის მთაგრეხილი ბუნებრივი საფარის როლს ასრულებდა ამ ჩრდილო-დასავლურ და აღმოსავლურ-მომთაბარე ცივილიზაციებს შორის, წინარე კოლხ-იბერიული სამყარო (საზოგადოება), ხმელთაშუა ზღვა – შავი ზღვის დიდი რეგიონალური ცივილიზაციის, ეს პერიფერიული განშტოება, ახდენდა ცხოვრებისეული რესურსების მობილიზებას და ამ ორი განსხვავებული – მიწათმოქმედი და სტეპურ-მესაქონლე საზოგადოებათა შორის ურთიერთობათა, შეძლებისდაგვარად, მშვიდობიანი თანაარსების უზრუნველყოფის მისიას.

ჩვენ მიერ აქ შემოთავაზებული აიაიას (კოლხ-იბერული) სამყაროს ეს პირველცივილიზატორული მისია სრულად შეესაბამება არა მარტო XIX-XX საუკუნის „კლასიკური“ კვლევებით დადგენილად მიღებულ ვერსიებს ა/კ პირველყოფილი საზოგადოების ფორმირების ისტორიის საკითხებში, არამედ ის აკმაყოფილებს თანამედროვე მიდგომებსაც სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ აიაიას (პროტოიბერიული) მოდგმის ეკოლოგიური ადაპტაციის ბუნებას.

ახლო აღმოსავლეთის, კონკრეტულად, მესოპოტამიის ისტორიული და წინაისტორიული ეპოქათა კვლევა გვაძლევს იმის საშუალებას,

რომ ძველი სამყარო (კაცობრიობა) განვიხილოთ არა როგორც ცალკეულ თვითკმარ პოლიტიკურ და კულტურულ ერთეულთა ნაკრები, არამედ ცხოვრების ყველა ძირითადი მიმართულებით, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, აქტიურ კონტაქტში მყოფი გაერთიანება. ამ „თეორიულ“ განაზრებებზე დაყრდნობით მკვლევარი ნ.ვ.კოზირევა ცდილობს ძვ.წ. VI-III ათასწლეულის მიგრაციებისა და პირველცივილიზაციათა ფორმირების ჰიპოტეტური მოდელის რეკონსტრუირებას.

ზემოთ მოყვანილ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, პერმანენტული მიგრაციების ფონზე, უნდა ვივარაუდოთ პალეოკოლხ-იბერული სამყაროს კულტურის ფორმირება. შესაბამისად, მათი (მოდგმის) ეთნიკური სახის ჩამოყალიბება და ბინადარი ცხოვრების წესზე გადასვლა. ცხოვრების მონოგამურ ოჯახურ ყაიდაზე მოწყობა კიდევ განპირობებული უნდა ყოფილიყო სამიწათმოქმედო საქმიანობის მყარად დაუფლებით.

ეს პროცესი: საგვარეულო თემური წყობის ფორმირება საოჯახო (სამეზობლო) მეურნეობის გამართვა, რელიგიურ წარმოდგენათა მყარად დაუფლება და ა. შ. დიდ ნახტომი იყო ეთნოგენეზის პროცესში (გზაზე). მაშასადამე, აია-კოლხური (აიაიას) სამყაროს მთელ სივრცეში ერთგვაროვანი სამიწათმოქმედო კულტურის დამკვიდრება ზედა პალეოლითის ხანაში, რა დროიდანაც ჩვენში ფიქსირდება შესაბამისი ქვისა და ძვლის სამუშაო იარაღები: წერაქვი, თოხი, ცული და ა.შ. ბიძგს აძლევდა გენეტიკურად მონათესავე მოდგმის ეთნიკური სახის ჩამოქნას.

ეთნოგენეზისთან დაკავშირებით ზემოთ დასახელებული ავტორი მიუთითებს, რომ მეცნიერებაში ეთნოსის, როგორც ასეთის, საერ-

თოდ მიღებული ერთგვაროვანი განსაზღვრება არ გვაქვსო. ჩვენ არ შევუდგებით ამ პრობლემაში ჩაღრმავებას, ჩვენი საკითხისთვის საინტერესოა იქვე მითითებული ზოგადი შეხედულება, რომ ეთნიკურობა ისეთი ერთობაა, რომლის წევრებიც, როგორც მითური, ასევე რეალური თვალსაზრისით, თავს თვლიან საერთო წარმომავლობისად. **ჩვენი შეხედულებით, წინაისტორიული აიაიას მოდგმის ისტორიული აია-კოლხურ ეთნოსად კონსოლიდირების პროცესი სწორედ რომ ამ მითოსურ და მითორეალურ წარმოდგენებზე იგება.**

მოცემულ კონტექსტში კოლხ-იბერული ეთნოსის ფორმირების პროცესში რეალობაა ბიოლოგიური წარმომავლობა, ტერიტორიული სიახლოვე, დროით და სივრცობრივ კავშირურთერთობათა სიმყარე, ენა, კულტურის ფორმირების გზა და ა.შ. მითური რეალობა კიდეც: კეთილი და ბოროტი ძალების გააზრება, სულთა იერარქიის – „კატალოგის“ ფორმირება; ბუნების ძალების და კოსმიურ სხეულთა გაღმერთება, როგორც ეს წარმოდგენილია უძველეს კოლხურ ლექსში: „ბუა – დია ჩქიმი, თუთა – მუაჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დოჯიმა ჩქიმი...“ თამამად შეიძლება ითქვას, ეს ლექსი ჰიმნია აიაიას მოდგმის სარწმუნოებრივ იდეალზე. მაგრამ მითორეალურობის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია, ბერძნულ-ლათინურ წყაროებში აია-კოლხური სამყაროს, მისი ეთნოკულტურისთვის განსაკუთრებული ადგილის მიჩენა და საკაცობრიო ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენა.

წინაკოლხური საზოგადოების ადგილობრივ გარემოპირობებთან ადაპტირებისა და თვითთავადი გენოკულტურის ფორმირების კონკრეტულ საკითხში გარკვევისათვის ძალზე საყურადღებოა კოზირევას სტატიაში ხაზგასმით აღნიშნული, ეთნოსის განსაზღვრებისთვის აუცილებელი კიდეც ერთი ნიშანი – ქცევა.

ავტორის თქმით, მკვლევართა აზრით, ეთნიკური ჯგუფის განმსაზღვრელი არცთუ მრავალ ნიშანთაგან ერთ-ერთია ქცევა, კონკრეტულად ყველა ეთნოსისთვის აუცილებელი და მისაღები საერთო მახამიათებელი. ამასთან, ტერმინი „ქცევა“ გაგებულ უნდა იქნეს ძალზე ფართო კონტექსტით. მასში გაიზრება საერთო მენტალიტეტი, საერთო კულტურული მიზან-

დასახულება, რელიგიური წარმოდგენების სისტემა, ის კი არა და მოცემული ჯგუფის ეკოლოგიური ადაპტაციის ხარისხიც (ВДИ №23, 2011წ. Н.В.Козырева, «Взаимодействия этнических групп в ранней истории Месопотамии»).

აია-კოლხური კულტურის თავურსაწყისზე მსჯელობის პროცესში აშკარად იკვეთება ყველა ის მახასიათებელი, რომლებსაც მკვლევარი ჩამოთვლის მესოპოტამიის ადრეული ეთნიკური ისტორიის რეკონსტრუირების მცდელობისას. მაგრამ ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის მახასიათებელი, რომელსაც ავტორი თითქოსდა მეორეხარისხოვნად მიიჩნევს და ბოლოში აქცევს და იტყვის, „ეკოლოგიური ადაპტაციის ხარისხიცო“. ჩვენი შეხედულებით, აია-კოლხური კულტურის (ცივილიზაციის) ფორმირების თავურსაწყისად სწორედ რომ ეს ეკოლოგიური ადაპტაცია ჩანს, რომლის ნაკვალევაც ასე მრავალადაა აღმოჩენილი თუნდაც ცალკე ადებულ დასავლეთ საქართველოს მთელ სივრცეში. ოთარ ლორთქიფანიძე მიუთითებს: დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ადრეული ეპოქის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძეგლი (უძველესად იაშთხვის სადგომი ითვლება), მომდევნო, მუსტიეს ეპოქაში მიმდინარეობს ადამიანთა ფართო განსახლება მთელ კოლხურ სივრცეში, გვიანდელ ეტაპზე იწყება გვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ზედა პალეოლითის ხანაში ვითარდება. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ამ ეპოქის ყველა საფეხურის ძეგლები (ოთ.ლორთქიფანიძე, ძვ.კოლხეთის კულტურა, გვ.6). მაშასადამე, ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული უწყვეტად გვაქვს ადამიანთა ცხოვრების ნაკვალევი ამ რეგიონში, ე.ი. **ბუნებასთან ადაპტირება ადგილობრივად ხდება. ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ პერმანენტული პროცესების დაგვირგვინებაა ასევე ადგილობრივად მიმდინარე „ნეოლითური რევოლუცია“, როდესაც საფუძველი ეყრება მიწათმოქმედების და მესაქონლეობის მაღალ კულტურას, ჩნდება მთელი რიგი სხვა კულტურული სიახლეებიც (კერამიკული და ბრინჯაოს ნაწარმი და ა.შ.). ამ სივრცეში, როგორც ზღვისპირეთში, ასევე კოლხეთის დაბლობის მთისწინა ზოლში, ნეოლით-**

ური კულტურის გვიანდელი ეტაპი აღინიშნება მიწათმოქმედების განვითარებით, საერთოდ, ბინადარი მეურნეობისა და მონოგამური ცხოვრების წესის დანერგვით, რასაც მოწმობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღების ხშირი აღმოჩენა (შეადარე, იქვე). მაშასადამე, სამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვისა და განვითარების ნაკვალევი ჩანს მთელ იმ სივრცეში, სადაც ჩვენ მოვიაზრებთ აიაიასა და აია-კოლხური მოდგმის საცხოვრისს. ამდენად, ეს ე.წ. **ეკოლოგიური ადაპტაციის პერიოდი მთლიანად, ადგილობრივ გაუვლია აიაიას მოდგმას და „ნეოლითური რევოლუციის“ ეტაპზე სრულად დაუფლებია მის ყველა პროგრესულ კულტურულ მონაპოვარს, რაც მთავარია, სამიწათმოქმედო საქმიანობის მაღალ კულტურას.** ის აგებულია სამეზობლო საგვარეულო-საოჯახო ბინადარი ცხოვრების წესზე. რა თქმა უნდა, შესაბამისად ფორმირდებოდა ამ პროგრესის შესაბამისი ქცევის წესიც. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ესაა საერთო მენტალიტეტი, საერთო კულტურული მიზანდასახულობები, რელიგიური წარმოდგენების სისტემა. აია-კოლხურ სინამდვილეში „ქცევის“ ამ ზოგადი სისტემის ჩამოყალიბებისთვის (ემპირიული საფუძველი) ბიძგის მომცემად ბინადარი ცხოვრების წესი და სამიწათმოქმედო კულტურის მყარად დანერგვა ჩანს.

აიაიას-მოდგმის ცხოვრების წესის ფორმირების საფუძველად მიწათმოქმედების გამოცხადების უფლებას გვაძლევს მეცნიერულად დადასტურებული წარმოდგენა, რომ ადრეული ხანისთვის (древностный), ეთნიკური ჯგუფი ბევრ რამეში ნამდვილად იმეორებს (ემთხვევა) კულტურულ-სამეურნეო ჯგუფთა გაგებას (Катр, Voffee, დასახ. სტატია), ე.ი. **უნდა ვივარაუდოთ, რომ სამიწათმოქმედო საქმიანობის დანერგვას საფუძველი ეყრება აიაიას მოდგმის მაფორმირებელ ხალხთა ადრეულ კულტურულ-სამეურნეო ჯგუფებში, რისი დამადასტურებელი არქეოლოგიურ-ნივთიერი მასალაც ფართოდაა წარმოდგენილი კოლხიდის მთელ სივრცეში.**

\*\*\*

აია-კოლხური წინარე საზოგადოების ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან

ადაპტირებაზე და სამიწათმოქმედო კულტურის ფორმირებაზე ჩვენი ამ ზოგადი მსჯელობიდან გამოირკვა, რომ კოლხ-იბერული მოდგმის გვარ-ტომებმა, ხელსაყრელ გარემო პირობებისა და საკუთარი „ბუნებრივი ნიჭით“ (გენეტიკური) საფუძველი ჩაუყარეს სამიწათმოქმედო საქმიანობას, ბინადარი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მის პერნამენტულ განვითარებას რითაც თავისი წილი დაიდეს ზოგადად სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში.

ამდენად, მიწათმოქმედების მდგრადი კულტურის ფორმირებას და მის პროგრესს უზრუნველყოფდა შესაბამისი გეოგრაფიული გარემო პირობები, რომელშიც ის ყალიბდებოდა, კონკრეტულად – კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, სადაც პატარა ტერიტორიაზე ამკარად გამოიყოფა მრავალი კლიმატური ზონა, რაც განპირობებულია რელიეფის სირთულით, კოლხეთის ნესტიანი და ჭაობიანი დაბლობით (სუბტროპიკული ზონით) დაწყებული და დამთავრებული მუდმივი თოვლიან-ყინულიანი კავკასიონის ქედებით. ამასთან ამ **ტერიტორიულ სიმჭიდროვესა** და კლიმატურ მრავალფეროვნებაში თვალსაჩინოდ გამოიკვეთა **შიდაწყლების** სიმდიდრე და მდინარეთა სიუხვე (საქართველოში სულ აღნუსხულია 26 ათასი მდინარე. მათი დიდი ნაწილი მოდის დას. საქართველოზე) (შეად. ტ.გვალია, გეოგრაფიული ფაქტორი და ქართული კულტურა, 2018წ.).

მაშასადამე, ისტორიული აიაიას, აია-კოლხური სამყაროს ეს გეოგრაფიული სივრცე, სადაც ფორმირდებოდა კოლხ-იბერული ცივილიზაცია, თავისი ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო პირობებით, პრიმიტიული მიწათმოქმედების ჩასახვისა და განვითარებისთვის საჭირო ყველა აუცილებელ პირობას შეიცავდა, ე.ი. საფუძველი ეყრებოდა ჩვენს ეკონომიკურ ყოფას, შესაბამისად, ცხოვრების იმ წესს, რომელიც ათასწლეულების შემდეგაც სამაგალითოდ მიუჩნევიათ ცივილიზებულ ელინებსა და „მსოფლიო იმპერიის“ ფუძემდებელ ლათინებს (რომაელებს), რაც კიდევაც აუსახავთ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში თუ ისტორიულ წყაროებში. ასეთი თვალმიუწვდომელი, შორეული წარსულიდან მომდინარე ყოფა-ცხოვრებისეულ კულტურაზე, და ზნემაღალ ქცევის

ნორმაზეა სიამაყით რომ ლაპარაკობს სენეკას მედია: მეც ვიგრძენი ჩემი **ნება** საკმარისია, ეს ვისწავლე, ეს გავიგე მამისეულ სახლში... მამა-ჩემი კეთილშობილი მეფე იყო... **მზისგან მოდის ჩემი მოდგმა**, სადაც კი ფასისი მიედინება მშვიდი დაკლანკილი ნაკადით, სკვითის მთელი პონტოსი... თერმოდონის გარდა, მთელი ეს მიწა მოქცეულია მამაჩემის სამეფოში, სადაც მე ვცხოვრობდი კეთილშობილი და დაფასებული, მეფის ასულის ძალაუფლებით აღჭურვილი“ (ხაზი, მ.ზ.) (სენეკა, „მედია“, გვ.256/257) თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა). რაც შეეხება ქვევის წესებს, ეთიკურ ნორმებს კოლხებისას, სენეკა, მედეას სიტყვებით ასე აგვიწერს: „დაეხმარო გაჭირვებულს, მისცე მავედრებელს თავშესაფარი, მხოლოდ ეს წამოვიღე კოლხეთის სამეფოდან“ (იქვე). ასეთ მაღალი ზნეობის მატარებლადაა გააზრებული კოლხური ეთნოსი ელინურ და რომაულ წყაროებში.

მაშასადამე, მაშინდელი ცივილიზირებული სამყაროს მიერ უეჭველად ყოფილა მიჩნეული, რომ **აია-კოლხური მოდგმა წარმოადგენდა სამიწათმოქმედო ბინადარი ყოფისა და მშვიდობიანი, არა ექსტრემისტული, ცხოვრების წესის დამკვიდრების მიმდევარი მოდგმა**.

ამდენად, თავისი გარემო პირობებით, განსაკუთრებით შიდაწყლების სიმდიდრის გათვალისწინებით, კოლხური სამიწათმოქმედო კულტურა და მისგან მომდინარე ცხოვრების წესი შეიძლება მივუსადაგოთ სამდინარო ცივილიზაციებს, ნილოსისას – ეგვიპტე, და ტიგროს-ევფრატისას – მესოპოტამია (როგორც არასარწყავი ფორმა). ასეთი მიდგომა კოლხური სამიწათმოქმედო კულტურისადმი ოდენ ჩვენი სუბიექტური წარმოდგენის ნაყოფი კი არაა, არამედ სწორედ ასეთი შეხედულება უნდა ასაზრდოებდეს ჰეროდოტეს „თეორიას“ კოლხებისა და ეგვიპტელების მსგავსებაზე და იმ მითოგემებს, რომელთა მიხედვით, კოლხთა მეფე მზიური წარმომავლობისაა, მისი ძმა აქციუსი – ეგვიპტელთა საღვთო ქალაქის ჰელიოპოლის დამაარსებელი, ზოგადად მზის კულტის ფორმირებაზე, აია-კოლხურ და ეგვიპტურ წარმოდგენებში და ა.შ., რაც შეეხება ისტორიის მამას, როგორც ლადო ალფენიძე აღნიშნავს, „...ჰეროდოტე დიდად არ ცდებოდა. მისი ცნობები არავისი ხელწამოსაკრავი ისტორიული

დოკუმენტები არ არის“ („სფინქსის ღიმილი“, გვ.22), ე.ი. ჰეროდოტეს ცნობა იმაზე, რომ ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან, მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება ერთნაირი აქვთ და ა.შ. (ჰეროდოტე, ტ.1, §105, გვ.156), სწორედ რომ ამ სამდინარო-სამიწათმოქმედო კულტურათა მსგავსებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ამდენად, აია-კოლხური სამყაროს იმ ვრცელ სივრცეში, რომელზედაც ლაპარაკობს მედია (ე.ი. ელინებს აია-კოლხეთა მიწაწყლად მიაჩნდათ), ხდებოდა აიასის მოდგმის პირველყოფილი საზოგადოების ადაპტირება გარემო სამყაროსთან. ათასწლეულების მანძილზე პერმანენტულად გრძელდებოდა ადამიანთა კულტურულ-სამეურნეო ჯგუფების ევოლუციონირება ერთმანეთთან სისხლ-ხორციით დაკავშირებულ ბინადარ საზოგადოებად, რომელიც ადმინისტრაციული თვალსაზრისით მოწყობილი იყო სამეზობლო თემების სახით. ბუნებასთან ადაპტირების ამ ხანგრძლივ პროცესს თან სდევდა ადამიანთა ცნობიერების პირდაპირპროპორციული ზრდა. ე.ი. ხდებოდა გონებისმიერი შემეცნების ევოლუცია და გონითსაწვდომი სამყაროს გააზრება.

ეს მოდგმა ცისა და მიწის მოვლენებისადმი უწყვეტმა დაკვირვებამ მიიყვანა მის თაყვანისცემამდე. შემდეგ ეტაპზე ამ ერთიანი ცისა და მიწის რწმენისგან ცალკე გამოყვეს მაცოცხლებელი ენერჯის მატარებელი მანათობელი ობიექტი – მზე და საკუთარი არსებობა მას დაუკავშირა და, როგორც ზემოთ ვნახეთ, ის დედად გამოაცხადა. რამდენადაც ნანა (დედა) მას (ადამიანს) საკუთარ რძით („ბჟა“) კვებავდა და ზრდიდა, ამიტომ ამ ციურ დედასაც „ბჟა“ უწოდა, შემდეგ კი ის ღვთაებად გაიხადა და „ნანაია“-ს – დედა ღმერთის მიმსგავსებით „ბჟალაია“ – ბჟა(მზე) ღმერთი, უწოდა. აქედან ერთი ნაბიჯი იყო თავის (მოდგმის) მზის შთამომავლად გამოცხადებამდე. ასე ხდებოდა აიასის მოდგმის სულიერი ადაპტირება მის გარემომცველ სამყაროსთან და იმ გეოგრაფიულ გარემოსთან, სადაც მას აფიქსირებენ როგორც ადმოსავლური წყაროები, ასევე მოსული ელინები. მაშასადამე, ცხოვრების საერთო რიტმი იწვევდა აზროვნების ევოლუციას საზოგადოების საერთო მიზნის დასახვას და

მის განხორციელებას. ამ გზაზე აიაიას მოდგმა გოლიათური ნაბიჯებით მიიწევდა წინ და დამთავრდა თვითთავადი „ძველი კოლხური კულტურის“ ფორმირებით.

ამდენად, გარე სამყაროსთან ადაპტირების კვალობაზე ეს მოდგმა გადის ხანგრძლივ პერიოდს იარაღის მკეთებელი გონიერი ადამიანიდან „ძველი კოლხური კულტურის“ შემოქმედ საზოგადოებამდე. ეს პროცესი ათასწლეულობით გრძელდებოდა. როგორც გ.მელიქიშვილი თავის საქართველოს ისტორიაში (საკითხავი წიგნი) აღწერს: ნეოლითურმა ადამიანმა ისწავლა ქვის დამუშავება, აკეთებდა ქვის იარაღებს, მშვილდ-ისარი მთავარ საბრძოლო სამონადირო იარაღად იქცა, გაჩნდნენ იარაღის მკეთებელი ადამიანები; საფუძველი ეყრებოდა ხის დამუშავებას და მისგან აკეთებენ ჭურჭელს; ისწავლეს კალათის წვნა, ქსოვა, თიხის ჭურჭლის კეთება, ნადირობის წყალობით ცხოველთა მოშინაურება; თანდათან შეითვისეს მიწათმოქმედება, თესვადნენ ქერს, ფეტვს, ხორბალს. ადამიანი უფრო ადვილად იკვებავდა თავს, მრავლდებოდა მოსახლეობა, ბინადარ ცხოვრებას მიყო ხელი; ხალხი ახლა სოფლებში თემებად ცხოვრობდნენ... ჩვენ სპეციალურად გამოვიყენეთ ეს „საკითხავი წიგნი“, რათა მკითხველისთვის იოლი აღსაქმელი იყოს ქართველური (კოლხ-იბერული) მოდგმის ბუნებასთან ბრძოლის და მასთან ეკოლოგიური ადაპტაციის ისტორია.

ამდენად, აიაიას (აია-კოლხური) საზოგა-

დოების ცხოვრების ფორმირება და ეკოლოგია უნდა გავიაზროთ მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობის თავისებურებათა გათვალისწინებით; ამ გარემო პირობებთან მისი ადაპტაციით, ე.ი. ფილოსოფიური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გეოგრაფიული დეტერმინიზმით.

მაშასადამე, ქართველური მოდგმის თავურსაწყისი მყარადაა ფესვებგადგმული იმ გარემოსთან, რომელშიც მას აფიქსირებენ უძველესი აღმოსავლური თუ დასავლური წყაროები. ამიტომ არის აუცილებელი იმ მოდგმის გარემოსამყაროსთან ეკოლოგიურ ადაპტაციაში სიღრმისეულად გარკვევა, ვინაიდან, როგორც ფრანგი ფილოსოფოსი ვიქტორ კუზანოვი ამბობს: „ღიახ, ბატონებო, მომეცით ქვეყნის რუკა, მისი კონფიგურაცია, მისი წყლები და მთელი ფიზიკური გეოგრაფია; აღმიწერეთ მისი ფლორა, მისი ბუნებრივი პროდუქტები და მე გეტყვი *a priori*, თუ როგორი იქნება ამ ქვეყნის ადამიანი და რა როლს ითამაშებს ეს ქვეყანა ისტორიაში არა შემთხვევით, არამედ აუცილებლობის გამო, რომელიმე საგანგებო დროს კი არა, – მუდამ“. მაგრამ ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რაციონალური (მატერიალისტურის) ძიებაში, მთლიანად არ მოწყდეთ სამყაროს შემოქმედ სულიერ ძალას და იღუმალ სიბრძნეს, არ დავივიწყოთ მეტაფიზიკა, ჩვენი არსებობის განუყოფელი ატრიბუტი.



**თორნიკე ქავშბაია****გონებიდან განუშორებალი მარიუს მიღმაცხოვრობა**

1

შენ, კვიპაროზის ხის კენჭროშრიალთან  
 განსაზავებლად,  
 ჭივჭავის მისუსტებულმა  
 წრიპინმა  
 წაგართვა  
 სული, მარიე.  
 უცებ პროგრამული  
 დადუმებით განძვირფასდნენ  
 არფები,  
 აკორდეონები,  
 ჩელოები,  
 საქსაფონები  
 და უზომოდ გაგვშორდნენ  
 გალაინისფერებული  
 შორეთები.  
 სამყაროს ორთომელთან  
 მინასხივებ  
 ელვისპირად  
 გააზრებანი  
 გადარჩნენ,  
 თუმცა მალე აზროვნული  
 სიჯანსაღის უკანდახეულ ზღვას ქვიშნარზე დარჩა  
 მარჯვენა-მარცხენა გვერდებზე გადახრილი  
 კანჯობი...  
 შენ  
 შენგან  
 გამოძერწილი  
 გუნება-ქაოსტბორის სახეფორმა  
 წარგიძღვა.  
 შენ ბურანმოუბრუნებლობის უხილავ სინამდვილეში ბურუსშეურველ  
 ნათელუკიდურესობით გაიღვიძე.  
 ცოცხლად დარჩენილ თეოლოგ სწავლულებს ერთი თავით მაინც ადემატა  
 ის, ვინც არის ამგვარი გაღვიძებით სამყაროგაბეკრებული.  
 შენ ფართო გზა მოგეცა.  
 შენ ჰადესურ  
 განმარტობაში წახვედი.  
 შენ ჩაგესმის კვიპაროსის ხის მოშრიალე სულხილავთა  
 დაძახილი.  
 მე ჩემი ხედვაგახსნილობის წინ დამეკარგა  
 შენი სახელით აფარფატებული  
 არყნარის რეალპეპელა,  
 როგორც მოვლენა დამაფიქრებელი.  
 თავისით, ქარმობერვის გარეშე აცვივდა თივეული,  
 მაგრამ უხილავ-უსხეულოს შეგრძნებით გაუკვდავებული  
 ჩვენი მსოფლაქმა  
 ამით ვერ იქნება გაოგნებული.  
 შენ გაღმა გახვედი.  
 ჩვენს უპერსპექტივო გარემოს შერჩა

გეშუცვლელი  
ბუკიოტი!  
ფსიქო: უუუ!  
და ვიღაც ტრაბუ!  
ისინი ჩვენ მოგვცემენ  
სიცოცხლის, შენი მოსაგონარი  
დღის აღნიშვნის უფლებას, მარიე?!  
არაო, – ამბობს წონასწორობადარღვეული,  
გორპაკის განდგეილობას მიბჯენილი  
ბაღის გახელისუფლებული  
ხე...

2.  
მარიე,  
გამშორდა მე  
სიძულვილი  
მარტოობის ნავხვავსი.  
ჩემთან თანამყოფობით შენ  
და ბურანი.  
აგერ, სულთა  
საცავის გამჭვირვალობაში  
შენ გსტუმრობს ყოვლად  
საჩინო ანგელოზი.  
დიდი უმაღულობის მარადიულობა დგას აქ.  
„აქ, ზეცხადგაშლით გამოსახული  
ალ-აბრიალების ლომები  
თქვენი ბრალგარდახდომს შედეგებს მაუწყებლობენ!“ –  
უთხრა ღამეკაცს და ღამექალს ნათელმინწურულმა.  
მგზავრობა-მიმოსვლის შეუზღუდავობაა აქ.  
აქ შეუზღუდავობის სახეა  
უკიდურესად განმიწიერებული -  
შეიძლება, ენით აუწერელი  
ნავარდი. შეიძლება, უძრავი  
ცისკიდების ჰაერძირით სიარული.  
წითელი კენჭებით მოფენილ ბალსარეველეთში გხვდება შენ  
ქალბატონი.  
ოდესღაც  
შენ ის მიიღე,  
როგორც  
გაციცინათებული  
ვარსკვლავი.  
როგორც სოკოსთავიანი  
ბედისწერის ელვარე ალტერნატივა.  
შენ მას მომცრო ზომის თვალტრაპეციულ ნისლეულის შეურეველად  
აკამკამებულ წვეთივით ერვენე  
(უკმეხებს, კაცთა  
გონუწვდომობის საბაბით, თითქმის ყოველი  
ექსპრესმოვლენი  
გამოჰყავთ დამნაშავედ...)  
ის საძაგელ ზეავლენის ქვეშ მოექცა.  
ის ეჭვდინოზავრობის ღმობამ  
სულიერად გამოადრუა.

მის ტრამალმზერასთან  
 დაპაუზდა  
 ტანმძიმედ მდინარი  
 განსაცდელ-გაურკვევლობა  
 და აქვე წაერთვა  
 სამყარო-ანტითვალდავსების მზე.  
 შენ მან არ გიშვილა.  
 შენ დიდხანს გემწუხრდნენ  
 ნასამოთხარი შროშნები.  
 მას ავად ენიშნა  
 შენი ბალღური სახელებილობა.  
 შენ ის ღიმილგამელნებულ ავარდნით გამოგეთხოვა.  
 ის არაყურადსაღები  
 წინათგრძნობა-ნიშნებით მოტყუვდა  
 (ყოყმანის გარეშე, სამყაროს გარეუზვირთცემისკენ  
 ხელგაშლილი  
 იმედიანი  
 ხდება  
 ცუდბედნიანი...)  
 ის თავფათერაკის გეჰენიურ იალქნად იქცა.  
 ის ამჯერად უროდარტყმულ ატმოსფეროს შენელებული  
 ღრუბლის ალუბლად გამოქანდაკდა  
 მან იქაც,  
 თავისი მზედასული  
 ჩვევა-მიდრეკილების დემონსტრირება მოახდინა.  
 მარჯვნივ-მარცხნივ,  
 ზღვის ზებილიკად აღმართული  
 ხელები კი  
 სულიერი უკიდეგანობის გაჯანსაღების მიზნით ასტრალთა  
 გატრირებების მზადყოფნას ამჟღავნებენ...  
 ...  
 მარიე,  
 სულიერი მგზავრობის სრულად ამოქმედებულმა  
 კანონზომიერებამ  
 შენ ისევ შეგახვედრა,  
 გაუმქრალობის წყალობა-სასჯელში მოქცეული  
 ქალბატონი.  
 მიუხედავად უკიდეგანო თავისთავადობისა, შენ  
 იქ შეუმჩნეველი  
 ზღვარსაკეტი  
 დაგედო. მე  
 აქ „დიდი წვდომის“ ნდომობისთვის,  
 საღვთო რჯულის კანონდარღვევისთვის  
 გავხდი შეშლილი,  
 მაგრამ არა ისეთი შეშლილი,  
 რომ მრავალთა საწუთისოფლო წუხილი  
 უსაშველო სიცილად ყოფილიყო გადაწყობილი...

3.  
 ვინც მყავდა მე  
 სასურველად და სანუგეშოდ  
 მოძვირფასე, –

ის იყო მარიე!  
ის იყო ჩვენ ორი სულიერი ძმა, ტიბუ!..  
ზენიშნებს ირგებენ,  
მხოლოდ მონანონი  
ცოდვანულებულები,  
ამიტომ ისინი  
ტბაკამკამის მშვენიერ ლაკლაკით\* თვალგაჰიცინებულ  
ჰორიზონტსიავს არ შერთვიან.  
ისინი როგორც მწუხარის არაქათგამოლეული  
საათები,  
მარადიულად ტანურხევი  
დაკანონების ჩვეულებრივ  
ხმობას გასიკვდილებით დანებდნენ.  
მათ ჩემი საქვეყნო თავგამოუჩენელობის ფაქტორები  
ძალიან დიდხანს ტანჯავდნენ  
(ჩვენთან წითლების შემდგომაც,  
ჰელიკონიდური სახელგანთქმა  
იმავე დაფს ართავს, რასაც ართავდა...)  
მარიემ  
აზროვნული  
მრავალნაირობის ნავჭურჭელით ჰადესის შუაწელი  
გაიარა და ფუტკარასხმულ მალაჩინის ხეთა განტოტვის ტენიან  
საგრილობელქვეშ  
დაბინავდა.  
მას რატომღაც იქ  
თავმონატრების მუდმივობა დაეპატრონა.  
თან მისი შიშველ-ტიტველი ქვეცნობიერის ხსოვნები,  
მოუსვენარი ზღვების გამაყრუებელი ხმაურით განმეორდნენ.  
ტიბუმ  
უსაზღვრობუნებიან  
სხივსაცავის არეგაშლილობამდე  
მიმტკნარებულად  
მავალ მდინარეში  
შედგმული  
ცალი  
ფეხი  
შიგ ჩატოვა,  
რომლის სიანლოვეს კარმოთეთრო სამზერსადგომი  
აღმართულა,  
სადაც თიხისგან თავისუფალი სულები  
ნათურასავით ქრებიან  
და ისევ ინთებიან.  
იცის მარიემ!  
ტიბუმ იცის! მეც  
ვიცი, რომ ჩვენ ღმერთწუთისოფლის თვალდამრეტილობას მოვემსახურეთ.  
ჩვენ ღმერთმიუკარები  
შეგნება – დროის ფუჭად ხარჯვის ავადობა გვჭირდა!

\*ლაკლაკი – ყარყატი

**უღრობამდე ანიკნიკებული საათი**

1.

აქ, ამ მიწაზე ცოდვითი და უცოდველი  
 ერთმანეთისგან პრივილეგირებული  
 ცალმხრივობით ვინ განაცალკევა?!  
 ცის ერთიანი სიყვარულის ქვეშ მყოფობს სული ყოველი.  
 უსიყვარულოც კი თავის ხმა-განწყობის ექოში დარჩა  
 და თავის ფერსახიან ბუნებაში გადარჩა.  
 ზემთამ ის თავის მოსაწონ ღირსებაში დატოვა.

2.

აქ, ამ მიწაზე, თავისი  
 არმოწყენის არსით უღრობამდე წიკწიკებს საათი.  
 მხოლოდ უღრობამდე წიკწიკებს საათი,  
 მენ კი ხელაღებით, რატომ გაიმინწივე თავი?  
 მენ თვითონ გაიუფლებამოსილე  
 უზომო თავშერცხვენა.  
 ძეხორციელი ხელშეუწყობლად  
 საამკარაოდ ვერ იპორიზონტებს,  
 ხშირად, უკიდურეს რადიკალურ ქმედებებს განშორებული  
 ავუხილავი  
 მენ სასოწარკვეთილ ბრმობილივით ვერ დაინახე,  
 თეთრღრუბელჭარბი  
 ჰაერბუნების ხეივანი,  
 ამიტომ მენტვის გაღმიდან, არ გამოეშურა  
 წმინდა გონცნობადობის ნავქანავი...

3.

ღმერთდაუნახავებს ყოველთვის არ მიესხივებიან  
 ცეცხლბალახებიანი ვარსკვლავები.  
 ყოველთვის არ ანათებს გარეთ მზე  
 და მრავალთა ნოსტანგია-მონატრება:  
 სსრკ –  
 ნახირის ბოსელი,  
 რა კანონზომიერებას შეეძლო  
 გაეხადა  
 შეურყეველი  
 და მარადიული?..  
 ჩვენს ცხადსიმძიმეს ერთხელ ევრო-ამერიკა დაესიზმრა,  
 როგორც რესტორანში მოსაწვევი ქალი.  
 ვერ იქნება ჩვენთვის მოსაწონი.  
 მართალი რომ გითხრა,  
 მცირე სახელმწიფო-ბოსელში, ვიწრო ყოფის საძაგლობით,  
 უფრო მეტად უთავისუფლობ. უფრო მეტად ხარ დამცირებული...  
 სიწმინდე – სრულყოფილების მოინსტინქტე  
 მიკროფოთლოვანი წერტილი  
 გარესხივურს ვერ მიეახლა.  
 ის კაცობრივი სამყოფიდან განსწრაფებული,  
 ბურუსოვან ეხის წიაღში კრინტუძრავ  
 შეფრენით გასაიდუმლოვდა.  
 ნახირის მუცელმასაზრდოებელ ბალახბულახთან

შესაძლო შეკავშირებას  
ის ასე და ამგვარად განერიდა.  
ნახირის საპირეში განახლებულმა გონძალამ  
უკიდევანოდ იძალა  
და ადამიანური ღირსების მოსალოდნელი  
ხელმწიფება,  
მან უსაქციელობის მოზღვავეებით გააწარმავალა.  
მას დიდი ხნის უწრეტი ნაკადები ამხნევენ,  
რომ მისთვის არ იქნება ზიანის მომტანი,  
თუნდაც სულით გამარჯვებულბთან  
გარდაუვალი ჯახი.  
მე მკვლელიზმიანი ქარის ანტიქარს შევახსენე:  
„იგნორირებული კონსტიტუცია...  
კონსტიტუციის პატივისცემა!..  
ჩვენ ყველას გვაქვს უფლება, დამოუკიდებლად ვიმოღვაწეოთ  
(ვხატოთ და ვწეროთ),  
მაგრამ ბოსელი არ შეიძლება დარჩეს ბოსლად  
და მოძალადეთა და ბოროტმოხერხებულთა ხომალდჩამძირავი  
თავგანწირვა  
აღვიქვათ, როგორც დიდი საგმირო მოვლენა...  
უნივერსალური ღურჯები ფრთოსნებს გაედევნენ  
და უმალ, წარმოუდგენელი სახის მძიმედ მოამინდე  
დღეებად იქცნენ.  
მაჩვები, ლამიყლაპიები, გეზულები და ორბები,  
ამჯერად, არაბუნებრივ გეზუნაურობებით იტყუებიან.  
უზაკველად ციურმოტალავრე არსებები  
ხმიანი ჰაერსტვირის თანხმლებით ჩამოქვეითდნენ,  
რომ ჟამთა გამალებამი შეანელონ  
ჩვენი ჯოჯოხეთური დისჰარმონიზმი.  
ვიტყუებით ჩვენ და ნიშნის მოგებით იტყუება მძრომი,  
რომ თითქოს არ სიზმრავს ჩვენს კარზე მომდგარი ურწყული.  
ღვთისგან, ჩვენდა განსაცდელად, ახალი  
უკიდურესობები დაიშვა.  
ჩვენ ადამიანურ გონაღქმაზე აღმატებული  
ქსელბადე  
მთელ სხეულზე გადმოგვეფინა,  
რამაც გაპოლარებული  
ზნეტაროსების აზიზიზიმებით, სულის გამათეთრებელ პალატისკენ გვერდმრუდად  
გაგვაქროლა.  
მან ჩემი პოეტურ-ფილოსოფიური ხედვები არ დაიწუნა.  
მან ის მხედველობაში მიიღო, მან ის ჩემს დაუკითხავად  
ღვინოსავით დაწურა და მისი ბგერამიკრობიანი  
სტრიქონგამოსხივება  
სტერილური გახადა.  
მან თითქმის ყველა თავგამოდებული  
მოპროტესტე მოიმსახურა.  
ჩვენ, ძალით ბეჩავები და ძალით უმაქნისები,  
მიუხედავად ჩვენი დიდი მოტივირებისა,  
საინფორმაციო ნაკადების გაღმა გაგვაძვევს  
და ყოველ წამს პოლიციური თვალის დაჭერა გვძაბავს.  
ჩვენთვის არ შეცვლილა დრო.  
ჩვენთვის მხოლოდ ძველი მიდგომა შეიცვალა.

მაშინ წინასწარგანზრახულად ვიყავით თვალდამრეტილები.  
ჩვენ ახლა გვაქვს ბუნებრივი თვალის ჩინი  
და გვაშფოთებს ხილული კომმარი:  
„ეშმაკის რქები!...“  
შენ, კურთხეული მონარქი გვირგვინში, რა საშველს ხედავ?  
მონარქის გვირგვინში მოაზრებული მანქანა-იძულება -  
თესტიდოლოგიურად რეანიმირებული მიწრიელი,  
შენთვის არის ზებუნებრივ ასხივებასავით განუწირველი.  
მე, ცოდვილს, მხიბლავს, როცა არავის ვასამართლებ,  
მე მხიბლავს როცა შენ არ ხარ ფარისევლურად შეხმატკბილებული  
ერთფეროვნების მკაცრი მოდარაჯე.  
მე მხიბლავს, აღმოსავლეთ რომის წმინდანად შერაცხული  
იმპერატორი კონსტანტინე! –  
კაცი მართლწმენის მოსარჩლე  
და მრწამსთავისუფალ სინდისის არშემლახველი...

4.  
მათი (ჩვენი დამკაბალებლების) შემცოდე სიყვარული -  
წამი!  
ძალიან საუცხოო ვარსკვლავებთან მოთამაშე წამი!...  
ჩვენი სიყვარული –  
არეგანტოტებული  
და დიდხანს გაგრძელებული  
ჯოჯოხეთური მოვლენა.  
ჩვენ – შავსვიანები,  
ჩვენ წამითაც კი, სვებდუგრძნობები.  
ჩვენ – მექანიკური ძალისხმევის ტრადიციონალისტები.  
ჩვენ – იდეური თვალთახედვების გაღებული ფანჯარა.  
მეშვიდე ცის მეცხრე წალკოტის ფარვანა –  
ზევარგისი ფარფატი.  
ჩვენი გაგებით, ჩვენ იბერო-კოლხეთში დახოცილი  
დინოზავრების ლპობის მერე გაჩენილები.  
კაკასიონის მადლმოსილმა ქედებმა  
ჩვენს ცხადყოფნას არ მიაკარა  
დესტრუქცია: გამლორებულ ექოთა ჰაერსოროები.  
მიუხედავად ამისა,  
ჩვენ – არც კარგი წარმართები და არც კარგი ქრისტიანები...  
ჩვენ ვიცით, უსასრულოდ მაცოცხლებელი სიკვდილის თეორიული  
სახე.  
მაშ, რა ვქნათ, არ ვიღონოთ რამე?  
ჩვენ გაარარაება წამოგვეწევა?  
ჩვენ ხომ გვეხერხება ჩახლართული  
რევოლუცია-ევოლუციის გამოძერწვა?  
მაგრამ რაში გამოგვადგება ამდენი სულელური თავგანწირვა?  
სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ხის ყოჩადი დამხერხავი  
ვერაფრით იქნება ღვთის სასწაულის აღმომჩენი...  
უცდომელივით  
ცდომილიც ელოდება ღვთისგან სიკეთეს,  
რადგან ღმერთმა ყველას თანაბრად გვაგრძნობინა  
დღის მანათობელი (მზე).

5.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი უშიში ერი.  
ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერის ღირსეული მამები...  
მან (ქალბატონმა) ემიგრაციაში ყოფნისას  
საკუთარი თვალებით ნახა  
ინდივიდებზე მზრუნველი  
სახელმწიფო ფორმაცია,  
რომლის მექანიკური ხელები  
არ საჭიროებდნენ  
ქველმოქმედ ლუთერან და კათოლიკე  
მრევლის სახალხოდ  
აგიზგიზებულ კოცონს  
(მათ ჰქონდათ შესაძლებლობა  
ფარულად მოეკითხათ შეჭირვებული  
და დასაპყარებული  
ადამიშვილები).

ისინი თავიანთ ერეტიკულ ეკლესიებში უშიშრად დადიოდნენ.  
ისინი ფართო მოედნებში ბედნიერი გაღიმებით ყვავილობდნენ.  
მსტოვრებით გაწამებული ჩვენი მართლწმენა,  
ამ ემიგრანტმა ქალბატონმა მაინც ვერ დაივიწყა.  
მე ფრთოსნის სადარმა  
ხილულარსმა მალლიდან ჩამომძახა:  
„ამ ქვეყნად ზოგიერთი,  
რელიგიურ-ფილოსოფიურმა უმართლობამ გაახარა.  
ზოგიერთი სუსხმა და თომმა,  
გასაწირად დაიმარტოხელა...“

6.

სიბრმავე – უზარმაზარი გამოცანა!  
ჩვენ სიბრმავემ უკვე მერამდენედ გამოგვცადა.

2019

### უსამართლობა

*„უსამართლო კვლავ უსამართლობდეს  
და უწმინდური კვლავ უწმინდურობდეს...“  
/იოანე გამოცხადება, თავი 22/*

უსამართლობდნენ და უსამართლობენ.  
სიტყვათაფლობდნენ და სიტყვათაფლობენ.  
თავგასულად ავაზაკობდნენ და დახვეწილად ავაზაკობენ.  
ისინი საერთო-სასულიერო დანიშნულების ყველა უჯრედს ხელახლა იპყრობენ.  
ისინი პოეტურ ანთოლოგიებში სახელგანთქმის მამლებს აყივლებენ.  
ჩვენ ჩვენი მარადტანჯული მუშებით მებრძოლვეთა სუვერენული  
სამყაროს ბოთლებივით ვყირავდებით.  
ჩვენ ყურებს გვივსებდნენ და კვლავ ყურებს გვივსებენ.  
გვაბრმავებდნენ და კვლავ გვაბრმავებენ.  
თვალებს სამხრეთულ გულჩვილობით ვაცრემლებდით და ახლა ვართ  
ჩრდილოეთის ანომალიურ ლოლუებივით თვალგამშრალები.  
პირში წყალს ვიგუბებდით და პირში წყალს არ ვიგუბებთ.  
გვაყურადებდნენ და გვაყურადებენ.  
გვასმენდნენ და გვასმენენ.  
ჩვენ არ ვასმენდით და ჩვენ არ ვასმენთ.

ჩვენ მაინც ვკრაზანობთ და ისინი მაინც ფუტკრობენ.  
 ისინი – ფოთლის გამაფაჩუნებულ ზმანების დონემდე დაცულები.  
 ისინი – დრაკონული წარსულის არგანკითხვით უცოდველები  
 ისინი – დრაკონის ბალახმრავალ მინდვრებში გემრიელად ნაცოხნები.  
 ისინი – ურჯულოების საიდუმლოს აღსრულებისთვის გაცოცხლებულები.  
 ისინი – სახელოვან წინამორბედთა სიტყვაბრძნობის ბლეფურად მიმღევრები.

ისინი – მათი გამკერპებლები  
 (კერპის წინაშე მსხვერპლშემწირველი  
 ისტორიულად არ იქნება განწირული! –  
 ასე ფიქრობს, მიწიერ უკვდავებაზე სულშეწირული).  
 მათთვის უცხოა ცნება:  
 „ნურც გააკერპებ და ნურც უარყოფ!...“  
 „თავი არ გაიმეტო კერპად!“ –  
 ეს თავმდაბალს ჩაესმის დღემუდამ.  
 როგორ შეიძლება იქცეს დროში მაკულატურად  
 ამ თავისნება ბომონთა  
 წიგნად აკინძული კვლევა-ნააზრევი,  
 ამის შესახებ მარტო ჩვენ ვიცით...  
 ისინი ამქვეყნიდან რჩეულებად მიდიან -  
 ნაკურთხები და წესაგებულები.  
 ისინი აღმოჩნდნენ მართლმადიდებლები.  
 ჩვენ კი – მატრაბაზმიწრიელის შუბლნათითარები.  
 ჩვენ – მრწამსით თავისთავადები და შეუზღუდავები.  
 ისინი – სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებზე ფარულად გამწყრალები.  
 ისინი – სამყარო მწერლობის თუ მხატვრობის წელმოწყვეტილი მწვერვალები.  
 ჩვენ – ხვედრგამინდვრებულები.  
 ჩვენ – ბოლომდე არაკრინტუძრავები.  
 ისინი – უღიმღამო სტაბილურობის მშვიდობიანი სამწყოს ძე ლომები  
 და ხვალი ვეფხვები.  
 ისინი – ასტრალფერმოცულ არქოზავრის კვერცხიდან  
 თავაშვებული (სატელეკრანო) პოეტების საპირწყალო გამოჩეკვის  
 ინსპირატორები.  
 ახალი ჟურჭლის დამყაყანებელ წყალში  
 სამერმისო ხილვის მიმანიშნებელი,  
 მხოლოდ წვეთმილიგრამოვანი  
 წვეთნავი თუ არის მოციმციმე.  
 ღმერთო, რა გველოდება?!  
 ღმერთო, აწინასწარმეტყველე ცანი!  
 განა ჩვენ განსაცდელი გვექნებოდა,  
 რომ გამოგვერიცხა საკუთარი ბაგეების პირამიდა,  
 ანუ ამბოხ-ბღავილი?  
 ნეტავი, რა გაგვიჭირდებოდა,  
 მათ რომ არ შეეძლოთ ღავღავი?  
 სწორედ ბღავილი და ღავღავი,  
 იქნება გარემოს დამამძიმებელი  
 ბღავილღავღავი.  
 ე.ი. რაღაცნაირი სიავე.  
 რომლითაც გაიმარჯვებს ალბათ ისევ სულელური სიმართლე...  
 ჩვენ ადამიანებად არ ვარსებობდით და არც ახლა ვარსებობთ  
 („ჩვენში“ მე პლებსი ვიგულისხმე...)

2017

უკუმაგლობის წინამავლობა

მე – არაფილოლოგი  
პოეტი  
(ბედგანგებამ  
ფილოლოგებით განსაზღვრა თურმე  
პოეტურობის მადლი!.. ოჰ, საოცრებავ!..  
ოჰ, მსტოვრული თვალდაჭერილობის უმეცრებავ!..  
ზეშთაგონებული გონსულის ნაქმნი:  
ბუნებრიობით გამშვენებული  
შრომანი  
უჭემმარიტობებისგან განსაზღვრე ჩვენი განმამორებელი!  
ეს ტოტალიტარმა  
გაბედა  
ძალდაუტანებლობის მოშლა!.. )  
მე – დაქვეითებული  
აუფრენელი  
ორბი.  
მე ახალი ჰიბრიდის:  
ორბტირანოზავრობის მდომი,  
რომ უხეშ სამდურავს მივცე  
კოლხ-იბერიის ცაწართმეული  
ჰელიკონიდი.  
მე – ცოტა ვინმესგან მხარდაჭერილი.  
მე – პოეტების ჩამონათვალში უკანონოდ არმოხვედრილი.  
ტანჯულს, დაჩაგრულს, გაავაზაკებულს, ოდესღაც მეგონა,  
უფლებრივად, მე სუვერენული საქართველო მიშველიდა.  
მაგრამ ის არადაძაინმელებელ ძველახლობაში ტანჰიბრიდულად აღმენდა  
და ხელოვნური ხის კენწეროზე მწარე ნაყოფი მოისხა...  
თავგამწვერვალეებულთა აზრით, მე –  
უნათესაო გამვლელი.  
მე არ მიყუფენ,  
მაიგნორირებენ  
ძაღლები,  
რადგან ყუფა  
შეიძლება განდეს ჩემი ზედაპირზე ამოტივტივების საფუძველი.  
მე – ძველ-ახალ წესრიგთა იწროებაში არც ისე ცუდად გარკვეული.  
ძვლოვან სტრუქტურამდე, ჩემს დამღლელ სტრიქონებს, კვლავ ჟამგამკარგველი.  
მე – ჩემი წერის ჭრეტაჭემმარიტებაში დარწმუნებული.  
მე – მრავალჯერ,  
მრავალ ცოდვა-ცდომაში ეჭვიმითანილი.  
მე – ჩაკირკიტება-ჩამძიებლობის მიმართ ძალიან თავდაჭერილი  
(განუწყვეტელი  
თვალთვალის ქვეყანაში სჯობია იყო განბრძნობილ-მოხერხებული).  
მე – ქროლვაუფლებიანი  
ვარსკვლავის მოსაწონად გააქტიურებული.  
მე – გზა-წინგაჭრას ონქარით ვქლიბავ.  
თუმცა როგორც „შეჯიბრის სულის“ უკუმგდებელი,  
მე ხშირად ბრძოლის ველზე დამარცხებულ გმირებს ვედრები.  
მე საღებავშემცველი  
დროის ანტიწითელ შრეში აღმოვჩნდი, სულის წვეთ-წვეთით  
დენადობით მოხმობილი.

ის ბრუნვადაუცხრომელი  
 ბორბლის მსახურებიც  
 ჩურჩულის აქეთ დგანან,  
 რომლებიც ამისთვის გახდნენ  
 უნივერსიტეტალი,  
 რომ სახელმწიფო კონტროლისთვის გამოსადეგი  
 მუზა  
 მხოლოდ მათ უნდა სწევოდათ.  
 მე – მეცნიერი ფილოლოგების პატივისმცემელი.  
 თუმცა, ამჟამად ისინი, სარფიან მდინარეებში განავებულები,  
 მე სამყაროს გველურ  
 კანცვალეზადობით გამოწვეულ წუხილს მიორკეცებენ.  
 მე და პლებს ისინი, თავიანთ პოეტურ უპირატესობაში ვერ გვარწმუნებენ.  
 დროის სიახლენი  
 და ჩვენი წყალწაღებულობის დამცინავი ხავსები  
 მათ უკუმაველობის წინამაველობას ვერაფრით მოითმენენ.

2023

### პოეტური წინამაველობის მიჩქმალვა

#### რენე კალანდიას ნათელ ხსოვნას

1.  
 შეუზღუდავი ბურუსი, –  
 სებასტოპოლისი\*  
 მარად იყო ჩვენი ხსოვნის კენწეროზე ფარფატსმიცემული,  
 როგორც თანხლება წარუხოცელი.  
 ჩვენ გვარცხვენდა ცხადშემართული  
 პერობის  
 კანონგამერქანებული  
 ანტიპალმა.  
 ძველსიტყვაჰარმონიით გაგრძელდესო ბრუნვა  
 სამყაროსი, მან ასე ბრძანა.  
 მას ბანად ექცნენ მართული  
 ადამიანი  
 ტრაქტორები.

მათ აფრთხოდათ შენი ნოვატორული  
 ორთქლქოშინი.

ახლა ისინი ისე თუხთუხებენ,  
 რომ მათი ცალკეული ნაწილების მტვრევა-რახრახი  
 სულში ყვაებად გვეჭრებიან.

ქვეყანა-ალუბლის ხელისუფალნი  
 მათ ფართო ასპარეზის უფლებას აძლევენ.  
 მათ შეძლეს დამჯერ-უდრტვინველი  
 გვარ-სახელები  
 დაგვამახსოვრონ.  
 მათგან პროვოცირდა  
 უტიფარი პოეტების საყოველთაო ავმუცლოვანებანი.

მათგან განახლებული  
„უწინდელი“  
და უცხო არსებებად ფრაგმენტირებული  
(შრეებიანი) ზესკნელები  
შეერთდნენ...  
მათ ძალუძთ ლეგიონებად შეჯგუფდნენ,  
გადაჯგუფდნენ,  
ჯოგებად იქცნენ.  
„სხვისად“ და „თავისად“ გაჰყონ ცოცხლები.  
მკვდრები განსაჯონ.  
პოეტურ ინდივიდუალიზმს ფეხის დასადგომი  
ადგილი  
არ დაუტოვონ.  
ჰადესის ღვინოების ნამდვილობა უარყონ,  
რითაც შენ რიცხვდები  
(ორდები. სამდები. ოთხდები),  
რითაც შენ სიმელოტი ივარცხნები...  
მათ უძნელებათ შენ მაღალი ხმით გაგისხენონ.  
ისინი თუ ვინმეს იხსენებენ,  
ძველ ფეტიშებს იხსენებენ!...  
(სუსტი გონება ფეტიშიზმის ხელებს ჩამოჰგავს  
და ის ასე ნოვატორულ ცხოველს განელტვა...)

2.  
ნოვატორი იმ ქვეყნად,  
ვინ თქვა, განოვატორდა?  
მან გაუსამოთხებლადაც  
შეძლო იქ ცეცხლნარევ-პირდაუდუმარი ქშენა.

3.  
უდასასრულოა  
ჩვენი თანხლებული,  
ბუნებაშიდრეკილებანი  
უდასასრულობა! – ჩვენი ერთადერთი, არ დამკარგველი.  
იცოცხლებენ, მაგრამ არ განმრთლდებიან  
ჩვენი უნარშეზღუდულობანი.  
თვით ჩვენი წინმავლური ამაოებანი.

\*სებისტონოლისი – დიოსკურიის ადგილას რომაელების მიერ 75 წელს  
აშენებული ციხე-ქალაქი (დღევანდელი სოხუმი)

2024

## ომის გაბზრძელება

### 1) გველური ღმერთფორმალისტობა

ჟამსა ღიაობისა,  
მტარვალ-მტაცებლები  
ყოველთვის ცდილობენ,  
ამა თუ იმ ხალხის სრულყოფილი  
ისტორია  
მდორე

სამკვიდროს დაუბრუნონ,  
 ან ტარტაროზული  
 ქანავის ხანძარი შეუნთონ.  
 მათ გონგაფრენილ  
 ღმერთფორმალისტურ  
 გველობას  
 ჰგონია:  
 მდორე სამკვიდროს არჩევანი  
 მუდამ იქნება ნახევარსიმართლით შემართული  
 სამეცნიერო განსწავლანი.  
 ჰგონია:  
 დამწვარ-ამობუგულის სული  
 ბრძოლის ველზე სამუდამოდაა დასრულებული,  
 მაგრამ უსამართლოდ მოკლული  
 კაცმიწიერის  
 ღმერთთან  
 მოშუამდგომლე  
 ანგელოზი,  
 ვისაც ხმაურისხველად ჩაესახა მაღალი ცანი,  
 ხშირად მათთვის შემზარავი სიურპრიზებით ხდება სახილველი.  
 მათი თავდაპირველი  
 თვალგახელა,  
 ე.ი. წამით აღზევებული  
 უხერხულობა –  
 სულის თხემზე ზემკაფიო გაურკვევლობით შეირისხა.  
 ჩვენ ხელახლა  
 მოწოლილი  
 იძულებუნა  
 გვექცა  
 სულელურ თავმოკატუნებად  
 (იყო დრო, მან არაერთ იწროებას დაგვასწრო და ჩაგრული  
 ცხოვრება გაგვიგრძელა.  
 „იძულებით ნამსახიობს გადარჩენის შანსი მიეცემა!“ –  
 ეს კი ბოროტდანიელების ერთ-ერთმა პირდაცულმა  
 მონაკვეთმა გვაგრძნობითა...)

**2) საყოველთაოდ ფერდაწურული ცა**

სულშემხუთავი  
 გლობალარე გახდა ჩვენი ზღვა-ხმელეთის ეს დამფარველი,  
 მაგრამ ჩვენთვის პოლემიკური სიტყვა-პასუხი დარჩა  
 აუკრძალავი  
 (მე ვარ,  
 შენ ხარ,  
 აი, ამ ყველაფრით უფლებამოსილი)  
 მე არ ვიცი, შენს აზრსმოკლებული  
 ზღვის ვერშესხმით რატომ დაიმლაშე  
 დღის მანათობელთან კეთილშეწყობილი  
 შენი უბრყვილო,  
 შენი უვაებო  
 თვალები?  
 რატომ ბრალსა გვდებ?

რატომ გვკიცხავ?  
უკიდურესი გამმაგებით რატომ ყფ?  
ჰაერისმცველთა მოხმობილ ხათაბალას ეტოლება შენი ბგერაგანაპრალებული  
დანაყფი.  
რა მოხდება, ძაღლებს დაუტოვო თავიანთი ჯავრის ამოსაყრელი  
საყფავი?  
შენ ვინ გითხრა, ხელისგულზე არ დაინთო საშინაგანო ხანძარი,  
ან უარყო პოლიტიკური შემართებულობით დაქუხებული ლექსი?  
ვინ გითხრა, მალღა  
არ აუშვა  
შავპოლიტლექსი,  
პოლიტლექსკექსი,  
პოლიტლექსსაყვირი  
(ბუშტივით გასაბერი ღრუბელი?..)  
მე ვთქვი, პოეზია არ შეიძლება იყოს ბატონი  
პოლიტიკის მძღველი.  
ის არ უნღა ფრთოსნობღეს, როგორღ მსტოვრული  
სულით დაპროგრამებული  
ღემონი.  
მიღვევადობას დაექვემღებარა ცა-ბნელი.  
ცა-წითელი.  
ცაა საყოველთაოდ ფერღაწურული.  
ფრთოსნებს კი ფრთები აქვთ დაფეხებული.  
ღმერთო ჩემო, არაფერი ჩანს, ჩვენღა სარეაბიღიტაციოდ შეცვლიღი.  
ამჯერად ფრთხიღი ნაბიჯებით გვიკანონღება პატრიციული  
სამართღით ღაცული  
ზნე-ჩვეუღებანი.  
ბატონი პოლიტიკის მოსაღოდნელი  
ფარულსვღებით განარებული,  
არც ერთი პოეტი,  
რომ არ ვიხიღო, უწინარეს ყოვღისა,  
ჩვენთვის ეს იქნება სასურვეღი.

**3) შინაგანი ბუნებით განსაზღვრული გარემოვღენები**

მოძალადე მტარვალი  
გაკოჭე,  
მაგრამ მისი გაპირუტყვებისაგან  
თავი შორს დაიჭირე  
ნაომარი წინღაუხეღავის ფსიქოქსოვიღებში შემოიპარებიან  
ღამსჯელი ბუერები.  
ღარღებს შეგძენენ  
რკინაშერეულად გაფრამფრამებული  
ორბები,  
თან ღაგესიზმრება შორეული მყობადის ხავსღანესტიღი  
ურმანი  
როგორ გახღა, მარტოეული ხის ფუტუროში ღამაღული  
მიკროსიშავე  
თავზნაქერციღი,  
მდიმე აყროღებით აყრიღი  
შღამები  
მოკეთის სამემკვიღროს,საჭირბოროტო საკითხთა

აღძვრის საბაბით არ დაეფინებთან.  
 ისინი მას ჩვენგან აუხსნელი  
 მოვლენების გახშიანებით განშორდებიან.  
 ლაინისფერი ზესკნელის გამლილი  
 თითებიდან გამოცურებული  
 და ბერძნულ-რომაულ ვერცხლად დარეკილი  
 ულტრარხევის ღრუბელი,  
 მის გონებრივ  
 თვალსაჭვრეტს თბეთბილ-გერმაულბილეს გრატად  
 ეჩვენება.  
 გარემოვლენების ყველა „სარეველა-რისხვა“  
 და ყველა „ანგელოზური უსიტყვობა“,  
 დღემდე მხოლოდ  
 ჩვენმა მთრთოლვარე  
 არშინაგანმა  
 განსაზღვრა.  
 ჩვენი ამაზრზენი  
 კონკურენტი:  
 ღმერთმგმობელი  
 სივერაგე,  
 ამჟამად, ქვეშევეშური მოქმედების ზანზალაკითაა აწკრიალებული.  
 მე უკვე არ მსურს დავლიო, მისი ევოლუციების მაინსპირირებელი  
 წყალნარევი ალსამსალა.  
 ჩემი სიბერის მისადგომი  
 და ჩემი ციური საშველის მხმობელი  
 ხმა  
 ნაბიჯ-ნაბიჯ  
 ერთიანდებიან.

#### 4) სულით მებრძოლი

იმ დროს, როცა სოციალური ქსელის „სახალისო პოეზიამ“  
 პირმოთნე სულთა  
 დემონურ ამჩატება-მოხიბლვაზე იზრუნა,  
 მე მოწყალე პანტოკრატს ისევ ხსნა-გადარჩენაზე ვევედრები.  
 მე უპირატესობამინიჭებულ ადამიანების წინაშე  
 ვერ ვიქენი  
 ჯილდო-სახელგანთქმის მთხოვნელი,  
 მე მათ ვეგონე ჭკუანაკლული.  
 კარის შენგრევის არ მდომელი.  
 ჭკუანაკლულები,  
 შერისხული  
 უმცირესობის გრძელ ტაბლას უსხედან  
 და დიადი თვინიერებით გამოირჩევიან.  
 აგერ, ბოროტი სულით შეპყრობილი  
 ლიტმცოდნე –  
 ინტელექტზრალი  
 ექსორიაქმნილის პირკიაფი,  
 სხვა პოეტს აწერს იმ ღირსებას, რაც  
 ჩემზე დაიწერა,  
 თუმცა ჩემი დრტვინვა,  
 მხოლოდ ჩემს შინაგან

წუხილს ემატება.  
მე ვთქვი: არ ღირს ალაგ-ალაგ მოქურუხებული  
წინაღობის მცირედ ნაქაფი ზოლები  
გადავლახო და  
გულნამცეცა ადამიანის სინდისცარიელი  
მწვერვალპყრობა  
გაანჩნლებულ უგონობით შევძრა  
(უგონობა დღემდე  
უძღურობა-დამარცხების სამყაროს ქმნიდა).  
უგონობის მიერ  
თავის ნებაზე მიშვებული  
გატადრებაც კი  
ენარბილ ფორმალობად იქცა.  
მაგრამ დრონავალი  
სხვიგანსწავლა  
ჩვენ ისევ შეგვახსენებს: უსამართლობის და გაწკვარამების სითხე,  
ყოველთვის ერთ (განცალკევებულ) ავში გროვდება  
და ფრთოსანგამოჩენის ავი  
წინათგრძობები  
ცოდვილ უშიშთა თავზე ზმანებაგალრუვებელ  
წრეს კრავენ.  
ო, მათ ჩვენს სამერმისო ხედვაში, საფრთხილო ზღვების წითელი წყლები  
ენაპირებიან...  
მე ღრუბელშვერცხლილ ეულობით ბედდახურული  
საიდუმლო პოლიციის ღიმილისმომგვრელ  
ჩიტებს, ყვავილებს ვაზიარებ  
ჩემს ფეისბუქში.  
მე გულუბრყვილო  
უგუნურობას  
შეკავშირებული  
გავხდი, სუპერმატერიალური სამყაროს მპყრობელ გონმიცემულთაგან  
სილაშემოკრული.  
ჭკვიანები ჯოჯოხეთში განთავსდნენ  
და კეთილები სამოთხეშიო, – წმინდამ.  
მე ამ წმინდა კაცს ჩემი მოსაზრება-მოსათმენებით დავეწყვილე.  
რას იტყვით, მე და კავკასიური ხის მუშკი\* ხომ არ  
ვიქნებით რეგრესმაპროვოცირებელ დალატში ეჭვიმითანილი?  
რაც არ უნდა მოხდეს, მე  
პანტოკრატიკენ შუბლშემართული,  
უკვე ვერ დავრჩები  
მხეცხლებულ სასოწარკვეთილებით გატრამალებული  
„სულით მებრძოლი!“ –  
სწორედ რომ ის არის, ვისაც ეწოდა  
დრო-უდროობის ერთადერთი გამარჯვებული.  
მისგან შეიძლება იყოს განეიტრალებული  
რომის იმპერიის საშიშმზედ  
აფუებული გონი.  
მისი ძალისხმევით შეიძლება აღშენდეს ნიჭგამეთაურებული სოფელი.

\*ხის მუშკი – ხის ხავსი

**იმპერიული რღვევა**

იმპერიული რღვევა! –  
 არა ნელმზემწურვით ხელშეწყობილი  
 მშვიდობიანი წყალდაწრეტა.  
 იმპერიული რღვევა! –

გვამით, ინსტინქტით, გონაზრითშერყვანა!..  
 იმპერიული რღვევა!  
 ჰიბრიდულ სისტემურობასთან შეხვედრა!  
 სადაც ყოვლისმპყრობელი და მიწიერმპყრობელი  
 თოვლჰანგოვან მებოძირის ფრთოსნებს შეერივდნენ,  
 რომ ნამდვილი ზედასწრება-ზებუნებრიობა გვაგრძნობინონ...  
 იმპერიული რღვევა! –

მტანჯველ-ტანჯულის სულგაკვესებით ორბუნებოვანი კვნესა...  
 ნუ ფიქრობ, სუპერსიქათქათის წმინდა ჰაერნაკადივით გალივლივდები.  
 საკუთარი მეობა შენ შეგცვლის მხოლოდ ნაწილობრივ!“ –

ამბობს ნაციონალური ფსიქომიდრეკილებით წარმოებული ბედპროგრამა.  
 მე იმპერია მტკიოდა!  
 მე ახლა სახარების მოქადაგედ განახლებული,  
 მისი იდეოლოგიური სამსახური მტკიცა!

– სად არის პავლე?..  
 – არ არის პავლე!..  
 – სად არის იოანე ღვთისმეტყველი?..  
 – არ არის იოანე ღვთისმეტყველი!..  
 ამაზრზენ აისბერგად გაცურებული  
 სულწართმეულის სუვერენიტეტი,  
 იგივე იმედგაცრუება,  
 აქამდე უცნობ  
 ავადობა-არავადობის  
 კანონზომიერებას შეხვდა.  
 განსწავლის მაგიერ, მას ეს უცნობი  
 ეცრუა და ებოროტა.  
 ილუზია: „კვიპარისთა დღესასწაული“,  
 მის ჭერდათრთვილურ  
 საწურთნოს დაასწრო  
 ბნელმიღმამყოფის მაღალმა  
 სხივაჭრელებამ.

**სულით უძრავი ტივტივა**

ვიღაცა მონა.  
 ჩვენ – იმ ვიღაცის მონადყოფილები.  
 მონისგან ოტებული მონა,  
 ხდება თურმე თვითმონა.  
 თვითმონა,  
 ოდესღაც იყო მოყვასმოძულეობით თავისუფალი.  
 ახლა მან იმ გაგონიერების საყდარს მიაშურა,  
 სადაც ჩვილურად ათრთოლებული გულები,

ანტიქრისტეს წამდაუნუმ ხსენების გამო,  
სიცოცხლისთვის საჭირო ურყევობას კარგავენ.  
შენ ამბობ ვინმეს სახელის პირზე დაკერება, იგივეა,  
რაც მისით მოხიბლვა.  
იგივეა, რაც მისი მოხმობა,  
იგივეა, რაც უცხო ზემოთაგონების რეალხმა..  
თავისთავად,  
მოყვასმოძულეობით თავისუფალი,  
ბუნებრივი  
(ძალდაუტანებელი)  
მონის ტერიტორიულ ტრამალ-ხახისკენაა, ყოველთვის მოძრავი.  
ეგრისის ლაზიკა და პონტო-დიაოხის ლაზიკა! –  
ოღესღაც ერთი ლაზიკა!.. – მან ეს ყველაფერი დაივიწყა.  
მას ქერა პოლარულობის იდეოლოგიური მონაჩმანი, მოლეგო ღრუბლად  
და სხივმოცანცხან მფრინავ ობიექტად დაეჩრდილა.  
მას სატანჯველად ექცა, ლაგამაწყვეტილი  
წარსულის ვრცელი მონაკვეთი:  
წინსვლის შემაფერხებელი  
წარმოსახვა.  
მან ვერ შენიშნა, საკუთარი ფსიქოგონებრივი წალკოტის პირქარობა.  
უცებ ის ზღვის ნელმჭევლისგან ოღნავ მოძრავ ტივტივად გადაიქცა.  
ზღვამ მითხრა, რომ ამ სულუმოქმედოს ვარდნა გაუცნაურებული  
ხის ფოთოლი,  
ისე ეჩვენებოდა, როგორც ჩვენგან უხეიროდ შესწავლილი ნავლივლივი,  
ანუ როგორც ეროვნული  
განსაკუთრებულობის ზენიშანი...  
ის – ორ ნაბიჯითაც კი წინ ვერ წაწეული.  
მას ისევ მტრობენ მონიელი ბერძნები.\*  
მას არასოდეს არ სიზმრავს უჭურველი\* ბერძნები...  
შფოთბორგვის აალებიდან განტოლვილ ჩქამგრილის თანახმად:  
დაკაბალებულ პოეტს ყველაზე მწვავედ თუ რამე სტკივა,  
სწორედ ეს სულით უძრავი ტივტივა სტკივა.  
კიდევ, ზღვაზე ზემოქმედების მომხდენი  
შრეუცნაური და ქვესკნელუცვლელი  
პროცესები სტკივა!..

\* მონიელი ბერძნები – იგულისხმება არგონავტები

\* უჭურველი – უიარაღო

## ხვედრუშაჭირვაბულის სულდგმა

### გიორგი სიჭინავას

დრომ: საცურაო საშუალებამ,  
მითხარი, რომელი მიმართულებით შეიძლება  
გაიტაცოს ოღესღაც ძლევამოსილი,  
მაგრამ მერე გარე მძლავრობისგან,  
ფეოდალურ გალაყებისგან  
და თვითმკვლელ გულუბრყვილობისგან  
ვალაღდაყრილი კოლხეთი?..  
ის – დადიანების ოდიშად დაფარფარებული  
ხვედრუსაშველო ფურცელი.

ის – ღვთის შერისხულივით გუნებაწმანი,\* ანტიმოყვასურად განწყობილი/  
 ის – ხმელთაჰაერზღვით დამცრობილი.  
 ის – უკიდურესად დამცირებული.  
 მიუხედავად ამისა,  
 მისი საბრძოლო რეაგირება – მკაცრი თავმოუჭრელი.  
 ის – სახელოვანი სარდლის დათუა აბოლიეს ძე ბისკაიას დამვიწყებელი („და-  
 თუა ბისკაია!“ – XVII საუკუნის იტალიელი კათოლიკე მისიონერის ქრისტეფორე  
 კასტელის მიერ დამოწმებული  
 გვარ-სახელი)...  
 ის – გლახ-მონა  
 უტუ მიქავას ზღვა შფოთით აღმავსებული.  
 ის – სულდაეარული.  
 ის – მასხრად აგდებული.  
 ის – გაბღვნილ-ურვილი.  
 მისი ჭაობური სიმლაშის კურცხალი –  
 ფერმიმქრალ თაწვებზე დიდნავად გაცურებული  
 ცვარ-ნამი,  
 რაც მსუსხავ ასტრალივითაა აციმციმებული,  
 როგორც ბიზანტიური დამღევის თვალდატოტვილად  
 განაკადებული სიცოცხლე.  
 „ვისაც ტყვე მიჰყავს, თვითონაც ტყვედ წავა“...\* –  
 ტყვე არ ჰყოლია, მაგრამ პატიმრულმა შეურაცხყოფამ  
 ის დეპრესიულად დასცა.  
 მისი ხვედრშეჭირვებულ  
 სულდგმისა გამო  
 ზოგიერთი პროტესტის დამარწვეველი  
 მწერალი –  
 ეხმემოზღუდული  
 და შეხმატკბილებულ სარბიელებს განშორებული.  
 ღრმაფილოსოფიურად პოხიერი,  
 ჩვენზე თვალმიდევნებული  
 ვინცაა,  
 მას ჰგონია, ჩვენი დამტევნელი  
 მახსოვრობის პირველბუნებრივი  
 ფსიქოპროგრამირება  
 უკვე იმდენად შეიცვალა,  
 რომ ის ოთხქარბუქშესრუტულ  
 ბრილვილდაფარულ  
 ჰაერუმოდრაო ფსკერამდე დაეშვა.  
 თუმცა ჩვენ დროდადრო, გრძნობადობით მაინც  
 გვიახლოვდებიან საოცრად დიდი საცურაო საშუალებები -  
 ვეშაპის მუცლები  
 (ალბათ, ერთ-ერთი მათგანის სტომაქში, საგანგებოდ წარგზავნილი  
 ორთქლფორმაა ჯერ კიდევ დაცული).  
 ჩვენ დამარცხებულ თავდაჯერებულებს, ისევ  
 გვგონია, რომ ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციასთან ერთად  
 ჩვენს მხარდასაჭერად დაიძვრებიან  
 ჩვენი მკვდრეთით აღმდგარი გარდასულები  
 და მათ შორის, ჩვენ წინაშე დანაშაულის გამოსყიდვის სურვილით აღძრულნი.

\*გუნებაწმანი – მჟავე გუნებიანი

\*„ვისაც ტყვე მიჰყავს, თვითონაც ტყვედ წავა“ – იოანე მოციქულის გამოცხადება

\*გააჯამებული – გაურჩეული (იგულისხმება იონა წიასწარმეტყველი)

მოკვდინებულის გაცოცხლება

ღმერთო, პალმოვანი სიმშვიდის პონტისპირეთი  
ეს შენ გახადე ჩემი გონებიდან განუშორებელი.  
ღმერთო, მე მახსოვს, როგორ იმეორებდა ჩვენი პირხავსიანი  
ჰელიკონიდების ერთადერთი კავშირი:  
„ავლები, ჭადრები, იფნები, კვიპაროსები.  
მედეა. იაზონი. აიეტი. ძველი დროის ბერძნები.  
დიოსკურია. ავზონები. ამაზონები.  
დაფნა. დიდება. ტაში. ჩვენი მადლიერი ხალხი...“  
ხსოვნას ვერ ძლევენ, ვინც დიდი ხანძრები,  
ვერც ხანძრის შემდეგ გარემოს დამაკაემნებელი  
ავლები, მხუთრები და ბურუსები.  
ღმერთო, შეიწყალე აფხაზეთი.  
ღმერთო, შეიწყალე იქ მოსახლე ზანები  
და არაზანები.  
ღმერთო, შეიწყალე აფხაზეთიდან განდევნილი  
და მთელ დუნიაზე განთესილი  
ათასები  
(ო,მათი ღირსების შემლახველი მხამწყალი -  
სულგაშლორებული და მტრულად განწყობილი  
ხალხების პირდორბლი...)  
ღმერთო, არ დააშრო გალის მდინარე ნიშონი.  
ღმერთო, ანუგეშე ჭმუნვასმიცემულ ხეთა კენწეროჩრდილებით მდინარი ქორომონი.  
ღმერთო, აგვაშორე მრეუსასოობის მრეშდრუბლოვანი  
წინაგრძობა: დამშრალი მდინარის კალაპოტში თევზების ჩონჩხებთან  
პირისპირ დარჩენით გამოწვეული  
აგონიური სიკვდილი.  
ღმერთო, ჩვენს თავზე შენ რა გველვეშაპი  
განსაცდელი დაუშვი,  
ის გველვეშაპი განსაცდელი  
ჩვენს სამყოფელს განაშორე  
და ბარხანული დიუნების სიყვითლემოცულ თვალთა გუგებში გააცივე.  
ღმერთო, კვლავ გვახილვინე დიოსკურიისკენ მომავალი  
კორინთოს ხომალდები.  
ღმერთო, აგერ აფხაზეთი, მცირე ეგრისი, გურია, იმერეთი.  
აი, ისტორიული კატაკლიზმებით მოკლული დედა კოლხეთი.  
ღმერთო, ჩემ წინაშე შემცოდეს შენ უშველე.  
ღმერთო, კეთილმსახურებით შენიღბული უსჯულოება გაამიშველე.  
ღმერთო, ბიზანტია შემომამშველე.  
ღმერთო, კავკასიურ ერტომებში სამართლიანი  
თანაბარუფლებიანობა აღადგინე  
და შენი მოწონებელი  
წესკანონები  
ხელმეორედ დაგვიდგინე.  
ღმერთო, მე ჩემს შესაძლებლობაში დამარწმუნე.  
ღმერთო, შეცვალე აწინდელი სინამდვილე,  
სხვა, ტანსარო სინამდვილედ  
სადაც დღის მანათობელი  
უმართლოდ მოკვდინებულთა წინასაადგომო ნიშნებით იარება  
და ისე იღიმის, თითქოს არ სურს, თავის ფერმეწამულ მწუხრში დიდხანს დაბრუნება.

2020

**ტარსურა\***

დამაბრმავებელ სხივსვეტად აღმართულმა  
 ფოსფოროსმა ჩვენ, ფუნქციადაკარგული  
 კოლხეთის ხალხი, სანამ ძირფესვიანად  
 არ შეგვზარა,  
 სანამ სულადბორგებული  
 ტრადიციის თოვლმძვინვარე ტაროსები  
 არ ვიგრძენით, მანამ  
 შენს ძვირფას დასაბამს არ მიეალერსა კაცთაგან არავინ, ტარსურა!  
 ჩვენ ვერ დაგვიფარა ჩვენმა ჟამუკუდმართმა  
 ანტიხსოვნამ.  
 თავურყოფის ის მიზანმიმართება,  
 ჩვენ რომ შევიხვედრეთ,  
 სწორედ ის არის ახლა ჩვენს თავზე საფრთხილო-სადარდებელ  
 ღრუბლად გადმოკიდებული.  
 „ღრუბელთღრუბელი!“ –  
 ზუსტად, ასე ხმობენ მას შორეული ჰაერნაკადები.  
 შეურიგებელი თვისებების მქონე გამოდგა  
 ეს სახეშერყვნილი ზემოვლენები  
 (თუმცა, ოდესღაც ჩვენში სიბილწედ აღიქმებოდა  
 ყოველნაირ შერყვნასთან კომპრომისი)  
 ტარსურა!  
 ჩვენი ნათესავებად შეზრდილი მოძულეები  
 და ფოსფოროს-ფილოსოფოსის  
 ფოტოგენურ-არაფოტოგენური  
 ექსპრესდრუბლები  
 ჩვენს ცხადს და ხსოვნას ერთად უფლობენ.  
 ვითარცა ორწყალი,  
 ჩვენი მარტივგააზრების პირმშო კრიზისი  
 ერთმანეთს ერწყმიან.  
 ჩვენი უმოქმედობის (მკვდრეთით არ აღდგომის) შემთხვევაში, სავარაუდოდ,  
 ჩვენ მათი მუდმივი (არადროებითი)  
 თანხმობა გაგვამდინარებს და  
 შეგვისრუტავს განახლებული ქშენით აჰაეროვნებული ზღვა.  
 (ტარსურა!.. გახსოვდეს ტარსურა,  
 რომ თავუარყოფა და გონსიმართოვე  
 შეუძლებელია ვინმესთან იყოს,  
 როგორც ზეარსისგან  
 წინასწარდაპროგრამებული ბედისწერა...)

\*ტარსურა – უძველესი კოლხური დასახლება აფხაზეთში



## კაცი ფუტლიარში



სოფელ მირონოსიციის მთლად ბოლოში, მამასახლისის პროკოფის ფარდულში, ღამის გასათევად გაჩერდნენ შეგვიანებული მონადირეები. სულ ორნი იყვნენ: ბეითალი ივან ივანიჩი და გიმნაზიის მასწავლებელი ბურკინი.

ივან ივანიჩს საკმაოდ უცნაური, ორმაგი გვარი ჰქონდა – ჩიმშა-გიმალაისკი, რომელიც სულ არ შეეფერებოდა და მთელ გუბერნიაშიც უბრალოდ მოიხსენიებდნენ – სახელითა და მამის სახელით. ცხოვრობდა იგი ქალაქთან ახლოს და მუშაობდა მეცხენეობის მეურნეობაში. ახლა სანადიროდ იყო წამოსული, რადგან სუფთა ჰაერი მოენატრა.

გიმნაზიის მასწავლებელი ბურკინი კი ყოველ ზაფხულს აქ ატარებდა, გრაფების ოჯახში, და კარგა ხანია აქ თავისიანად თვლიდნენ.

არ ეძინათ. ივან ივანიჩი, ეს მაღალი, გამხდარი, გრძელულვაშიანი ბერიკაცი, იჯდა ფარდულის შესასვლელთან, ეზოში, და ჩიბუხს ეწეოდა. ზედ მთვარის შუქი ადგა. ბურკინი შიგნით იყო, ფარდულში, თივაზე იწვა და აღარც ჩანდა სიბნელეში.

ნაირ-ნაირ ამბებს ჰყვებოდნენ. სხვათა

შორის, იმაზეც ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ მამასახლისის ცოლი, მავრა, ქალი ჯანსაღი და არც თუ უჭკუო, მთელი ცხოვრება თავის მშობლიურ სოფელს არ გასცილებია; არც ქალაქი უნახავს როდისმე, არც რკინიგზა. ეს ბოლო ათი წელიწადი კი სულ ღუმელთან ზის და მხოლოდ ღამღამობით გამოდის ქუჩაში.

– რა არი ამაში გასაკვირი? – თქვა ბურკინმა. – ცოტა როდია ქვეყანაზე ბუნებით მარტოსული ადამიანები, რომლებიც საზოგადოებას განრიდებიან და ლოკოკინასავით საკუთარ ნიჟარაში ღამობენ შეძრომას. იქნებ ეს ერთგვარი ატავიზმია, ანუ იმ დროებასთან დაბრუნება, როცა ადამიანის წინაპარი ჯერაც არ იყო საზოგადოებრივი ცხოველი და მარტოკა ბინადრობდა თავის ბუნაგში. ან იქნებ ეს, უბრალოდ, ერთერთი ნაირსახეობაა ადამიანური ხასიათისა? ვინ იცის! მე ბუნებისმეტყველი არ გახლავართ და ჩემი საქმე არაა მსგავსი საკითხების გარჩევა. მხოლოდ იმას ვიტყვოდი, რომ მავრასნაირი ადამიანები არც ისე იშვიათია.

რაღა შორს წავიდეთ? ორი თვის წინ მოკვდა ჩვენს ქალაქში ვინმე ბელიკოვი, ბერძნულის მასწავლებელი, ჩემი ამხანაგი. თქვენ ალბათ გსმენიათ მის შესახებ.

ის ცნობილი იყო იმით, რომ ყოველთვის, თვით ძალიან კარგ ამინდშიც კი, ქუჩაში კალღობით, ქოლგით და, როგორც წესი, თბილი, დაბამბული პალტოთი გამოდიოდა. ქოლგა საქოლგე ბუდეში ედო, საათიც – ნაცრისფერი ნატის ბუდეში და, თავად განსაკუთრებით, როცა ჯაყვა დასჭირდებოდა ფანქრის წასათლელად, იმასაც კი პატარა შალითიდან ამოაცოცებდა. პირისახესაც ყოველთვის აწეული საყელო უფარავდა. სულ შავი სათვალეები ეკეთა, ზამთარ-ზაფხულ თბილი ფუფაიკა ეცვა, ყურებს ბამბით იცობდა. ხოლო როცა ეტლში ჯდებოდა, სახურავს უსათუოდ მაღლა ააწევინებდა.

ერთი სიტყვით, კაცს ეტყობოდა მუდმივი და დაუძლეველი ლტოლვა – შეექმნა თავის გარშემო რაღაც შეუვალი გარსი, ერთგვარი ფუტლიარი, რომელიც მას განაცალკევებდა და გარეშე გავლენისგან დაიფარავდა. სინამდვილე მას აღიზიანებდა, აფრთხობდა, მუდმივ

შიში ამყოფებდა. ხოლო იმისთვის, რომ გაემართლებინა თავისი გაუბედაობა, სიძულვილი სინამდვილის მიმართ, აქებ-ადიდებდა ხოლმე წარსულს და იმას, რაც არც არასოდეს ყოფილა და მომხდარა. ის ძველი ენებიც, რასაც ასწავლიდა, არსებითად, იგივე კალოში და ქოლგა იყო მისთვის, რაშიც იგი ნამდვილ ცხოვრებას ემალებოდა.

– ო, რა ტკბილხმოვანი, რა მშვენიერია ბერძნული ენა! – იტყოდა იგი ბედნიერი გამომეტყველებით და, თითქოს თავისი სიტყვების დასტურად, თვალს მოჭუტავდა, თითო ზემოთ ასწევდა და წარმოთქვამდა: – ანთროპოს!

ბელიკოვი ცდილობდა თავისი აზრიც ფუტლიარში მოექცია. მისთვის ნათელი და გასაგები იყო მხოლოდ ცირკულიარები და საგაზეთო წერილები, რომლებიც რაღაც აკრძალვებს შეიცავენ. როცა ცირკულიარით მოსწავლეებს ეკრძალებოდათ ქუჩაში გამოსვლა საღამოს ცხრა საათის შემდეგ, ან საგაზეთო წერილში ვინმე ხორციელი სიყვარულის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, აი ეს იყო მისთვის მზესავით ნათელი და გასაგები. აკრძალულია – მორჩა და გათავდა! ნებართვა კი მუდამ რაღაც საეჭვოს შეიცავდა, რაღაც ბოლომდე უთქმელს და გაუმჭირვალეს. როცა ქალაქში რაღაცის ნებართვა გაიცემოდა, ვთქვათ, დრამატული წრის, სამკითხველო დარბაზის ან საჩაიეს გასახსნელად, ის შეწუხებული გადააქნევდა თავს და წყნარად იტყოდა:

– ეს, რასაკვირველია, კი, ძალიანაც კარგია, მაგრამ რაიმე ცუდი არ მოჰყვეს ამას...

ყოველი დარღვევა, გადახრა, წესებისგან გადახვევა გუნებას უფუჭებდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მისი საქმე იყო? თუ რომელიმე მის ამხანაგს წირვა-ლოცვაზე დააგვიანდებოდა, ან ყურს მოჰკრავდა გიმნაზიელთა რაღაც ცელქობას, ანდა მშვენიერ მანდილოსანს გვიან საღამოს ოფიცერთან ნახავდნენ, მას ელეთმელეთი მოსდიოდა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, ემანდ რამე ცუდი არ გამოვიდესო. ხოლო პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხომ გული გაგვიწყალა თავისი გაუთავებელი სიფრთხილით, იჭვნულობით და წმინდა ფუტლიარული მოსაზრებებით იმის თაობაზე, რომ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში ახალგაზრდობა ცუდად იქცევა – ხმაურია დერეფნებში; ღმერთი არ გაწყრეს და არ მივიდეს ეს ამბავი უფროსების ყურამდე, არ გამოვიდეს აქედან რაღაც ცუ-

დი; ან კიდევ: თუ მეორე კლასიდან გავრიცხავთ პეტროვს, ხოლო მეოთხიდან – ეგოროვს, აი ეს ნამეტანი კაი იქნებოდა!

თქვენ როგორ გგონიათ? თავისი ვაი-ვიპით, წუწუნით, იმ შავი სათვალეებით მკრთალ, პატარა პირისახეზე, – დიახ, ქრცვინივით პატარა სახეზე, – ის სიქას გვაცლიდა ყველას და ჩვენც ვუთმობდით: პეტროვსა და ეგოროვს ყოფაქცევაში ნიშანს დაუკლებდით, მერე დავამწყვდევდით, ბოლოს კი გავრიცხავდით გიმნაზიიდან.

ერთი უცნაური რამეც სჩვეოდა – ყველა ჩვენგანის უცვლელი სტუმარი იყო! აი ასე: მოვა, დაჯდება და დუმს, თითქოს რაღაცას ზვერავსო. ზის ასე ერთი-ორი საათი და წავა. ამას ეძახდა „კეთილი ურთიერთობის დამყარებას ამხანაგებთან“. აშკარაა, რომ ჩვენთან მოსვლა და უბრად ჯდომა არ იყო ადვილი მისთვის, პირიქით, უმძიმდა ეს. მაგრამ ამას შვრებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავის „კოლეგიალურ მოვალეობად“ მიაჩნდა.

ჩვენ, მასწავლებლებს, გვეშინოდა მისი. დირექტორსაც კი ეშინოდა. ხომ წარმოგიდგენიათ ჩვენი მასწავლებლები – ხალხი მოაზროვნე, ტურგენევისა და შჩედრინის ნაწერებზე აღზრდილი! ამ დროს ამ კაცუნას, სულ კალოშებში და ქოლგით ხელში რომ დაიარებოდა, თხუთმეტი წელი ხელში ეჭირა მთელი გიმნაზია! და განა მხოლოდ გიმნაზია – მთელი ქალაქი! ჩვენი ქალბატონები, მისი შიშით, შაბათობით საშინაო სპექტაკლებს არ აწყობდნენ – ვაი თუ გაიგოსო. სასულიერო პირი, მისი თანდასწრებით, სახსნილოს პირს არ დააკარებდა და ვერც ბანქოს თამაშს გაბედავდა. ბელიკოვისნაირი ადამიანების გავლენით ჩვენი ქალაქი, ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადია, დაზაფრულია. ყველაფრის შიში დაგვიქმდა – ხმამაღლა ლაპარაკისა, წერილის გაგზავნისა, ერთმანეთის გაცნობისა, წიგნის კითხვისა, დარიბთა დახმარებისა...

ივან ივანიჩს რაღაცის თქმა სურდა, ჩაახველა, მაგრამ ჯერ ჩიბუხს მოუკიდა, მთვარეს გახედა და შემდეგ უკვე აუჩქარებლად დაიწყო:

– დიახ, გონიერი, წესიერი ხალხი კითხულობს შჩედრინსაც, ტურგენევისაც, ბოკლეს და სხვებს, მაგრამ აი ხომ ხედავ, დაემორჩილნენ მას, თავი დაუხარეს... ჰოდა საქმეც ეგაა!

– ბელიკოვი და მე ერთ სახლში ვცხოვრობდით, – განაგრძო ბურკინმა, – ერთსა და იმავე სართულზე, მოპირდაპირე ბინებში, კარის მეზობლებად. ხშირად ვხვდებოდით

ერთმანეთს და ზედმიწევნით ვიცნობდი მის საშინაო ცხოვრებას. სახლშიც ზუსტად იგივე ხდებოდა: ხალათი, ჩაჩი, დარაბები, რაზები, ნაირ-ნაირი აკრძალვები და, რაღა თქმა უნდა, მისი განუყრელი ფრაზა: „ოჰ, რაღაც ცუდი არ მოჰყვეს ამას!“.

მარხვა საზიანოა, ხსნილის ჭამა კი არ შეიძლება! ბელიკოვიც ადგება და თევზს ერბოზე შეაწვევინებს – არც მარხვისაა, მაგრამ ვერც ვერავინ იტყვის, რომ სახსნილოა და ბელიკოვი მარხვას არ ინახავს.

შინამოსამსახურედ არასოდეს ქალი არ აუყვანია, ვინმემ რამე არ იფიქროსო, და მზარეულად მოხუცი ათანასე აიყვანა – სამოცი წლის ბერიკაცი, მემთვრალი და დამთხვეული, ვინც ერთ დროს ღენშიკად მუშაობდა და სამზარეულოსი რაღაც გაეგებოდა. იდგა ხოლმე კართან ეს ათანასე, დაიკრეფდა ხელებს და ერთსა და იმავე უაზრო ამოხვრას გაუთავებლად იმეორებდა:

– ეჰ, მომრავლდნენ ასეთები!

ბელიკოვის საძინებელი ერთობ პატარა იყო, კოლოფივით. საწოლი ფარდით იყო გამოყოფილი ამ კოლოფში. როცა დასაძინებლად წვებოდა, თავს საბანში ჰყოფდა. ცხელოდა, დახუთული იყო, ჩარაზულ კარებს ქარი ეხეთქებოდა და მისი გუგუნი ღუმელში ამოდიოდა. სამზარეულოდან ავბედითი ოხვრა და ხვნემა ისმოდა...

მას ეშინოდა საბანქვეშ, ვაითუ რამე მოხდეს – ვთქვათ და ათანასემ ყელი გამოჭრას, ან ქურდები შემოვიდნენ. ამიტომ მთელი ღამე შფოთიან სიზმრებში იყო და დილას, როცა ერთად მივდიოდით გიმნაზიისკენ, სიცოცხლის დიობი არ ეტყობოდა. ხალხმრავალი გიმნაზია აძრწუნებდა, სძაგდა მთელი არსებით და ჩემს გვერდით სიარულიც უმძიმდა ამ ბუნებით მართოსულ კაცს.

– ნამეტანი ხმაურია ჩვენს კლასებში. – ჩიოდა იგი, თითქოს ცდილობსო თავისი მძიმე განწყობილების ახსნას. – რას ჰგავს ეს?

ჰოდა ეს ბერძნულის მასწავლებელი, ეს კაცი ფუტლიარში, თქვენ წარმოიდგინეთ, კინაღამ არ დაქორწინდა?

ივან ივანიჩი შეკრთა, სწრაფად შემოიხედა ფარდულში და თქვა:

– ხუმრობთ?

– დიან-დიან, კინაღამ ცოლი შეირთო, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ! დაგვი-

ნიშნეს ახალი მასწავლებელი ისტორიასა და გეოგრაფიაში, ვინმე კოვალენკო, მიხაილ სავიჩი, უკრაინელი. ჩამოვიდა დასთან, ვარენკასთან ერთად. კაცი იყო ახალგაზრდა, მაღალი, შავგვრემანი, ზორბა მკლავებით. შეხედვითაც შეატყობდით, რომ ბოხი ხმა უნდა ჰქონოდა. არც შეცდებოდით – ხმა ჰქონდა, თითქოს ქვევრიდან მობუბუნებსო.

ქალი კი არც ისე ახალგაზრდა ჩანდა – ასე, ოცდაათი წლისა, ასევე მაღალი, ტანადი, შავწარბება, ლოყებლაჟღაჟა... ერთი სიტყვით, ქალი კი არა, მარმელადი. თან ისე თამამი და მოურიდებელი, ხმაურიანი... სულ უკრაინულ რომანსებს მღერის და ხარხარებს. სულ მცირე საბაბი და სიცილისგან გადაფიჩინდება: ხა-ხა-ხა, ხი-ხი-ხი!

ჩემი პირველი საფუძვლიანი გაცნობა კოვალენკოებთან მოხდა დირექტორის დაბადების დღეზე. პირქუშ და მოსაწყენ პედაგოგებს შორის, რომლებიც დაბადების დღეებზეც კი მოვალეობის მოსახდელად დადიან, უცებ ვხედავთ: ახალი აფროდიტა გაჩნდა ზღვის ქაფისგან! დადის დონიქშემოყრილი, კისკისებს, მღერის, ცეკვავს... მახსოვს, გრძნობამორევით იმღერა უკრაინული „ქარები ჰქრიან“, მერე რომანსი, კიდეც და ყველანი მოგვხიბლა, ყველანი, თვით ბელიკოვიც კი. იგი მიუჯდა ქალს და ტკბილი ღიმილით ეუბნება:

– უკრაინული ენა თავისი სინაზით და ტკბილხმოვანებით ძველ ბერძნულს მაგონებს.

ქალს ეამა და გატაცებით, თან დაბეჯითებით უამბო, რომ გადიაჩის მაზრამი პატარა სახლი აქვს, სადაც მისი დედიკო ცხოვრობს... და იქ ისეთი მსხლებია, ისეთი ნესვები, ისეთი კვახები! უკრაინელები გოგრას კვახს ეძახიანო, კვახს კი – შინკას... და რომ იქ ხარშავენ ისეთ ბორშს იმნაირი ფერადი საკმაზებით, „ისე გემრიელს, ისე გემრიელს, რომ თითებს ჩაიკვნიტავ!“.

ვუსმინეთ, ვუსმინეთ და უცებ ყველას ერთი და იგივე აზრი დაგვებადა:

– რა იქნება, რომ შევაუღლოთ, ჰა? – ჩუმად მიჩურჩულა ქალბატონმა დირექტორმა.

ყველას ერთდროულად გაგვახსენდა, რომ ბელიკოვი უცოლო გვყავს და უცნაურად მოგვეჩვენა, რომ აქამდე ეს როგორღაც არ შეგვიჩნევია და მხედველობიდან სრულიად გამოგვეპარა მისი ცხოვრების ასეთი მნიშვნელოვანი დეტალი. ახლა კი კითხვა გაგვიჩნდა: საერ-

თოდ რა აზრისაა იგი ქალებზე? რას ფიქრობს მისთვის ესოდენ არსებით საკითხზე? ადრე ეს კითხვები აზრადაც არ მოგვსვლია. ალბათ გვეგონა, რომ შეუძლებელია სიყვარულზე ფიქრობდეს კაცი, ვინც ზამთარ-ზაფხულ კალოშებს არ იშორებს და ფარდის ქვეშ იძინებს.

– ამ ჩვენმა კარგა ხანია ორმოცს გადააბიჯა, ეს გოგო კი ოცდაათისაა... – შენიშნა ქალბატონმა ღირექტორმა. ვგონებ ქალმა არ უნდა თქვას უარი.

რა არ ხდება ჩვენთან, პროვინციაში, მოწყენილობის გამო; რამდენი რამ, რაც სისულელეა და არავის სჭირდება! და ეს იმიტომ, რომ არ ხდება ის, რაც საჭიროა. მითხარით, თუ ღმერთი გწამთ: საიდან ავიტყებთ მაშინ ეს ბელიკოვის დაქორწინება? ბელიკოვისა, ვისაც უბრალოდ ვერც კი წარმოიდგენდი ცოლიან კაცად. ქალბატონი ღირექტორი, ქალბატონი ინსპექტორი, მთელი ჩვენი გიმნაზიელი ქალბატონები როგორღაც გამოცოცხლდნენ, უფრო ეშხიანები გახდნენ, თითქოს ანაზღად ცხოვრების აზრს მიაგნესო.

აი, ქალბატონი ღირექტორი თეატრის ლოჟაში გამოჩნდა და ვხედავთ: იქვე ვარენკა ზის ფაშფაშა მარათი, გაბრწყინებული, ბედნიერი, და გვერდს უმშვენებს ბელიკოვი – პატარა, მოკრუნჩხული, თითქოს სახლიდან მარწყუებით გამოათრიესო.

წვეულებას ვმართავ. ქალბატონები კი ითხოვენ უსიკვდილოდ დაჰვატიჟო ბელიკოვიც და ვარენკაც.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამუშავდა მანქანა. გამოირკვა, რომ ვარენკა არაა წინააღმდეგი. თურმე, ძმასთან ცხოვრება არც ისე ეპიტნავება და, თუ მართალი გინდა, მთელი ღღეუბი კამათსა და ჩხუბში არიან.

ინებეთ მაგალითები: მიდის კოვალენკო ქუჩაში – მაღალი, ახმახი, მოქარგული პერანგი აცვია, ქოჩორი ქულიდან შუბლზე გადმოჰყვრია. ერთ ხელში წიგნების შეკვრა უჭირავს, მეორეში – მსხვილი, ნუჟრიანი ჯოხი. უკან დაი მოჰყვება, ასევე წიგნებით ხელში.

– შენ, მიხაილიკ, ეს არ წაგიკითხავს! – ეუბნება დაი ხმამაღლა. – ხომ გეუბნები, ვფიცავარ, შენ ეს ნამდვილად არ წაგიკითხავს!

– მე კი გეუბნები, რომ წაკითხული მაქვს! – უყვირის კოვალენკო და ჯოხს ტროტუარზე დაჰკრავს.

– ოჰ, შენ კი რა გითხარი, მინჩიკ, რა გაყვირებს ნეტავი? ჩვენ ხომ პრინციპული საუბარი გვაქვს?!

– ჰოდა მე გეუბნები, რომ წაკითხული მაქვს! – კიდევ უფრო უწევს ხმას კოვალენკო.

სახლში კი საკმარისია ვინმე სტუმარი შემოვიდეს და ისევ დასცხებენ ერთმანეთს. ასეთი ცხოვრება, ეტყობა, მოსწყინდა დაიკოს – თავისი კუთხე ენატრება. ბოლოს და ბოლოს, ასაკიც თავისას ითხოვს. უკვე არჩევის დროც აღარაა. შეიძლება ნებისმიერს გაჰყვეს, თვით ბერძნულის მასწავლებელსაც.

იგივე ითქმის ჩვენი ქალბატონების უმრავლესობაზე: ვისზედაც გინდა გათხოვილან, ოღონდ კი გათხოვდნენ! ასეა თუ ისე, ვარენკამ ჩვენს ბელიკოვს მოწყალე თვალებით შეხედა.

ხოლო ბელიკოვი? იგი კოვალენკოებთანაც ისევე დადიოდა, როგორც ყველა ჩვენგანთან. მივა, დაჯდება და ღუმს! თვითონ ხმას არ იღებს, ვარენკა კი უმღერის ჩვენთვის უკვე ცნობილ „ქარები ჰქრიან“-ს, ან უყურებს დაფიქრებით და არ აცილებს თავის შავ თვალებს, ან კიდევ კისკისი აუტყდება:

– ჰა-ჰა-ჰა!

სასიყვარულო საქმეებში, მეტადრე ცოლის შერთვის ჟამს, შთაგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველანი, ამხანაგებიც და ქალბატონებიც, არწმუნებდნენ ბელიკოვს, რომ, უნდა თუ არა, ცოლი უნდა შეირთოს; რომ არაფერი სხვა მას არ აკლია ცხოვრებაში. ჩვენ ყველანი ვულოცავდით მას, სერიოზულად გადავუკრავდით სიტყვას ათასგვარ უხამსობაზე: ქორწინება სერიოზული ნაბიჯიაო და სხვა. გარდა ამისა, ვარენკა არ იყო ურიგო გარეგნობისა – გულგრილად ვერ შეხედავდა კაცი. სამოქალაქო მრჩევლის ქალიშვილი იყო. ჰქონდა საკუთარი სახლი და, რაც მთავარია, ეს იყო პირველი ქალი, ვინც თბილად მოეპყრო ბერძნულის მასწავლებელს და გული აჩვენა. ბელიკოვსაც თავბრუ დაეხვა და მოეჩვენა, რომ მართლაც ცოლი უნდა შეირთოს.

– ჰოდა, დამდგარა კალოშებისა და ქოლგის აღსასრულიც, არა? – ჩაურთო ივან ივანიჩმა.

– გეგონოთ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს შეუძლებელი გახდა! მან თავის ბინაში მაგიდაზე დაიდო ვარენკას პორტრეტი, მოდიოდა ჩემთან და მელაპარაკებოდა ვარენკაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, იმაზე, რომ ქორწინება სერიოზული ნაბიჯია; ხშირად იყო კოვალენკოებთან, მაგრამ

ეს იყო და ეს — სხვა მხრივ საქმე წინ აღარ მიდიოდა და ცხოვრების წესიც ოდნავაც არ შეუცვლია. პირიქით უფრო მოხდა: ცოლის შერთვის გადაწყვეტილებამ მასზე როგორღაც მძიმედ იმოქმედა — გახდა, ფერი დაკარგა და ისე ჩანდა, კიდევ უფრო ღრმად შექვრა თავის ფუტლიარში.

— მე მომწონს ვარვარა სავიშნა — იტყოდა ხოლმე და ოდნავ ჩაიღიმებდა — და მე ვიცი, ცოლის შერთვა საჭიროა ყველასთვის, მაგრამ... იცით? ეს ყველაფერი მოხდა როგორღაც უცებ... მოფიქრებაა საჭირო.

— რაღა მანდ მოსაფიქრებელი? — ვეკითხებო. — შეუღლდით და ეგაა, მორჩა და გათავდა.

— ა-არა, ცოლის შერთვა სერიოზული ნაბიჯია. ჯერ უნდა აიწონ-დაიწონოს ამ ნაბიჯთან მიბმული მოვალეობანი, პასუხისმგებლობა... რომ მერე და მერე რამე ცუდი არ მოხდეს. ეს ისე ძალიან მაწუხებს, რომ ღამეები აღარ მძინავს. მართალი გითხრათ, მეშინია: მას და მის ძმას რაღაც უცნაური აზრები აქვთ. მსჯელობენ რაღაცნაირად, უცნაურად და... ზედმეტად თამამები არიან. შეირთავ და კარგს რაღას უნდა ელოდე, რაღაც ხათაბალაში გაეხვევი...

ჰოდა, მან თავი შეიკავა ხელის თხოვნისგან, სულ სამერმისოდ ღებდა, ქალბატონ დირექტორისა და მთელი ჩვენი ქალბატონებისთვის დიდად სამწუხაროდ. სულ მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა აწონ-დაწონვაში იყო, თან თითქმის ყოველდღე ხვდებოდა ვარენკას და სეირნობდნენ. ეტყობა, ფიქრობდა, რომ მის მდგომარეობაში ასე იყო საჭირო. მერე კი ჩემთან შემოივლიდა ოჯახური ცხოვრების შესახებ სასაუბროდ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოლოს და ბოლოს ის მზად იყო გადამწყვეტი ნაბიჯისთვის, ანუ ხელის სათხოვნელად. შედგებოდა კიდევ ერთი სრულიად უსარგებლო, არაფრისმაქნისი, ბრიყვული ქორწინება, როგორიც ჩვენში ათასობით ხდება მოწყენილობისა და უსაქმობის გამო. დიან, მოხდებოდა-მეთქი ეს, ყველა აღბათობით, რომ არა ერთი Kolossalische Scandal.\*

უნდა გითხრათ, რომ ვარენკას ძმას, კოვალენკოს, ჭირის ღღესავით შესძულდა ბელიკოვი გაცნობის პირველივე დღიდან და მისი ატანა არ შეეძლო.

— მე არ მესმის, — გვეუბნებოდა იგი მხრების აჩეჩვით, — არ მესმის, როგორ იტანთ თქვენ ამ ჯამუშს, მის საძაგელ სიფათს. ეეჰ, ბატონებო, რანაირად სუნთქავთ აქ, ამ მგუდავ, უწმინდურ

ატმოსფეროში? განა თქვენ პედაგოგებს, მასწავლებლებს ჰგავხართ? არა, თქვენ ჩინების მადიებელნი ხართ; მეცნიერების ტაძარში კი არ მოღვაწეობთ, რაღაც კანტორაში მუშაობთ! საწამლავებით ყარს აქაურობა, როგორც პოლიციის ჯინსურში... არა, ძმებო, ერთხანს დავრჩები აქ და წავალ ჩემს ხუტორში, დავიჭერ კიბორჩხალებს და ვასწავლი უკრაინელ ბავშვებს. თქვენ კი დარჩით აქ თქვენს იუდასთან, ეშმაკსაც წაუღია მაგის თავი!

ხანაც ხარხარი აუტყდებოდა, აცრემლებული მლიდა ხელებს და მეკითხებოდა:

— რას ჩამომიჯდება სახლში? რა ჭირი უნდა? ზის და მომშტერებია!

მან მეტსახელიც შეარქვა ბელიკოვს — ობობა!

ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, ვერიდებოდით გვეთქვა მისთვის, რომ მისი დაი აპირებდა გათხოვებას ამ ობობაზე. ხოლო როცა ქალბატონმა დირექტორმა სიტყვა გადაუკრა, რომ კარგი იქნებოდა მისი დაი ასეთ დარბაისელ, ყველასგან პატივცემულ კაცს, ბელიკოვს გაჰყვეს ცოლად, იგი მოიღუშა და წაიბურტყუნა:

— ჩემი საქმე არაა ეგ, დაე ასპიტსაც გაჰყოლია. მე არ მიყვარს ცხვირის ჩაყოფა სხვის საქმეებში.

ახლა კი ყური დამიგდეთ, რა მოხდა. ვიდაც ანცმა დახატა კარიკატურა: მიდის ბელიკოვი, აცვია კალოშები, შარვალი აუკაპიწებია, ქოლგა გაუშლია. გვერდით ხელგაყრილი მოჰყვება ვარენკა. ქვემოთ — წარწერა: „შეყვარებული ანთროპოსი“. ეს გამოთქმა მოეწონათ და აიტაცეს, გამიგეთ? მხატვარმა, ეტყობა, არა ერთი ღამე იმუშავა, რადგან ქალაქის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების თითოეულმა მასწავლებელმა, აგრეთვე სემინარიის მასწავლებლებმა და ჩინოვნიკებმა — ყველამ მიიღო თითო ეგზემპლარი. მიიღო ბელიკოვმაც. კარიკატურამ მძიმედ იმოქმედა მასზე.

პირველ მაისს, კვირადღეს, ყველას, გიმნაზიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, დათქმული გვექონდა შეხვედრა გიმნაზიასთან და აქედან ფეხით გასეირნება ქალაქგარეთ. დათქმულ დროს შევიკრიბეთ. მას კი სახეზე ფერი აღარ ადევს, მკვდარივითაა.

— რამდენი ცუდი, ბოროტი ხალხია ქვეყანაზე! — თქვა მან და ტუჩები აუკანკალდა.

შემეცოდა. მივდივართ და უცებ, წარმოიდგინეთ, ველოსიპედით მოდის კოვალენკო,

ხოლო მოჰყვება, ასევე ველოსიპედით, ვარენკა – გაწითლებული და აქოშინებული, მაგრამ მხიარული.

– ჩვენ წინ წავალთ... – იძახის ვარენკა ხმა-მალთა. – ისეთი მშვენიერი დარია, ისეთი კარგი, გაგიჟდები!

ამის თქმა იყო და ორივენი თვალს მიეფარნენ.

ბელიკოვი ქაღალდით გათეთრდა და თითქოს გაშეშდა. შეჩერდა და მიყურებს.

– მაპატიეთ, რა ხდება? – მკითხა მან. – თუ თვალი მატყუებს? ნუთუ გიმნაზიის მასწავლებლებს და ქალებს ველოსიპედზე ჯდომა შეეფერებათ?

– რა არის ამაში დასაძრახი? – ვუთხარი მე. – დაე, ისეირნონ, შეერგოთ!

– როგორ შეიძლება! – იყვირა მან, ჩემი სიმშვიდით გაოცებულმა. – რას ამბობთ?!

იმდენად გაოგნებული იყო, რომ აღარ ისურვა გზის გაგრძელება და შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს აშკარად ცუდად იყო. ეტყობა, ოფლი ასხამდა. ნერვიულად იმშრალებდა ხელებს და ანაზდად შეკრთებოდა ხოლმე. მეცადინეობის გაგრძელება ვეღარ შეძლო და წავიდა, რაც პირველად დაემართა ცხოვრებაში. სადილზე უარი თქვა. საღამო ჟამს კი თბილად ჩაიცვა, თუმცა გარეთ ნამდვილი ზაფხულის დღე იდგა, და წაჩანჩალდა კოვალენკოებთან. ვარენკა აღარ დაუხვდა შინ, მხოლოდ ძმა იყო.

– დაბრძანდით, უმორჩილესად გთხოვთ! – თქვა კოვალენკომ ცივად და წარბები შეჭმუნა. ნამძინარევი ჩანდა. ნასადილევს ისვენებდა და აშკარად ვერ იყო გუნებაზე.

ბელიკოვი იჯდა ჩუმად ათიოდე წუთი და დაიწყო:

– მე მოვედი თქვენთან, ეგებ გულზე მომეშვას... ძალიან, ძალიან ცუდად ვარ. ვიდაც ტაკიმასხარამ სასაცილოდ დამხატა მე... და კიდევ ერთი ქალბატონი, ორივე ჩვენგანისთვის ახლობელი. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დაგარწმუნოთ, რომ მე მანდ არაფერშია ვარ... არ მიმიცია არანაირი საბაბი ასეთი დაცინვისთვის. პირიქით, ყოველთვის თავი მეჭირა ღირსეულად და მიცხოვრია მხოლოდ წესიერების ფარგლებში.

კოვალენკო იჯდა გაბუტულივით და ხმას არ იღებდა. ბელიკოვმა ერთნაზ უცადა და მერე განაგრძო ხმადაბლა, მწუხარე ხმით:

– და კიდევ რაღაც სათქმელი მქონდა

თქვენთვის. მე დიდი ხანია ვმსახურობ, თქვენ კი მხოლოდ იწყებთ. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვრაცხ, როგორც უფროსი ამხანაგი, გაგაფრთხილოთ. თქვენ ველოსიპედზე იჯექით გუშინ. ეს კი სრულიად არ შეჰფერის ახალგაზრდობის აღმზრდელს.

– რატომ? – ჰკითხა კოვალენკომ ბასით.

– ნუთუ ესეც ასახსნელია, მიხაილ სავიჩ, ნუთუ ეს თავისთავად გასაგები არაა? თუ მასწავლებელი ველოსიპედზე ზის, რაღა მოვთხოვოთ მოსწავლეებს? მათ ისღა დარჩენიათ, რომ ყირაზე დადგნენ! და რაღა ეს არაა დამძვებული ცირკულარით, ესე იგი, არ შეიძლება. მე გუშინ აღვშფოთდი! ხოლო როცა დავინახე თქვენი დაი, თვალთ დამიბნელდა. ქალი, ან ქალიშვილი ველოსიპედზე – ეს ხომ საშინელებაა?!

– მოკლედ მითხარით, რა გნებავთ?

– მე მნებავს ერთადერთი რამ – გაგაფრთხილოთ, მიხაილ სავიჩ. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, მომავალი წინ გაქვთ. უნდა მოიქცეთ ძალიან, ძალიან ფრთხილად. თქვენ კი ასე დაუდევრად იქცევით; ო, როგორ დაუდევრად! თქვენ მოქარგული პერანგი გაცვიათ, ქუჩაში სულ რაღაც წიგნები დაგაქვთ. ახლა უკვე ველოსიპედიც გამოჩნდა. თქვენ და თქვენი დაი ველოსიპედებით რომ დასეირნობთ, ეს დირექტორისთვის გახდება ცნობილი, შემდეგ კი ამბავი ოლქის მზრუნველის ყურამდეც მივა... აბა რა არის ამაში კარგი?

– მე და ჩემი დაი ველოსიპედით რომ ვსეირნობთ, ეს არავისი საქმე არაა. – თქვა კოვალენკომ და წამოჭარხლდა. – ხოლო ვინც ცხვირს ჩაჰყოფს ჩემს პირად და ოჯახურ საქმეებში, მე მას ჯანდაბის გზას ვასწავლი.

ბელიკოვი გაფითრდა და ადგა.

– თქვენ თუ ჩემთან ასეთი ტონით ილაპარაკებთ, მაშინ მე აღარ გავაგრძელებ... და გთხოვთ: ნულარასოდეს ასეთნაირად ნუ ახსენებთ ჩემთან უფროსებს... პატივისცემა გმართებთ ხელისუფალთა!

– განა მე რაიმე ცუდი ვთქვი ხელისუფალთა მიმართ?! – ჰკითხა კოვალენკომ და თვალეზი დაუბრიალა. – მოდი, დამანებეთ თავი. მე პატიოსანი კაცი ვარ და თქვენნაირ ბატონთან არ მსურს საუბარი. ვერ ვიტან ჯაშუშებს.

ბელიკოვი ნერვიულად აცმუკდა და ჩაცმას დაუჩქარა. სახეზე საშინელი გამომეტყველება ეხატა. ცხოვრებაში პირველად ესმოდა ასეთი უკმეზი სიტყვები.

– შეგიძლიათ ილაპარაკოთ, რაც გნებავთ.  
 – თქვა მან, როცა წინკარიდან კიბის ბაქანზე გამოდიოდა. – მაგრამ მე უნდა გაგაფრთხილოთ: შეიძლება ვინმემ ყური მოჰკრა ჩვენს საუბარს. ამიტომ, სანამ ყური უკუღმა არ გამოუბამთ ჩვენი საუბრისთვის და რაღაც ცუდი არ გამოსულა აქედან, მე უნდა მოვახსენო ბატონ დირექტორს ჩვენი საუბრის შინაარსი... მთავარ მტრისებში, რასაკვირველია. მე ვალდებული ვარ ასე მოვიქცე!

– უნდა მოახსენოთ, არა? წადით, მოახსენეთ!

ეს თქვა და კოვალენკო სწვდა დაუპატიჟებელ სტუმარს უკნიდან საყელოში და წაუთაქა. ბელიკოვი კიბეზე დაგორდა ქოლგისა და კალოშების ჩხაკუნითა და ტლაშატლუშით. კიბე მაღალი და დახვეული იყო, მაგრამ ბოლომდე მშვიდობიანად იგორა. მერე ადგა და ცხვირი მოისინჯა: სათვალეები ხომამა მთელი?

მაინც და მაინც ზუსტად იმ დროს, როცა ის კიბეზე მიგორავდა, ეზოში ვარენკა და მისი ორი მეგობარი ქალბატონი შემოვიდნენ. იდგნენ დაბლა და უყურებდნენ. ბელიკოვისთვის ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება. ნეტავ კისერი კი მოეტეხა და ორივე ფეხიც ზედ მიემტვრია, ოღონდ ასე ქვეყნის სასაცილო არ გამხდარიყო. ახლა ხომ ამას მთელი ქალაქი შეიტყობს? ამბავი მივა დირექტორამდე, თვით ოლქის მზრუნველამდე... ოჰ, ნეტავ რამე ცუდი არ გამოვიდეს აქედან! დახატავენ ახალ კარიკატურას და ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ დაითხოვენ სამსახურიდან...

როცა წამოდგა, ვარენკამ მხოლოდ მაშინ იცნო იგი. უყურებდა მის სასაცილო სახეს, დაჭმუჭნულ პალტოს, კალოშებს და ვერ ხვდებოდა, რაშია საქმე. ეგონა, სტუმარი თვითონ თუ წაიქცა კიბეზე შემთხვევით. მერე კი თავი ვეღარ შეიკავა და აკისკისდა:

– ჰა-ჰა-ჰა!

ამ წამსკდარი, ხმაურიანი „ჰა-ჰა-ჰა“-თი დასრულდა ბელიკოვისთვის ყველაფერი: ცოლის თხოვაც და მიწიერი არსებობაც. მას უკვე აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ვარენკა, და ვერც ვერაფერს ხედავდა. სახლში რომ შემოვიდა, უპირველეს ყოვლისა, მაგიდიდან პორტრეტი მოაშორა, მერე ჩაწვა და მეტი იქიდან აღარც ამდგარა.

სამი დღის შემდეგ ჩემთან ათანასე შემოვიდა და მკითხა: ექიმს ხომ არ დავუძახოთ,

ბატონის თავს რაღაც ხდებაო. შევედი მათთან. ბელიკოვი იწვა ფარდის ქვეშ, საბანში გახვეული, და ღუმდა. ჰკითხავ რამეს და პასუხად – მხოლოდ „კი“, ან „არა“, მეტი არაფერი. წევს იგი და შორიასლოს ბოლთასა სცემს პირქუში, მოღუშული ათანასე და ოხრავს. არყით ყარს, ვითარცა მოარული სამიკიტნო.

ერთ თვეში ბელიკოვი მოკვდა. ვასაფლავებლით მას ჩვენ ყველანი — ესე იგი, ორივე გიმნაზია და სემინარია. ახლა, როცა იგი კუბოში იწვა, მისი გამომეტყველება გახდა უწყინარი, სასიამოვნო, თქვენ წარმოიდგინეთ, მხიარულიც კი. თითქოს უხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს მოათავსეს ფუტლიარში, საიდანაც უკვე აღარასოდეს გამოვა. დიახ, მან მიაღწია თავის იდეალს! თითქოს მის პატივსაცემადო, დასაფლავების დღეს მოღრუბლული, წვიმიანი ამინდი შეხვდა და ჩვენ ყველანი კალოშებსა და ქოლგებში ვიყავით. ვარენკაც იქ იყო და, როცა კუბოს სამარეში უშვებდნენ, ხმამაღლა აქვითინდა. შემინიშნავს, რომ მალე ორისი ქალები ან ქვითინებენ, ან კისკისებენ. შუალედური მდგომარეობა მათ არ იცინა.

გამოგიტყდებით: ისეთი ადამიანის დასაფლავება, როგორც ბელიკოვი იყო, ერთი სიამოვნებაა. სასაფლაოდან ვბრუნდებოდით მოკრძალებული სახით, ცხვირ-პირი ჩამოგვტიროდა და არავის გვსურდა სიამოვნების გრძნობის გამომჟღავნება; გრძნობისა, რომლის მსგავსი გვანსოვს შორეული ბავშვობიდან – როცა უფროსები სახლიდან მიდიან, ჩვენ კი ყველაფრის ბატონ-პატრონად ვრჩებით და სრული თავისუფლებით ვტკბებით. ოჰ, თავისუფლება, თავისუფლება! უბრალო მინიშნება მასზე, სუსტი იმედიც კი მისი შესაძლებლობისა რანაირად გვანსამს ხოლმე ფრთებს, ასე არაა?

სასაფლაოდან გადასარევე გუნებაზე დავბრუნდით. მაგრამ კვირაზე მეტი არ გასულა და ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნდა – იგივე მოღუშული, მომქანცველი, უაზრო; ცხოვრება, რომელიც ფარგლით როდია მოხაზული, მაგრამ არც შენს გემოზეა ნებადართული. ერთი სიტყვით, უკეთესობა არაფერს დასტყობია. ბელიკოვი კი დავასაფლავეთ, მაგრამ კიდევ რამდენი მისნაირი დარჩა ფუტლიარში და დაიბადება კვლავაც!

– დიახ, ზუსტად რომ ეგ არი! — თქვა ივან ივანიჩმა და ჩიბუხი გააბოლა.

– რამდენი მისნაირი დაიბადება კვლავაც!

– გაიმეორა ბურკინმა წელან ნათქვამი.

გიმნაზიის მასწავლებელი გამოვიდა ფარდულიდან. ეს იყო მომცრო ტანის კაცი, სქელი, მთლად მელოტი. შავი წვერი ქამრამდე წვდებოდა. მას თან გამოჰყვა ორი ძაღლი.

– მთვარე გამოვიდა, მთვარე! – თქვა მან და მაღლა აიხედა.

შუალამე გადასული იყო. ხელმარჯვნივ მოჩანდა მთელი სოფელი. გზა გრძელდებოდა შორს, თითქმის ხუთი ვერსი. ყველაფერი წყნარ, ღრმა ძილში იყო დანთქმული. არანაირი ჩქამი, ბგერა! არც კი გჯერა, თუ ბუნებაში ასეთი სიჩუმე არსებობს. როცა მთვარიან ღამით უყურებ სოფლის თემშარას თავისი ქობმასებით, ზვინებით, ჩაძინებულ ტირიფებით, გულზე მოგეშვება კაცს. ამ დროს სული ღამის ჩრდილებში ემალება საზრუნავს და სადარდებელს. ამადაც მყუდროდ და მშვიდადა; ოღნავ სევდიანია, ლამაზია და ეჩვენება, რომ ვარსკვლავებიც გულაჩუყებულნი ეფერებიან და ბოროტება თითქოს აღარცაა დედამიწაზე, ყველაფერი კარგადაა.

მხარმარცხნივ, სოფლის ბოლოდან, იწყებოდა მინდორი, გრძელდებოდა ძალიან შორს, ცისკიდურამდე... ამ ტრამალის მთელ გაყოლებაზე, მთვარის შუქით რომ იყო მოვარაყებული, ასევე – არანაირი გატოკება და ჩქამი!

– დიახ, ზუსტადაც რომ ეგ არი! – გაიმეორა ივან ივანიჩმა. – განა ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ქალაქში ასე დახუთულად, ვიწროდ, ვწერთ არავისთვის საჭირო ქაღალდებს, ვთამაშობთ ბანქოს, განა ეს კი ფუტლიარი არაა? ან ჩვენ რომ მთელ ცხოვრებას ვატარებთ უქნარებსა და თაღლითებს შორის, ბრიყვ და მცონარა

ქალებში, ვლაცობთ ან ვუსმენთ ათასნაირ სისულელეს – ესეც განა ფუტლიარი არაა? აი, თუ გნებავთ, მე მოგიყვებით ერთ ძალიან ჭკუის სასწავლებელ ისტორიას.

– არა, უკვე დროა დავიძინოთ! – მოჭრა ბურკინმა. – ხვალამდე.

ორივენი ფარდულში შევიდნენ და თივაზე დაწვნენ, საბანში გაეხვივნენ და ის იყო ჩათვლიმეს, რომ მოისმა მსუბუქი ნაბიჯების ჩქამი: ტუპ, ტუპ... ვიღაც დადიოდა ფარდულის სიხლოვეს. გაივლის ცოტას და შეჩერდება. ერთ წუთში კი ისევ: ტუპ, ტუპ... ძაღლებმა დაიღრინეს.

– მავრაა. – თქვა ბურკინმა. – დადის...

ნაბიჯები მიწყნარდა.

– უნდა უყურო და უსმინო მათ სიცრუეს.

– თქვა ივან ივანიჩმა და გვერდი მოინაცვლა.

– თან შენვე გამოდიხარ ბრიყვი, რომ ითმენ ამ სიცრუეს. უნდა აიტანო წყენა, დამცირება; ვერ უნდა გაბედო ღიად მხარდაჭერა პატიოსანი, თავისუფალი ადამიანებისა; თვითონაც უნდა იცრუო, გაიღიმო და ეს ყველაფერი – ლუკმა პურისთვის, თბილი კუთხისთვის, რაღაც საცოდავი ჩინისთვის, რისი ფასიც გახვრეტილი გროშია. არა, მეტი აღარ შეიძლება ასე ცხოვრება!

– აბა რა გითხრა, ივან ივანიჩ, ეს უკვე მოქმედებაა მეორე ოპერიდან. – თქვა მასწავლებელმა. – მოდი დავიძინოთ.

ათიოდე წუთში ბურკინს უკვე ეძინა. ივან ივანიჩი კი შამფურივით ტრიალებდა და ოხრავდა. შემდეგ ადგა, ისევ გამოვიდა გარეთ, ჩამოჯდა კარებთან და ჩიბუხი გააბოლა.

1898 წ.

რუსულიდან თარგმნა

**ზურაბ ხასიაიძე**

ПЕРЕВОДЫ СТИХОВ МИРЗЫ ГЕЛОВАНИ

Мирза Гедеонович Геловани родился 2 марта 1917 года, в селе Тианети Тифлисской губернии. Грузинский советский поэт. Участник Великой Отечественной войны. Печатался с 18 лет. Призван в армию в октябре 1939 года. Окончил танковое училище. Во время Великой Отечественной войны — старший лейтенант, командир взвода. Участвовал в освобождении Белоруссии. Погиб 26 июня 1944 года при форсировании Западной Двины на территории Бешенковичского района Витебской области. Похоронен у деревни Санники.



РАССТАВАНИЕ

При виде стриженных и светловолосых,  
Длинных волос опадают плети.  
Как же не хочется! О, как не хочется,  
Всё ж расстанусь с тобой, мой цветик.  
    Так, в забытьё погружали сказки  
    И Аспурцелу и Златовласку.  
    Ветр разорвал все паруса,  
    Двинусь в раздумьях к рассветному часу.  
Путник я, о тебе мои мысли.  
Я с тенями играю. И порознь мы.  
О, я вернусь, я вернусь, обещаю.  
И возвратят меня твои волосы.

О, ПРОСТИТЕ!

Снова меня увлекла судьба  
К далям неведомым, как небеса.  
Вы отдалились — бубновые дамы  
С волосом светлым и шеей хрустальной.  
    Я обещал вам, что вернусь.  
    Волосы ваши — залог возвращенья.  
    Только вот дни как воры, боюсь,  
    Тех отдаляют обетов свершенья.  
И если пуля мне сердце остудит  
Где-то там страшным своим верещеньем,  
О, вы простите мне, о простите  
Эту вину мою невозвращенья.

ЖДИ

Я притуплю возвращеньем боль твою.  
До возвращенья, до окончанья.  
И как весну призывают в горах,  
Сердце твоё пусть меня ожидает.  
    Сватов я созову и друзей,  
    Скачками час обозначу свиданья.  
    Гор сотрясенье, небес синеву  
    В дар твоему принесу ожиданью.  
В доме твоём заиграет зурна,  
Голосом низким ответит доли.  
Сбудется сон твой далёкий сполна,  
Вспомнишь заботу сестёр наречённых.  
    Скажут: теряешь детство уже,  
    Ой, и подруг оставляешь детьми,  
    И попрощаешься с детской игрой,  
    Пусть не покинет тебя свет благой!  
Свадьбу отпраздную за божьей трапезой  
Я, возвратившись в тех дней излёт.  
Но как весну призывают в горах,  
Трепет пусть твой пока меня ждёт.

Перевела с грузинского  
Этери Агаронова. Февраль 2020 г.

ვალენტინა გვილაჟა



«ПУТИ ГОСПОДНИ НЕИСПОВЕДИМЫ!»

Танюшка болела ангиной. От температуры кружилась голова и совсем не хотелось двигаться. Лампочка под потолком летела куда-то вбок и никак не могла улететь. Танюшка полузакрытыми глазами следила за ней. Телу было мягко и очень тепло. Откуда-то доносились голоса мамы и папы. Девочка с трудом повернула голову на подушке и увидела их сидящими совсем рядом.

– Сколько? – спросила мама.

– Высокая.

Танюшка опять стала рассматривать лампочку под дешёвеньким светлым абажуром. В целях экономии «сороковатка» едва освещала углы комнаты, точнее, маленькой комнатки в коммунальной квартире (одиннадцать квадратных метров), которая, к тому же, была полуподвалом. Окно выходило во двор. Нижний край рамы упирался в асфальт. Дворик был очень небольшой. Окружённый плотным кольцом четырёх пятиэтажек, он никогда не видел солнца.

В этом тесном мирке жили только латыши. Исключение составляла лишь эта «коммуналка». В ней, по странному стечению обстоятельств, оказались семьи разных национальностей. Для послевоенной Риги это было необычно. Место, где жила Танюшка, находилось в самом центре города, недалеко от Домского Собора, прямо напротив знаменитой «Пороховой башни» Артиллерийского Училища. В квартире жило семь семей. Длинный «гэ» – образный коридор упирался в большую кухню, налево от которой были туалет

и ванная комната. Она же – прачечная. Танюшке коридор казался очень длинным и страшным, лампочка горела лишь на повороте, и большая часть его утопала в полумраке. Танюшке запрещали ходить в ту часть коридора, за поворотом, потому, что там жили цыгане.

Было совершенно не понятно, как эта семья оказалась в Риге, в то время когда обычные цыгане кочевали таборами. Тем не менее, цыгане жили огромной семьёй в двух смежных комнатах. А взрослые даже где-то работали.

В комнате поближе жила тётя Галя с мужем. Она – украинка, муж – русский. Жили они тихо и незаметно и очень страдали от своих шумных соседей.

Напротив тётя Гали, в самой большой и светлой комнате, жил одинокий мужчина средних лет, по национальности – немец. Он служил в театре. Звали его Отто. Это была заметная во всех отношениях личность. Он одевался очень дорого и со вкусом. Носил мягкую, из бархатного велюра шляпу, длинный белый шарф и лаковые штиблеты. На вопрос «кем он работает» отвечал: «Я служитель Мельпомены». Говорили, что до революции эта квартира принадлежала его деду. Ходил он неторопливо, напевая или насвистывая, и всегда был в благодушном настроении. Казалось, что бытовые условия его не касаются, он зашёл сюда лишь на минутку, а настоящее его место там, где он «служит». При встрече с Танюшкой он весело говорил: «Ну, как

жизнь молодая? Держи нос кверху и всё будет хорошо!» А потом, погладив ладонью по голове, уже серьёзно добавлял: «Ничего девочка, держись, мы ещё посмотрим кто кого». Что он хотел этим сказать, Танюшке было непонятно.

– Дядя Отто, что такое кто кого?

Смеясь, он отвечал, подняв палец кверху: – Вырастешь – узнаешь, а пока наслаждайся беззаботным детством.

– Лучше бы он меньше говорил и больше молчал, – говорила на это мама Танюшки, качая головою.

Послышался стук в дверь. Ира, Танюшкина мама, открыла. На пороге стоял соседский мальчик Васька. Примерно одного возраста с девочкой, он жил в комнате №4.

– Чего тебе?

– А «она» дома?

Называя так свою подружку, он незаметно для себя подчёркивал своё отношение к ней как к будущей женщине. Хотя сам он об этом не подозревал. А Танюшкиных родителей этот вопрос всегда веселил и был поводом для безобидных шуток:

– Заходи, заходи, Василий. Твоя невеста что-то расхворалась, – с улыбкой Ира пропустила мальчика и подвинула стул. Тот неторопливо, опустив голову, подошёл к кровати, на которой лежала больная девочка и со вздохом сел. И вся его фигура – светлые с рыжинкой, взъерошенные волосы, ноги в старых обрезанных валенках и не по-зимнему лёгкая одежда выражали неподдельное разочарование. «Вот, мол, пришёл, а «она» болеет». Каждое посещение Танюшки давалось ему с боем. Семья Васьки жила бедно. Отец с матерью работали в ремонтном депо. А Васька и бабушка сидели дома. Отец Васьки был поляк, а мама – русская.

– А я болею, – тихо сказала Танюшка.

– Угу.

Помолчав немного, Танюшка спросила:

– А ты мне что-нибудь принёс?

Естественно, Васька никогда не приходил с пустыми руками. Он всегда приносил ей разные «сокровища». Таня складывала их в коробочку из-под леденцов. Вот и сейчас он, молча раскрыв потную ладонь, протянул Танюшке вчетверо сложенный фантик. Фантик был необыкновенный. Золотой с голубым цветком.

– Красивый.

Танюшка улыбнулась и, развернув, стала разглаживать фантик рукой.

– Я его спрячу.

– Угу. Ну ладно, я пойду, а то бабушка затургается.

Васька встал, неторопливо подошёл к двери и, обернувшись, с полупоклоном, проговорил:

– До свидания, вам.

– Приходи, Василий, – ответил папа. Мама с улыбкой подтвердила:

– Заходи почаще, а то Танюшка скучает без тебя.

– Ладно.

Дверь захлопнулась, и сразу стало как-то пусто. Этот неухоженный мальчик из необеспеченной семьи обладал необъяснимым даром освещать своим присутствием всё вокруг себя. Было в нём что-то наивно-первобытное и чистое.

Чувствовалось, что повзрослев, он будет опорой для своей семьи и близких. Уже сейчас это бесхитростное существо кроме улыбки вызывало и уважение к себе.

Танюшка, протянув руку, достала из тумбочки коробочку, в которой лежали все её «сокровища», подаренные Васькой, и аккуратно положила туда фантик. Потом, откинувшись на подушку, она стала вспоминать, когда и что он ей подарил.

Вот камушек. Он белый и совсем круглый. Васька говорил, что нашёл его на взморье. Вот кусочек янтаря. Это тоже с моря. А вот засушенный цветок ромашки. Его подарил Васька, а мама засушила и положила к Танюшкиным «сокровищам». Вот осколок закопчённого стекла, через который они по очереди смотрели на солнечное затмение. А вот самое дорогое: сиреневый гранёный камушек для колечка. Камушек не драгоценный, а стеклянный. Но всё равно он такой красивый, блестящий. Только сбоку отколот небольшой кусочек, но это почти не видно.

...Гранильная мастерская находилась неподалеку от их дома. Однажды ребята с их двора собрались и пошли посмотреть, как гранят камушки. Пройдя две узкие улочки и проходной двор, они оказались в тупике, где и была мастерская. Окна выходили на тротуар и были заделаны решётками. Летом рамы открывались и ребятишки, наклонившись, могли видеть, как несколько человек сидели за гранильными станками и работали. Гранили, в основном, куски стекла для дешёвых колечек. Когда камушек получался неровным или со сколом, его бросали в коробки для бракованных изделий. Это и было предметом желаний ребятишек. После долгих просьб: «Дяденька, дайте камушек!» им

выбрасывали через решётку на тротуар горсть бракованных камушков. Многие из них были раскрошившиеся или испорченные. Но этот был большой, красивый и совсем целый, не считая маленькой шербинки сбоку. Его-то и подарил Васька Танюшке. Полубовавшись вдоволь на камушек, повертев его, посмотрев сквозь него на свет, Танюшка бережно уложила всё в коробочку, закрыла крышку и положила в тумбочку. Голова опять закружилась и лампочка полетела куда-то вбок.

Прошла неделя. Девочка почти поправилась. Мама разрешила вставать, и Танюшка пошла к подружке Верке из комнаты №5. На её стук дверь почти сразу открылась. Верка (на год старше Танюшки) была лучшей подружкой, если не считать Васьки. Худенькая, юркая и подвижная, как ртуть, она не могла сидеть спокойно. Это была полная противоположность Танюшке, которая часами могла рисовать и играть в тихие игры. Тем не менее, они дружили, находя общие интересы.

Верка, схватив за руку подружку, затащила её в комнату и, усадив на диван, сказала шёпотом:

– Сиди тихо. Сашка спит.

Младшему братику, Саше, было два годика.

Веркина мама не боялась оставлять детей одних, так как дочка росла очень ответственной. Верка побежала на кухню и вернулась с двумя большими чашками мусса из клюквы. Мусс у её мамы был очень вкусный, а секрет приготовления она не открывала никому. Девочки сели за стол и стали смаковать лакомство. Пришла Веркина мама. Это была пышная молодая особа с копной обесцвеченных волос и ярко накрашенными губами. Мужа-алкоголика она выгнала и теперь жила с детьми, неизвестно на какие средства.

– Ну что, Сашка ещё спит? А мусс вкусный? Да, я знаю один секрет, но никому не скажу. Танюшка, ну как твоё горлышко – уже не болит? Вот и хорошо. Хотите ещё налью пенки? А твоя мама дома? Ну конечно. Скоро рожать, куда ей разгуливать.

